პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი
19
მაისი
№ 20 (2696)
გამოცემის 57-ე წელი
1989

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის ორგანო ● «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი





## საქველმოქმედო კონცერტები

ახლახანს დავით აღმაშენებლის პროსპექტზე რეკონსტრუირებული ახალი მუსიკალურ-კულტურული ცენტრის დარბაზში გაიმართა საქველმოქმედო „ხსოვნის კონცერტები", რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გუნდი და სოლისტები, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, სომხეთის სახელმწიფო აკადემიური კაპელა.

პირველ საღამოზე ჟღერდა მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან, შემდეგ კი შესრულდა ვერდის „რეკვიემი". სოპრანოს პარტიით მაყურებლის წინაშე წარსდგნენ მარიკა მაღლაფერიძე და მაყვალა ქასრაშვილი.

მურმან ჩაჩუას ფოტოები

## თბილისი, მაჩაბლის 13, მწერალთა კავშირი, მუხრან მაჭავარიანს

ძვირფასო ბატონო მუხრან! თქვენი ხალხის მიერ გადატანილმა ტრაგედიამ დიდი ტკივილი მოგვაყენა. ორმოცის წინ ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩავატარეთ პოეზიის საღამო, რომელიც ქართული და რუსული კულტურების მჭიდრო კავშირს მივუძღვენით. დარბაზში გაისმოდა ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე. საღამოში მონაწილეობდნენ აკადემქალაქში მცხოვრები ჩვენი ქართველი მეგობრები. მეგობრობის, სიყვარულის, თანადგომისა და თანალმობის ატმოსფერო სუფევდა. შევაგროვეთ მცირეოდენი თანხა და გთხოვთ, ღრმადპატივცემულო ბატონო მუხრან, რათა ამ თანხით შეძენილი ყვავილები მეორმოცე დღეს ტრაგედიის ადგილას მიიტანოთ.

საღამოს ორგანიზატორთა სახელით - იულია ლიხაჩოვა

## სარედაქციო ფოსტიდან

ბოლო ხანს ერთაშორის ურთიერთობებმა საკმაოდ არასასურველი სახე მიიღო რესპუბლიკაში. გახშირდა სხვადასხვა ფორმისა თუ შინაარსის ანტიქართული გამოსვლები, შოვინისტური გამოხდომები. უპირველესად ვგულისხმობთ სოფელ ლიხნის ყრილობასა და ე. წ. „აფხაზურ წერილს“, რომელმაც თავისი პროვოკაციული მიზანდასახულობით პირდაპირ ლახვარი ჩასცა ქართველთა და აფხაზთა ოდინდელ ძმობასა და მეგობრობას. შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ მას უკავშირდება 9 აპრილის შემზარავი ტრაგედიაც. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ქართველი ერი ყოველთვის მეტისმეტად შემწყნარებლურად ეკიდებოდა თავის ტერიტორიაზე დასახლებულ ყოველ ეროვნებას, თანაბრად იზიარებდა მასთან ერთად ჭირსა და ლხინს, მხარს უმაგრებდა, გულს უშლიდა, არასდროს თავს არ ამეტებდა; ამგვარი კეთილმეზობლური, ინტერნაციონალური პრინციპებით იცხოვრა და მოაღწია დღემდე ქართველმა ხალხმა. მით უფრო საწყენი და გაუგებარია ჩვენს მიწაზე მცხოვრები ზოგიერთი სხვა ერის წარმომადგენლების უსაფუძვლო პრეტენზიები და უმართებულო მოთხოვნები. აბა, სხვა რა უნდა დავარქვათ სამხრეთ ოსეთის არაფორმალური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერის ა. ჩოჩიევის საქციელს, გუდაუთის გაზეთ „ბზიფში“ ანტიქართული წერილი რომ გამოაქვეყნა? — არადა, ნაცვლად იმისა, რომ ეს წერილი თავად გადმოებეჭდა და ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა გაზეთ „სოვეტონ ირისთონის“ რედაქციამ ჩვენ დაგვადანაშაულა — ამგვარი წერილები ეროვნულ ურთიერთობებს ძაბავს და არ უნდა გამოგექვეყნებინათო (თითქოს ის პირველად ჩვენ დაგვებეჭდოს).

აქვე ისიც უნდა დავსძინო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას ა. ჩოჩიევის წერილში ჩამოყალიბებული „იდეები“ ოსი ხალხის აზრად არამც და არამც არ მიუჩნევია, როგორც ამას აპკაყვედურობს „სოვეტონ ირისთონი“. ა. ჩოჩიევის წერილი იმიტომ გადმოვბეჭდეთ და გავაცანით მთელ საქართველოს, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასაც, რომ კიდევ ერთხელ შეგვექმნა საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, თუ ვინ ვინ არის, ვინ ვისთან დგას და ვინ ამღვრევს წყალს მოძმე ერებს შორის.

იგივე შეიძლება ითქვას ქალბატონ ტ. ბოკუჩავა-გაგულიას წერილზეც. ტენდენციურობა, ზერელობა, მოვლენების ცალმხრივად შეფასება — ასე შეიძლება შევაფასოთ მოკლედ მისი პათოსი და შინაარსი. სხვათა შორის, ამ წერილზე უამრავი გამოხმაურება მივიღეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. ყველა მათგანი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს, ყველა ავტორი თანაბრად აღშფოთებულია ტ. ბოკუჩავა-გაგულიას წერილით. გადავწყვიტეთ გვარიანი შემოკლებების შემდეგ გამოგვექვეყნებინა გამოხმაურებათა ერთი ნაწილი, რათა სრულად და მკაფიოდ გამოჩნდეს საზოგადოებრივი აზრი.

# მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა...

28 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკის ტ. ბოკუჩავა-გაგულიას წერილი „მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ“. ამ წერილმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ყველა პატიოსან მკითხველში და პირადად ჩემში, აფხაზეთის მკვიდრში.

თავის წერილში ქ-ნი ტ. ბოკუჩავა-გაგულია გვატყობინებს, რომ თავად ესწრებოდა აფხაზი საზოგადოების მიერ ლიხნში გამართულ „შეკრებას“, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ის ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა და აქვს აფხაზეთში და საერთოდ საქართველოში. ამ მოვლენათაგან ერთ-ერთი ლიხნის შეკრებაზე „კულტურულად და კორექტულად“ მიღებული დადგენილება — საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლის შესახებ, ტ. ბოკუჩავა-გაგულიამ უმტკივნეულოდ მიიღო და შეიძლება ხელიც კი მოაწერა. მისი აზრით, იმისათვის, რომ აფხაზებმა უკეთ იცხოვრონ, თავისუფლად იყვნენ და თავდაუზოგავად ემსახურონ გარდაქმნას, საჭიროა გამოეყონ საქართველოს და აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადონ.

ალბათ, რუსულის კარგ სპეციალისტს, ეროვნებით ქართველს, არ ეკადრება იმდენად ჩაუხედავი იყოს ისტორიაში და არ იცოდეს, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შერვაშიძე მთავრობასთან მოლაპარაკებისას საბუთებს ქართულ ენაზე ადგენდა. მიხეილ შერვაშიძის შვილი, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შერვაშიძე, თავის თხზულებებს ქართულად წერდა, თუმცა აფხაზურსაც ჩინებულად ფლობდა. საკითხავია, რატომ? პასუხი მემუარებში შეგვიძლია ვეძიოთ. ქართული მატიანეს თანახმად (სამწუხაროდ, აფხაზური მატიანე არ არსებობს), აფხაზეთის სამეფო — დასავლეთ საქართველოს სამეფოს ნიშნავს, აფხაზთა მეფე — დასავლეთ საქართველოს მეფეს, აფხაზეთის კათალიკოსი დასავლეთ საქართველოს ორგანული და განუყოფელი ნაწილი იყო და არის, ამიტომაც მათი გათიშვა წარმოუდგენელია.

ქალბატონმა ტ. ბოკუჩავა-გაგულიამ ისიც იცის, თუ როგორ გაუსწორდნენ ამა წლის აპრილს ლესელიძეში გამართული მიტინგიდან დაბრუნებულ სტუდენტებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს პარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი და მილიციის თანამშრომლები — იცის, თუ როგორი ფიზიკური და სულიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მათ ქართველ ახალგაზრდებს, მაგრამ იგი არც ამ შემთხვევას შეუშფოთებია. ქალბატონი ტ. ბოკუჩავა-გაგულია არც 9 აპრილის ტრაგედიას აუღელვებია დიდად, რამეთუ ეს თავყრილობა „ანტისაბჭოთა“ მიტინგად მოუნათლავს, ხოლო მისი მონაწილენი წარმოუდგენია ხალხთა შორის შუღლის ჩამომგდებად. ეს ცილისწამებაა ქართველი ხალხის მიმართ, რომელთანაც მას გვარის გარდა არაფერი აკავშირებს.

ხალხთა შორის მეგობრობის საფუძვლების დადგენა ბოკუჩავა-გაგულიამ კულინარიის რეცეპტურის ცოდნამდე დაიყვანა. იგი მიმართავს პროპაგანდისტულ, დემაგოგიურ ხრიკს — ოჯახში ყველანი რუსულ ენაზე ვლაპარაკობთო. გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ აფხაზისა და ქართველის მიერ შექმნილ ოჯახში სალაპარაკო ენად გამოყენებულია არამშობლიური ენა. აგრეთვე ვგმობ იმ აფხაზს თუ ქართველს, რომელმაც არ იცის თავისი მშობლიური ენა. როგორ შეიძლება შეიყვარო სხვა ერის ენა, როდესაც შენი არ იცი? როგორ გგონიათ, ქ-ნო ბოკუჩავა-გაგულია, განა იმ ოჯახებში, სადაც მშობლიურ ენაზე საუბრობენ, ნაკლებ პატივს სცემენ რუსულს?

არა ვარ დარწმუნებული, რომ „Советская Абхазия“-მ ეს წერილი დაბეჭდოს და ამიტომაც გადავწყვიტე ქართული ტექსტი შემედგინა. გარწმუნებთ, რომ არც რუსულად გამიჭირდებოდა ჩემი მოსაზრების გადმოცემა.

რაც შეეხება იმას, თითქოს მიტინგს ანტისაბჭოთა ხასიათი ჰქონდა, ეს სრული სიყალბეა. ამის შესახებ პრესაში და ტელევიზიაშიც ითქვა. ეს იყო მშვიდობიანი მიტინგი. თუმცა ყოვლად შესაძლებელია თქვენ მოვლენათა ფაქტები „Красная звезда“-დან, „Сельская жизнь“-იდან და „Время“-დან იცით, რადგანაც ასე გაწყობთ და თქვენი წარმომშობი ერისადმი რატომღაც უნდობლად ხართ განწყობილი.

საქართველოს ერთი დიდი უბედურება, სამწუხაროდ, ისიც არის, რომ მის მიწაზე ჯერ კიდევ ბლომად ბოგინობენ ქართული გვარის მატარებელი ვითომდა ინტერნაციონალისტები, თქვენნაირად „მოაზროვნე“ ადამიანები, რომლებიც ჩვენს ისედაც მცირე ერს დაღუპვისა და გადაგვარებისკენ უბიძგებენ.

ვფიქრობ, რომ ასეთმა აღმზრდელებმა სწორი მიმართულება მისცენ ახალგაზრდობას, მოზარდ თაობას საქართველოში მცხოვრები ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე.

**ს. აბშილავა**

---

წავიკითხე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ტ. ბოკუჩავა-გაგულიას წერილი, რომელმაც ბევრი საფიქრალი აღმძრა.

„მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ“-ო, — მოგვმართავს ქალბატონი ტ. ბოკუჩავა-გაგულია. ქართველ ხალხს, მე მგონი, ამის შეხსენება არ სჭირდება. საქართველო მუდამ მზად იყო შეეფარებინა სხვადასხვა მიზეზთა გამო დევნილი ხალხები, როგორც უცხო ქვეყნებიდან, ისე კავკასიის მთიანეთიდან.

წერილის ავტორი მოგვმართავს, „არ ვიცი, ეს ვის აძლევს ხელს, მაგრამ მაშინ, როცა მთელი ქვეყანა გარდაქმნის გზაზე დგას, როცა აუცილებელია თავდაუზოგავი მუშაობა, მოზარდი თაობის ერთა შორის სიყვარულით და ურთიერთგაგების სულისკვეთებით აღზრდა. შეიძლება ასეთი პროვოკაცია, ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდება?“

ასეთივე კითხვით მინდა მივმართო ქალბატონს და თან ვთხოვო, დაფიქრდეს რატომ, რა მიზეზებით, ვისი პროვოკაციით ხდება, რომ აფხაზეთის მიწაზე, სადაც წირვა-ლოცვა საუკუნეების მანძილზე ქართულად სრულდებოდა და სადაც ძწიგნობრობა ქართულ ენაზე ვრცელდებოდა, მის საკუთარ ქართულ-აფხაზურ ოჯახში მშობლიური ენის ნაცვლად, ყველა არამშობლიურ ენაზე ლაპარაკობს? რატომ ხდება, რომ აფხაზთა ნაწილი საუკუნეების მანძილზე დამყარებულ ძმობას უარყოფს?

მე ჩემი ოჯახის ცხოვრებას არავის მაგალითად არ ვუსახავ, მაგრამ მინდა ქალბატონ ტ. ბოკუჩავა-გაგულიას მოვახსენო, რომ ჩემი მეუღლე არ არის ქართველი — რუსი გახლავთ. მისი წინაპრები თითქმის 200 წლის წინ ჩამოვიდნენ საქართველოში, შეითვისეს და შეიყვარეს ქართული ტრადიციები, ენა, კულტურა. ჩემს ოჯახში სალაპარაკო ენა ქართულია. ეს არ გვიშლის ხელს გვიყვარდეს რუსული ენა, რუსული კულტურა.

ჩვენ, ქართველები, დიდი ისტორიის მქონე სასწაულით გადარჩენილი პატარა ერი ვართ. ჩვენ უნდა გაგვიფრთხილდნენ და ჩვენ თვითონვე უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას, ჩვენს თვითმყოფადობას.

ჩვენს გვერდით ისტორიამ პირისაგან მიწისა აღგავა და გაანადგურა საკმაოდ დიდი სახელმწიფოები და ერები. პატარა, ბრძოლით დაღლილი საქართველო კი მაინც არსებობს.

**ნანა ბაბალაშვილი**
თბილისი

---

წავიკითხეთ თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ“. გვინდა, ვკითხოთ მის ავტორს, ქალბატონ ტ. ბოკუჩავა-გაგულიას, რა მიზანს ისახავდით, როცა ამ წერილს წერდით, ვის წისქვილზე ასხამდით წყალს?

თქვენ წერთ, თბილისის ამბებმა გული გვატკინაო, რაც ძალზე საეჭვოა. განა შეგეძლოთ იქ დატრიალებული ტრაგედიის აღქმა, როცა იქაურ მიტინგებს „ანტისაბჭოურს“ უწოდებთ, ხოლო ლიხნში გამართულ აფხაზთა შეკრებას — „საბჭოურს“, კულტურულს, კორექტურს. თანაც გვიოძლვრავთ, იქ რაც წყდებოდა, აფხაზეთის მიწაზე მცხოვრები ყველა ეროვნებისათვის სასარგებლო იქნებაო. ვინ მოგცათ უფლება, ყველა ეროვნების ხალხის სახელით ილაპარაკოთ? როგორი აღტაცებული ბრძანდებით ხალხთა მეგობრობის ნამდვილი მტრების მიერ მოწყობილი თავყრილობით, სადაც მახვილი ილესებოდა ქართველთა ზურგში ჩასაცემად. ბარაქალა თქვენს ქართველქალობას! ეტყობა, არ გახსოვთ ჩვენს ქვეყანაში მიღებული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ეროვნებათა შორის ურთიერთობებს და კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი, თორემ არ გაგიჭირდებოდათ იმის გარკვევა, რომელ ერსა აქვს დამოუკიდებლობის მოთხოვნის უფლება, არადა, პედაგოგ ქალს, თანაც სახალხო განათლების წარჩინებულს, მეტის ცოდნა გმართებთ.

ურთულესი ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი სამზარეულო რეცეპტების გაცვლა-გამოცვლით გადაგიწყვეტიათ, ხოლო თქვენი მაღალი ინტერნაციონალური ვალი იმით მოგიხდიათ, რომ აფხაზურ ოჯახში ქართველ ქალს ყველა რუსულად გიმეტყველებიათ. თქვენნაირ რომ ეფიქრათ ათასი წლის და ქართველ დედებს ჩვენი საერთო ისტორიის ძნელბედობის გზაზე, დღეს არც აფხაზური და არც ქართული ენა არ იარსებებდა.

ქართველები აკვნის ჩვენს ქართულად ვმღერით, ჩვენს სატირალს ქართულად ვტირით და ქართულად ვლოცულობთ. ჩვენ ერთი ღმერთი გვყავს, მას მშობლიური მიწა და მშობლიური ენა ჰქვია. მისთვის სიკვდილიც შეგვიძლია (რამდენიმე დღის წინ ხომ ესეც დამტკიცდა?).

ჩვენ დიდი პატრიოტები ვართ და ამიტომაც — ყველაზე დიდი ინტერნაციონალისტებიც. თქვენ კი საკუთარ ოჯახშიც სხვის ღმერთზე ლოცულობთ, შვილებს მამისეული ენა დააკარგვინეთ, რომ არაფერი ვთქვათ თქვენს მშობლიურ ენაზე და ამის შემდეგ სხვის შვილებს პატრიოტებად აღზრდით? ამაზე ჩვენში ამბობენ: „კაცს მამა დავიწყებოდა და მამინაცვალს ფიცულობდაო“. ეს ხომ მშობლიურის ღალატია და თქვენი ინტერნაციონალისტობა როგორღა დავიჯეროთ?

ჩვენ ვსწავლობთ, პატივს ვცემთ რუსულ ენას, რადგან იგი საბჭოთა კავშირში ერთა შორის ურთიერთობის ენაა. ვაფასებთ ნამდვილ, პატიოსან რუს ადამიანებს, ცრემლიან დღეებში ასე რომ დგანან ჩვენს გვერდით. აფხაზ ხალხს კი თანამოძმეებად მივიჩნევთ, რადგან განუყოფელია ჩვენი მიწა, ჩვენი ისტორია. საბედნიეროდ, ამ უბედურების ჟამს ჩვენს ირგვლივ საკმაოდ არიან არაქართული ეროვნების ადამიანები, რომლებიც გმობენ თქვენს სამარცხვინო პოზიციას, ქართველო ქალბატონო, რადგან ერთმუჭა სეპარატისტთა მისწრაფებანი მხოლოდ მტრობის, შუღლისა და ბოროტების მომტანია აფხაზი და ქართველი ხალხისათვის.

პატივცემულო მასწავლებელო! ჩვენ არ შეგვეძლო დუმილი, რადგან თქვენი ცალმხრივად დაწერილი წერილი არც პატრიოტი და არც ინტერნაციონალისტი ავტორის ნააზრევი არ არის, ამიტომაც თქვენ არ გაქვთ უფლება მოძღვრავდეთ სხვებს!

**ბულრიფშის რაიონის ახალგაზრდა მასწავლებელთა კლუბ „მოძღვარის“ წევრები**

---

ქ-ნო ტ. ბოკუჩავა-გაგულია! განმაცვიფრა და სიმართლე გითხრათ, ძალზე გამაღიზიანა თქვენმა წერილმა, რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ 28 აპრილის ნომერში დაიბეჭდა. ამიტომაც გადავწყვიტე ორიოდ სიტყვით მეპასუხნა თქვენთვის.

თქვენ, რომელმაც მთელი თქვენი ოჯახით უარყავით მშობლიური ენა, მორალს უკითხავთ ხალხს, რომლისთვისაც წმინდათა-წმინდაა საქართველო და ქართული ენა. თქვენ, მეგობრობას ასწავლით ხალხს, რომელსაც არასდროს გაუვლია გულში სხვა ერის მიმართ მტრობა და შუღლი, არასოდეს ყოფილა ნჩაგვრელი. იქნებ უფრო სამართლიანი ყოფილიყო, მაგ წერილით მიგემართათ აფხაზი ხალხისათვის, რომლის ერთმა ნაწილმა, მართლაც, რომ, ზურგი შეაქცია, საქართველოსა და ქართველ ხალხს.

რატომ უნდა ლაპარაკობდნენ ქართველი დედის აღზრდილი, აფხაზი შვილები ოჯახში რუსულად?! როგორი შეიძლება იწოდო თქვენს ოჯახს — ინტერნაციონალური?! როგორ შეიძლება იჯამო სხვისი, თუ პატივს არ სცემ და უარყოფ შენსას?

მე არ ვაპირებ ამ წერილით თქვენში ქართული სულის გაღვიძებას. ვფიქრობ, ეს ძალზე გვიანია და უშედეგოც იქნებოდა, უბრალოდ მინდა ჩემი საპასუხო წერილი მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით დავამთავრო:

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად,
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

**ნანა კობახიძე**
თბილისი

---

ქალბატონო ტ. ბოკუჩავა-გაგულია, თქვენგან განსხვავებით, ამ წერილს ცივი გონებით ვწერ, რადგან აღშფოთება ცუდი მრჩეველია, არსის ჩაწვდომის საშუალებას არ იძლევა და შეიძლება კაცს ისეთი რამ ათქმევინოს, რომ დიდ სირცხვილში ჩააგდოს.

გთხოვთ მიცნობდეთ: წარმოშობით გალიდან ვარ, დიხაზურგიდან, ნინო ეთერია და, ასე თუ ისე, აფხაზები ჩემთვის მთლად უცხონი არ არიან.

ორი კატეგორიის აფხაზი ვიცი: ერთნი არიან „აფხაზები“, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ ნამდვილ აფხაზებთან, რადგან ზოგი მუსულმანთა ჯიშისაა, ზოგიც ჩვენი ძვირფასი თანამემამულეა, მაგრამ სუფთა ქართული გვარის გასწვრივ დიდი სიხარულით ჩაიწერა ეროვნება აფხაზი, არა აფხაზთა სიყვარულით, არამედ ეროვნულ უმცირესობასთან მიტმასნებისა და ამით, რბილად რომ ვთქვათ, უპირატესობის მიღების მიზნით. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ აფხაზთათვის მეფის რუსეთის მიერ უპირატესობის მინიჭება სულაც არ ყოფილა მათდამი დაუოკებელი სიყვარულით გამოწვეული, ეს იყო მზაკვრულად გამიზნული ხერხი, რადგან მეფის რუსეთმა მშვენივრად იცოდა, რომ ქართველებშიც აღმოჩნდებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ეროვნების დაკარგვის ხარჯზე, თუნდაც ჯარს აარიდებდნენ თავს, სამაგიეროდ კი ამით ერის ერთსულოვნება დაირღვეოდა. ქართველთა გააფხაზების ეს წესი დღესაც დიდი წარმატებით გრძელდება. ყველასათვის ცნობილია, რა სიძნელეს წარმოადგენს აფხაზეთში ქართველისათვის სამსახურის შოვნა, ან რა ადვილია ინსტიტუტიდან მისი გარიცხვა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ გააფხაზებული ქართველი უამრავია, გაქართველებული აფხაზი კი, რა ვიცი, არის კი? მაშ, აფხაზთა რა დისკრიმინაციაზეა ლაპარაკი? რომელი ჰკუათმყოფელი დათმობს თავის გაბატონებულ, გალაღებულ ეროვნებას და ნებით ჩაეწერება დაჩაგრულებში?

ზემოთ აფხაზთა მეორე კატეგორიაც ვახსენე. ეს ის აფხაზები არიან, ნამდვილი აფხაზები და არა მოგონილნი, რომელთაც დიდი ხნის წინათ ვხვდებოდი ოჩამჩირესა თუ სოხუმში და დღესაც მათ მოგონებას სითბო მოაქვს ჩემი შორეული ბავშვობიდან. ხალხი ამაყი და პატიოსანი, სამართლიანი და მოუსყიდველი, ასეთებად დამამახსოვრდნენ ისინი. ალბათ, ცოტანი დარჩნენ, თორემ „ლიხნის შეკრება“ არ შედგებოდა და „აფხაზთა წერილი“ არ დაიწერებოდა.

თქვენ აღშფოთებული ბართ იმით, რომ „თბილისის ანტისაბჭოთა მიტინგების მიზეზად დასახელებულია აფხაზი საზოგადოების ლიხნში გამართული შეკრება". დაიჯერებთ თუ არა, თქვენი ნებაა, მაგრამ მიზეზი მართლაც ეს იყო და რადგან ქართველ ხალხს მარტო ეს სატკივარი არა აქვს (ჩვენ ბევრი საერთო სატკივარი გვაქვს და ამას დაფიქრება უნდა), შემდეგ სხვა საკითხებმაც იჩინეს თავი. ძლიერი აზვირთება კი სწორედ იმ წერილმა გამოიწვია, სადაც ქართველ ხალხს სწამებენ ისეთ ცოდვას, რაც არასოდეს ჩაუდენია—სხვა ხალხის ჩაგვრას.

როდესაც ბრძანებთ, აფხაზთა სურვილია იცხოვრონ უფრო თავისუფლადო, პასუხად მხოლოდ ერთს მოგახსენებთ: იმის დასამტკიცებლად თუ ვინ ცხოვრობს აფხაზეთში თავისუფლად ან შეზღუდულად, გადაბედეთ წიგნების მაღაზიებს სოხუმში და დათვალეთ ყოველი ასი წიგნიდან რამდენია რუსული, სომხური, აფხაზური და ქართული. დათვალეთ და ნახავთ, რომ აფხაზებსა და ქართველებს ბოლოდან მეოთხე და მესამე ადგილი გვეჭირავს.

გულისტკივილით შევხვდით თბილისში მომხდარ ტრაგიკულ ამბებს, ამბობთ და დასძენთ: „ახლა ჩვენი ვალია ძალ-ღონე არ დავიშუროთ ჩვენს რესპუბლიკაში კონფლიქტის შესაწყვეტად. ჩვენ ხომ მტკიცე მეგობრობა, სისხლისმიერი ნათესაობა გვაკავშირებს და ვერავინ მოახერხებს ჩვენს გათიშვას". კეთილი, ბატონო, დავიჯერებ, რომ გული გეტკინათ და წინაღუდგებით კიდეც ჩვენს გათიშვას, ამიტომ მგონია, თქვენ კი არა, ვიღაც სხვამ მიაწერა თქვენს წერილს ბოლო აბზაცი: „რაც შეეხება აფხაზეთისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ეს სასიკეთო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის". თუ ეს ნამდვილად თქვენი სიტყვებია, მაშინ ესეც ისეთივე „შეუვალი" ლოგიკითაა სავსე, როგორც მთელი „აფხაზური წერილი". დიდი სიყვარული კი იგალობეთ, მაგრამ ხედავთ, მაინც საით მიგიწევთ გული?

**ნინო ეთერია**
თბილისი

---

ჩვენს გულში თქვენმა წერილმა მოუშუშებელი ტკივილი დატოვა. წერილი დაიბეჭდა ტრაგიკული ამბების მომდევნო დღეებში, როცა ქართველი დედები, ბავშვები და მოზარდები ცდილობდნენ დაეცვათ დემოკრატიის მაღალი პრინციპები. უდანაშაულო ადამიანთა დაღვრილი სისხლი პროტესტი და გაფრთხილებაა არაადამიანური სისასტიკის წინააღმდეგ, რომელიც შეიძლება სხვა ხალხსაც დაატყდეს თავს. ეს იყო ვერაგული აქცია (ღამით! გარიჟრაჟზე!) მოშიმშილეთა მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ. ამიტომ 9 აპრილის ტრაგედია არ შეიძლება განხილული იქნას, როგორც მხოლოდ ქართული მოვლენა. ამის დასტურია სწორედ ის მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები, რომლებიც ჩვენს პრესაშია.

და მაინც რას მოითხოვდა ქართველი ახალგაზრდობა? აქ თქვენი წერილი ემთხვევა „ექსტრემისტების" მოთხოვნებს, კერძოდ — იცხოვრონ უფრო თავისუფლად, გაატარონ კეთილგონივრული პრინციპები (გარდაქმნა), თავად განაგებდნენ საკუთარ მიწა-წყალს (სუვერენიტეტი), ისტორიის ობიექტურობის დაცვა, და აი, ტრაგიკული ამბების ფონზე, ჩნდება თქვენი წერილი, სადაც წერთ, რომ დაჰყავით რა თბილისში ორი დღე, თქვენ ქართველმა გამოიტანეთ ასეთი დასკვნა „რუსული ლაპარაკის გაგონებაზე ზურგს გაქცევენ" და თქვენ, „თქვენი თანამოძმეების ნაცვლად შეგრცხვათ". თქვენ პედაგოგი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი ბართ და უნდა იცოდეთ, რომ არც ერთ რესპუბლიკაში არ არის ასეთი მრავალენოვანი განათლებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სისტემა. ცნობილია თქვენთვის, ქართული კულტურის ერთი მოღვაწეც კი, რომელიც ილაშქრებს რუსული ან სხვა რომელიმე ერის ენის წინააღმდეგ?

ლაპარაკი რუსეთის კულტურისა და ენის მნიშვნელობასა და ღირსებაზე ზედმეტია, ეს ყველასათვის ცხადია.

მაგრამ რა შეიძლება ვთქვათ, როცა აფხაზეთიდან თბილისში ჩამოსული საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი ვერ ლაპარაკობს თანამოძმეებთან საკუთარ ენაზე?! რით შეიძლება ამის ახსნა? რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა, არა? შეიძლება ეს ტრაგედიაც იყოს!

თქვენ წერთ, რომ მეუღლე აფხაზი გყავთ, თქვენ ქართველი ბართ, ოჯახში კი რუსულად ლაპარაკობთ... მინდა შეგახსენოთ აურაცხელი მაგალითი, როცა მეუღლეები სწავლობდნენ ერთმანეთის მშობლიურ ენას და, უპირველესად, იმ ქვეყნის - ენას, სადაც ცხოვრობდნენ. ეს კი მხოლოდ პრაქტიკული ურთიერთობით არ იყო განპირობებული, არამედ ცივილიზებული ხალხების მაღალი კულტურის გამოვლინებაა.

თქვენ — რუსული ენის მასწავლებელი — ცდილობთ აფხაზ ბავშვებს ჩაუნერგოთ პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის გრძნობა, მაგრამ შეიძლება ლაპარაკი პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმზე, როცა ეს თვისებები არ ეყრდნობა ეროვნულ ფესვებს? ინტერნაციონალიზმი არ შეიძლება იყოს ეროვნული საფუძვლის გარეშე, ისევე როგორც — ხელოვნებაში ეროვნულის გარეშე არ არსებობს ინტერნაციონალური ნაწარმოები. ეროვნულ ფესვებს მოწყვეტილი ადამიანები დეგრადირებული, გაცვეთილი მონეტებივით გამოიყურებიან.

თქვენ წერთ, რომ სოფელ ლიხნში აფხაზი საზოგადოება კორექტულად და კულტურულად იქცეოდაო. გვებადება კითხვა, შეიძლება თუ არა კორექტული დავარქვათ მოქმედებას, რომელიც ხდება იმ ხალხის ზურგს უკან და ჩუმათვე ზემდგომ ორგანოებს ეგზავნება იმ სახის წერილი, რომელსაც „აფხაზური წერილი" ჰქვია და მიმართულია იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისთანაც, თქვენი თქმით, „გვაკავშირებს მტკიცე მეგობრობა და სისხლისმიერი ნათესაობა". და, თქვენი აზრით, ესაა კულტურის გამოვლინება.

უპირველეს ყოვლისა, როგორც პიროვნების, ასევე ხალხის კულტურა — ეს წესიერება და ჰუმანურობაა. მინდა ჩემი წერილი დავასრულო ცნობილი ფილოსოფოსის ალბერტ შვაიცერის სიტყვებით: „საზოგადოების კულტურის განმსაზღვრელია კონკრეტულ საზოგადოებაში ჰუმანურობის არსებობა" და ამას დავუმატებ კიდევ — კეთილგონიერების არსებობაც.

**გია ჯუზაბრია**
კინორეჟისორი

---

როგორც ყოველთვის, 28 აპრილსაც მოუთმენლად ველოდი „ლიტერატურულ საქართველოს", მაგრამ გაზეთის მე-4 გვერდზე მოთავსებულმა სტატიებმა პირდაპირ აღმაშფოთა. ყველაფერს ვფიქრობდი, მაგრამ საქართველოსათვის ამ მეტად ძნელბედობის ჟამს თუ ქართველი ქართველს ესროდა შხამიან ისარს, ნამდვილად არ მეგონა, მხედველობაში მაქვს ტ. ბოკუჩავა-გაგულიას წერილი „მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ". სათაურმა, ცოტა არ იყოს, დამაიმედა, მეგონა, ჩვენი ქართველი თანამემამულე გაგვამხნევებდა, თანადგომასა და თანაგრძნობას გამოგვიცხადებდა, მაგრამ, მტერს, რაც მან ჩვენთვის გაიმეტა. აღარ მიკვირს საკავშირო პრესაში 9 აპრილთან დაკავშირებული უამრავი სიყალბე, როცა შინაურსაც ვერ გაურჩევია მტყუანი და მართალი, ან გაურჩევია და განგებ ამღვრევს წყალს. მინდა, მოგმართოთ, უცნობო ქალბატონო, თქვენ აღშფოთებიხართ იმას, რომ „თბილისის ანტისაბჭოთა მიტინგის მიზეზად დასახელებულია აფხაზი საზოგადოების ლიხნში გამართული შეკრება", მაგრამ არაფერს ამბობთ იმ ე. წ. „აფხაზურ წერილზე", რომელმაც ასე „შეამკო" ქართველობა.

„მე ქართველი ვარ" — აცხადებთ თქვენ, მაგრამ ვერაფრით ამტკიცებთ თქვენს ქართველობას.

თავი მოგწონთ იმით, რომ აფხაზი დედამთილი თქვენს შვილებს „ქართული სიმღერებით ნაზ და მელოდიურ იავნანას უმღეროდა". მაგრამ თქვენ თუ როდისმე უმღერეთ თქვენს შვილებს ის „ნაზი და მელოდიური ქართული იავნანა?".

თბილისში ჩამოსული გაგაკვირვათ იმან, რომ რუსული ლაპარაკის გაგონებაზე ზურგს გაქცევდნენ. არა! რუსულის გაგონებაზე არ გაქცევდნენ ზურგს. ნუთუ, მართლა ვერ მიხვდით, რატომ გექცეოდნენ ასე? უკვირდათ, აფხაზეთიდან ჩამოსულ ქართველს თბილისშიც რომ არ გაეჩნდათ სურვილი ქართულად ლაპარაკისა.

თქვენს წერილში ერთი სალი აზრი გამოკრთა: „ჩვენ ხომ მტკიცე მეგობრობა, სისხლისმიერი ნათესაობა გვაკავშირებს და ვერავინ ვერ მოახერხებს ჩვენს გათიშვას", ამით რომ დაგვემთავრებინათ, კიდევ გვექნებოდა დაიმედების საშუალება, მაგრამ ბოლომდე ხომ უნდა გეთქვათ სათქმელი და თქვენც არ დააყოვნეთ: „რაც შეეხება აფხაზეთისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, ეს სასიკეთო იქნება ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის". საოცარია, რატომ აძლევთ თავს იმის უფლებას, რომ თქვენს რესპუბლიკაში მაცხოვრებელი ქართველების მაგიერ ილაპარაკოთ, რომლებსაც ვერ წარმოუდგენიათ აფხაზეთი საქართველოს გარეშე და ისინი არც თუ მცირენი არიან. ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველოს ერთიანობას უფრო ადრე შეერყეოდა საფუძველი.

ნათქვამია, „შიშს დიდი თვალები აქვსო" და მეც, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მკვიდრს, მაფიქრებს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა, ქართველთათვის ამ ღვთით ბოძებული მიწიდან ყველა წილს მოითხოვს და აღარც კი ფიქრობენ თხის პატრონს თხის კუდი მაინც თუ შეხვდება. დროა, გონს მოვეგოთ, თორემ უკულმართად ხვნამ და ფარცხვამ დალუპა ქვეყანა, დაგვაკარგვინა ესოდენ საწუკვარი თავისუფლება და ახლა მიტინგზე აქა-იქ თუ გამოკრთა ლოზუნგები „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს"-ო, ესეც ანტისაბჭოთა მოქმედებად იქნა მიჩნეული, რამაც საფუძველი მისცა ქალბატონ ტ. ბოკუჩავა-გაგულიას თბილისური მიტინგები ანტისაბჭოთად მოენათლა.

ჩემი აზრით, დროა რესპუბლიკაში მაცხოვრებელმა ყველა ერისა თუ ეროვნების წარმომადგენელმა ჩაიხშოს საკუთარი ვნებათაღელვა და იღვაწოს ერთიანი საქართველოსათვის.

**ცეზარ ჩოჩელი**
ქ. ლენინგორი

---

ქალბატონო ტ. ბოკუჩავა-გაგულია, „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული თქვენი წერილით ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს ახლობელმა ადამიანმა დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მომაყენა.

თქვენ, დედა, მასწავლებელი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, ნუთუ სულით ხორცამდე არ შეგძრათ 16 წლის გოგონების, ქალბატონებისა და ყმაწვილების უდანაშაულო სისხლის ღვრამ, მათმა ტრაგიკულმა ბედმა? იმის მაგივრად, რომ წერილში განსაკუთრებული აღშფოთება და შეძრწუნება გამოგეხატათ 9 აპრილის ბარბაროსული აქციის წინააღმდეგ, კადნიერდებით და თავს ნებას აძლევთ წერილში უმთავრესი ადგილი დაუთმოთ სრულიად უსაფუძვლო, გაუმართლებელ საყვედურებს, საჩივრებსა და მოთხოვნებსაც კი, და მხოლოდ სადღაც ბოლოში, სხვათა შორის ამბობთ: „გულის ტკივილით შევხვდით თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენებს". იაპონიაში მცხოვრები ქართველი ქალის თავის მეუღლესთან ერთად ჩვენი ხალხისადმი გამოგზავნილი თანადგომის ბარათი მაინც წაგეკითხათ, იქნებ გაგეგოთ, როგორ უნდა მოიქცეთ თანამემამულეების წინაშე მძიმე დღეებში.

ნუთუ „ანტისაბჭოთა მიტინგად" მიგაჩნიათ იმ საბედისწერო ჟამს თავშეყრა მრავალრიცხოვანი ადამიანებისა, რომლებიც სანთლებით ხელში „მამაო ჩვენოს" — ლოცულობდნენ და საქართველოს ძლიერებას უმღეროდნენ? თქვენ წერთ — „აფხაზები არასოდეს არავის არ დევნიდნენ, სტუმართმოყვარეობას იჩენდნენ მათ წინაშე მცხოვრები ყველა ადამიანებისადმიო". განა დღეს მათ ვინმე დევნის, ან სტუმართმოყვარეობას უწუნებს? რის საფუძველზე უყენებთ ასეთ ბრალდებებს ქართველებს? თითქოს თავი მოგწონთ, ოჯახში ყველა რუსულად ვლაპარაკობთო. განა უფრო ბუნებრივი არ იქნებოდა, ოჯახში, სადაც მამა აფხაზია, დედა კი ქართველი, სალაპარაკო ენა აფხაზური ან ქართული ყოფილიყო? ან ორივე ერთად? თქვენ თურმე გაგაოცათ და „თანამოძმეების ნაცვლად" შეგრცხვათ კიდეც, როდესაც თბილისში ქართული გვარის მქონე ქალს ქართველი კოლეგები ქართულად დაგელაპარაკნენ, თქვენ მათ ეს ზურგის შექცევად ჩაუთვალეთ. მე კი თქვენს მაგიერ მრცხვენია, ასეთ რამეს რომ წერთ. თქვენ არათუ ცდილობთ ოჯახში ქართული ენა დანერგოთ, არამედ, როგორც ჩანს, თვითონაც გაურბიხართ ამ ენაზე ქართველებთან საუბარს. ჩვენ, ქართველებს გვყავს არაერთი რუსი მეგობარი. გასულ წელს სვერდლოვსკიდან ჩვენთან, უნივერსიტეტში იყო ორი რუსი ქალი, მეცნიერებათა კანდიდატები. ისინი ქართველებისა და ქართული კულტურის ძეგლების მიმართ ისეთი პატივისცემით გამსჭვალნენ, რომ ქართულად წერა ისწავლეს, სადღესასწაულო ბარათებში რამდენიმე სიტყვას ქართულადაც მწერენ. რომელი ქართველი არ არის აღტაცებული პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის ენით, შემოქმედებით, მაგრამ თუ რუსთაველის ენა მისთვის მშობლიურია, ის უნდა დაივიწყოს?

**ელენე ოზოლაშვილი,**
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

---

წავიკითხე „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებული სტატია „მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთ". დარწმუნებული ვარ, ამ სტატიის პასუხად მრავალი გამოგზავნის საპროტესტო წერილს.

რაოდენ გულსატკენია, როცა საქართველოს მიწა-წყალზე დაბადებული ქართველი ზურგს აქცევს ქართველობას. იგი არც მშობლიური ენის დამფასებელია და არც მეუღლის ენისა. წარმოგიდგენიათ? თურმე გული წყდება ქალბატონ ბოკუჩავა-გაგულიას იმაზე, რომ ქართველები მას ზურგს აქცევენ რუსულად ლაპარაკის გამო. მე კი შემორცხვენია ისეთი ქართველი, რომელსაც სხვა ენაზე ლაპარაკი და აზროვნება უფრო ემარჯვება.

ამასთან, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო ოდითგან და მისთვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება ყოვლად დაუშვებელია. ეს იგივეა, რაც საქართველოზე, როგორც ერთ მთლიან ცოცხალ ორგანიზმზე, ჩაატარო კიდურის ამპუტაცია და იმავდროულად ილაპარაკო მის ერთიან და ჰარმონიულ განვითარებაზე. ნუ დაავიწყდება ქალბატონ ბოკუჩავა-გაგულიას, რომ აფხაზეთი ქართველების მამა-პაპისეული მიწაა, და აფხაზები საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლებთან ერთად, თანაბარი უფლებებით ეწეოდნენ ცხოვრებისეულ უღელს, მათ საერთო ჰქონდათ წარსული, კულტურა, ხელოვნება, ძეგლები, აფხაზეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს მრავალი ქართველი, რომლებსაც, ჩვენდა საბედნიეროდ, უყვართ მშობლიური ერი, ენა და არ აპირებენ შთამომავლობის გადაგვარებას. ამგვარი აქტი კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს მათ ქართველობას აღნიშნულ ტერიტორიაზე.

**მარეხ ძმანაშვილი**
თბილისი

---

ქ-ნო ტ. ბოკუჩავა-გაგულია, თქვენივე სიტყვებით მინდა მოგმართოთ: „შეიძლება ასეთი პროვოკაცია, ხალხთა შორის შუღლის ჩამოგდება?", ისიც ვისგან, ისევ ჩვენი სისხლისა და ხორცისაგან, რომელიც თურმე სახლში რუსულად ლაპარაკობს, თვითონ ქართველია და მეუღლე აფხაზი ჰყავს. მაშინ, საინტერესოა, თუ ოჯახში ორი ეროვნების ადამიანები ხართ, მესამე ენა მშობლიურად რად გაგიხდიათ?!

მე და ჩემი მეუღლე ოცი წლის წინ ორი შვილით საცხოვრებლად გადავედით რუსეთში. ორივე ფიზიკოსები ვართ, ერთად ვმუშაობდით და სამსახურში თუ საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე რუსულად ვლაპარაკობდით, (ჩვენს შორის კერძო ლაპარაკიც რომ ყოფილიყო), რადგან ამით პატივს ვცემდით იმ მიწას, იმ რესპუბლიკას, სადაც ვცხოვრობდით, თუმცა ამას არავინ გვაიძულებდა. ოჯახში კი მშობლები შვილებს მხოლოდ ქართულად ველაპარაკებოდით, ქართულ წიგნებს ვუკითხავდით, რადგან ქართულ სისხლს, ქართულ სულს (რასაც საუკუნეები ვერ შეცვლის, რაც ფერეიდნელი ქართველების ჯიშმა დაამტკიცა), ქართული სიტყვა სჭირდება რწმენის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად. თუ ჩვენ, დედები შვილებს არ ავანთებთ სამშობლოს სიყვარულის გრძნობით, ნანას ვუმღერებთ სხვა ენაზე, მაშინ არ იქნებოდა არც საქართველო, არც აფხაზეთი (და არც სხვა ერი), და ადამიანები აკაკის ლამურას დაემსგავსებოდნენ.

მე სამი შვილითურთ დავბრუნდი საქართველოში 1988 წლის სექტემბერში. ჩემს ვაჟებს საშუალო და უმაღლესი განათლება რუსეთში აქვთ მიღებული, მაგრამ მათ ისევე იციან ქართული, როგორც რუსული ენა, და მე ამით ვამაყობ.

და ასეთი მარტო მე როდი ვიყავი რუსეთში, იქ იყვნენ და არიან ქართველი ოჯახები, რომლებისთვისაც მშობლიურ ენას აქტუალობა არ დაუკარგავს. მათი შვილებიც, რა თქმა უნდა, რუსულ სკოლაში სწავლობენ, რადგან მოსკოვში, მიუხედავად ქართველი ოჯახების მრავალრიცხოვნებისა, ქართული სკოლა არ არის.

ქალბატონო ტ. ბოკუჩავა-გაგულია, თქვენ წერთ, რომ ორდღიან შეკრებაზე იყავით თბილისში, „გაგაკვირვათ და გაგაოცათ იმან, რომ რუსული ლაპარაკის გაგონებაზე ზურგს გაქცევენ", თქვენი „გაოცება" მტკნარი სიცრუეა, პროგრამა „ვრემიასი" არ იყოს.

მოგწონთ და მიესალმებით აფხაზეთისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას და სასიკეთო საქმეს უწოდებთ ამას ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის. საქართველოში ცხოვრობს 80-მდე ეროვნების ადამიანი. ავიღოთ ბერძნები, ან სომხები. ისინი საქართველოს სსრ-ში იცხოვრებენ თუ აფხაზეთის სსრ-ში, როგორ ფიქრობთ, სახალხო განათლების წარჩინებულო მუშაკო, მათთვის სულერთი არ არის?! მაშ რომელ „წარმომადგენლებზეა" აქ ლაპარაკი, რატომ იღებთ თქვენს თავზე ამხელა პრობლემის გადაწყვეტას? რამ აგაღებინათ ხელში კალამი და რამ დაგაწერინათ ასეთი წერილი ყოველივე იმის შემდეგ, რაც თბილისში მოხდა? არც ერთი სიტყვა სამძიმარისა... ყველა კეთილი ნების ადამიანი შეძრა და შეაძრწუნა ქართველი გოგონებისა და ვაჟების, ჭაღარა დედების ხოცვა-ჟლეტამ, რომლებმაც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს თავიანთი წმინდა სისხლი და თქვენ რა მოგივიდათ, რამ გაგიცივათ ასე გული?

**იზა ვაშაყმაძე**
თბილისი

---

ქალბატონო ტ. ბოკუჩავა-გაგულია, თქვენმა წერილმა, გულწრფელად მინდა მოგახსენოთ, რომ, იმდენად არ აღმაშფოთა, რამდენადაც გამაოცა. რადგან მე მასში ვერც ქართველი კაცის გულისტკივილი დავინახე და ვერც ობიექტურად მოაზროვნე მეგობრობის მქადაგებელი.

წერილი კი დაგისათაურებიათ, მეგობრობას უნდა გავუფრთხილდეთო, მაგრამ თავად რას აკეთებთ ამისათვის? მოგეხსენებათ, მარტოოდენ ქართულ-აფხაზური კერძების დამზადებით ეს საქმე რომ კეთდებოდეს, მაშინ უფრო სხვა დონეზე და ინსტანციებში მოგვარდებოდა ეს საპირბოროტო საკითხი.

საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებაზე და მისი დიდი ისტორიის ცოდნაზე პრეტენზიას მე არ ვაცხადებ, მასზე ალბათ ამ საკითხში კომპეტენტური პირები იტყვიან სათქმელს, მაგრამ იმ ელემენტარულის ცოდნა კი გვევალებათ, რომ: „ძვ. წ. I ათასწლეულში დღევანდელი აფხაზებით დასახლებული ტერიტორია შედიოდა კოლხეთის სამეფოში" (ქ. ს. ე. საქართ. სსრ. 50 გვ.)...

„ეგრის-აფხაზეთის სამეფო, ძირითადად ქართული ქვეყანაა, არა მხოლოდ ტერიტორიულ-ეთნიკურ-ეკლესიურად, არამედ ენობრივადაც. ამ სახელმწიფოს ტერიტორიისა და მისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა განსაზღვრავდა იმ გარემოებას, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (ქართები, მეგრელ-ჭანები, სვანები) ეროვნული ენა ქართული იყო" (საქ. ისტ. ნარკვევები II ტ. გვ. 428).

ვერც „დაჩაგრული" აფხაზი ხალხის გამო თქვენი გულისტკივილი გავიგე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაპატიეთ კადნიერება — ოჯახში აფხაზურად ილაპარაკებდით. რაც შეეხება თქვენს კიდევ ერთ მოსაზრებას, აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მაინტერესებს, გაქვთ თქვენ მისი მორალური უფლება, რომ აფხაზეთში მცხოვრები 43,9% ქართველების, 16,4% რუსი, 15,1% სომეხი, 17, 1% აფხაზი ხალხის სახელით ილაპარაკოთ?

მეგობრობას კი ნამდვილად უნდა გავუფრთხილდეთ.

**ქეთევან ჭულუხაძე,**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტი.

# პატარა წიგნები

ოთარ ჩხეიძე

## ლადოს წიგნი

„ზამთრის თეთრი ნზე ელვარებს ტყეში, ცახცახებს ზამთრის ჭოლლკარე მზე...“

ეს ლადოს პატარა წიგნიდანაა, ლადო სულაბერიძისა.

ამ წიგნს „შორეული სხივი“ დარქმევია, შორეული, შორეული, და პეიზაჟიც შორეულია რაღა თქმა უნდა ქართველი კაცისათვის, შორეულია რაღა თქმა უნდა: ეს ჰო გათოშილი მზეა, გაყინული მზეა და ელვარებაც ყინულისაა, ყინულის მზისა!.. ტყეც იქაურია, დათვებიცა, ჰო რა თქმა უნდა, ირმებიცა, ქარებიცა, მწარე, სუსხიანი ქარები, მირაჟებიცა, — მირაჟები აუარებელი, მხოლოდ იმითი რო მოითქვამს სულსა, მხოლოდ იმითი, რო ესეც არ იყოს, ეს წარმოსახვანი მოჰრილი თვალისა, გაძლება რო ველარ მოხერხდება; ყორნებიც ჰო იქაურია, — იქაურია, მირაჟების იქითაც რო ყორნებია, ყორნების საუფლოა, იქითაცა და აქეთაცა, ყორნების საუფლოა, შუაში მირაჟია და ადამიანი, გატანჯული, გაწამებული, რისთვისაო, რო ვერ იკითხავდა, რო ვერც ამოხსნიდა, ვერც რო მაშინაო, აგერ ამდენი დრო რო გასულა, აგერ ამდენი რო უფიქრია, ვერც რო დღეს ახსნის, ვერა, ვერ ახსნის, ვერ ამოხსნის ამოუხსნელსა.

ლადოს წიგნიდანაა...

ოღონდ:

აქ ეს ყველაფერი შედარებით უფრო ნაკლებია, შორეულიო, შორეული სხივილა გახლავთ, მეტი რო იყო ადრინდელ წიგნებშია, რო დაბრუნდა პოეტი, როგორც იყო რო დაბრუნდა, რო ჩამოაღწია, იმეამინდელში, მეტი იყო და იკლო, იკლო თანდათანობითა, იკლო და უნდა, სულაც რო გამოეთხოვოს, უნდა, სწყურიან, მაგრამ ის თვითონ როდი ეხსნება: ამოვარდება მოულოდნელადა, ამოვარდება და ჩაიჭედება ქართულ პეიზაჟში, რო ეტყობა, რო უცხოა, აშკარად უცხოა, ოღონდ ჰერი როა მოუშორებელი, მარად მდევარი და მარად შემზარავი, ჩიტი რო ჩიტია, აქაურ ჩიტებს რომ შეჰხარის პოეტი, სცივათ იმათაცა, სცივათ, აკანკალებთ, მობუზულან და ფრთებიდან თავი ვერ გამოუყვიათ, ვერ გაუნავარდიათ მაისის ლაჟვარდში, ქართულ ლაჟვარდში იქაური ცა რო ელანდებათ, რო მოჰყოლიათ სუსხი იქაური, რომ მოჰყოლიათ და რო არ ეშვება; იკლოო, მაგრამ ზარი მაინცა რეკავს იქაური, თვალს მაინცა სჭრის პოლარული სხივი, სხივები, მომნუსხველი და მოუცილებელი.

იკლო მაინცა, რაც უნდა იყოს, ხოლო მაშინაცა: რო მოჰარბებულიყო ციმბირისა თუ ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკების სურათები თუ განწყობილებანი პოეტის ლექსებში, მაშინაცამეთქი, ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა ის ისტორიაი შემზარავი, ცოტა სხვაგვარადა და უფრო სხვაგვარად წარმოგვიდგებოდა, ვიდრე ამ უამრავ მოგონებებსა, ჩანაწერებსა, დღიურებსა თუ ნარკვევებშია, რაც რო ქვეყნდება ამ ბოლო წლებში ყოფილ ტყვეთა თუ გატანჯულ ადამიანთა სახელითა, — ცოტა სხვაგვარადაცა და უფრო სხვაგვარადაცამეთქი, ვიმეორებ და დავძენ იმასაცა, რო არც უპირისპირდება რაღა თქმა უნდა, თვითონვე რო განუცდია და გადაუტანია საკუთარ ზურგზედა, რასაც რო მოგვითხრობენ სხვანი ესოდენ ძრწოლითა და სულის ცახცახითა, არ უპირისპირდება, არა ცხადია; ამაზე სულაც არაფერს ამბობს, ანთუ არ ჩახდევს დაწვრილებითა, მხოლოდ გაიაზრებს, როგორც პოეტი, როგორც ხელოვანი, გაიაზრებს და გამოხატავს პოეტური სახეებითა, განზოგადებული სახეებითა, ესთეტიზირებული სახეებითა, ისე, რო შემზარავსაც რო თავისებური იერი გადაჰკრავს, პოეტური რაღა თქმა უნდა, თუ გნებავთ, რო ამაღლებულიცა, რადგან პოეტური რო მაინც მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ მიისწრაფის, ტრაგიკულშიც რო ეძიებს მშვენიერსა. და ეს თვით ტრაგედიაა პოეტური სულისა, ანთუ თავდაღწევის ცდაა განწირული სულისკვეთებისაგანა; ანთუ რაც უნდა იყოს: ის მასიური, ის სახალხო აურა, სახალხო კატორღა, სახალხო გადასახლება ციმბირის მიწაზედა, რა ხაზაბითაც არ უნდა ყოფილიყო, პოეტმა მაინც წარმოიდგინა შემოქმედებადი დემონური სულისა, ყინულეთის დასახლების დემონურ წყურვილად წარმოიდგინა, და თითქოს ახსნაც მოუძებნაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა: „ციმბირო შენც ხარ დედამიწა, შენც გინდა კაცი.“ თითქოსაო რაღა თქმა უნდა, თვითონაც რო წამებული გახლდათ, ჯვარცმული, გატანჯული, რო აღარც ელოდა იქიდან გამოხსნასა, არა, აღარა, მოულოდნელს რო არავინ ელოდა რაღა თქმა უნდა, ისე იმგვარად რო დაუფლებოდა ნება ერთი ადამიანისა, ჟინი ერთი ადამიანისა, გონებასა უამრავთა, უამრავთა შესაძლებლობასა, ღონესა უამრავთა, დაუფლებოდა, მოეგრიხა, ალვირი ამოედო; და ცოტა უფრო მეტი ჩაღრმავებაცა სჭირდებოდა ამის ახსნასა: გაწამებულიყვე და ეძიებდე ზოგადსა, მაინც ადამიანურსა, ეძიებდე, თუმცა რა დემონურსა, მაინც ჰო მაინც, ადამიანური გონის ფარგლებშია, — ცოტა უფრო მეტი ჩაღრმავება სჭირდებოდამეთქი, მაგრამ პოეტი ველარ უღრმავდებოდა უფრო მეტადა, ვერც რომ მაშინა, ვერც იმის შემდგომა, და ეს ალბათ იმიტომაო, ის განწირული სულისკვეთება რო ველარ ჩამოეხსნა, ნაჭიჭგნი სხეული რო სტკივა ისევ. ის "სხვაა, როცა შორიდან გაიაზრებ, ის სხვაა, როცა მაინც ვერ იშორებ, შორდები და მაინც ვერ იშორებ. არის წამებაი და არის შიში რო კვლავ წამებისა, თუნდაც რო მხოლოდ ქვეცნობიერით, მაინც ისე ძლიერი თუ ძლევამოსილი, რო გითრევს ისე, რო გიმორჩილებს ისე, თვითონაც რო ველარ გაგიგია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თეზისი იქნება მსჯელობისათვისა, ერთი და არა პირველთაგანი, პირველი რო მაინც ის იქნება, ის იდუმალი, ის საწყისი პოეტური, ყოფიერებას რო გარდასახავს მხატვრულ სახეებადა, გადაიტანს, გარდაქმნის, გარდასახავს, ესთეტიკურ ძალოვანებას რო მიანიჭებს, ფილოსოფიურ განზოგადებას რო მიანიჭებს.

შევნიშნე ეს თავის დროზედა.

კიდევაც გამოვთქვი, უფრო მკრთალადა და მინიშნებებითა. მაგრამ ეტყობა რო ჯერ კიდევ რო მაინც ადრე იყო, — შორს დაიჭირა რევაზ მარგიანმა, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა, მაშინდელმა, შორს დაიჭირა: რას ერჩი მაგ კაცსა, ისევ იქ გინდა გააგზავნოო; ანთუ შენს თავს რას ერჩი, ანთუ მე რას მერჩი, ჩვენც მაგასვე მოგვაყოლებენო. თუმცა რო რისხვა გადავლილიყო, ჰაერი ისევ გატენილიყო შიშითა. წერილი მაინც დაიბეჭდა. საბედისწეროც არაფერი არ მოჰყოლია. ოღონდ მთავარი აქ მაინც ის არის: ლადომ რომ განვლო ის პერიოდი, განვლო უკვე კარგახანია, რაც ახლა იწყება ჩვენს ლიტერატურაში, იწყება იმა სისხლიანი დღიურებითა, მოგონებებითა შემზარავითა, რომ ქვეყნდება და ქვეყნდება ამ ბოლო ხანებშია, რო გვეგონა, რო დაკარგულიყო ყველაფერი, ანთუ იმათ ეგონათ რო, იმ ხალხსა შემზარავსა, თითქოს ყველაფერი ჩაიფარცხებაო, თითქოს ყველაფერს ის დაერქმევა, რაც ჩვენ დავარქვითო, — იწყება და ამან ეს განვლო; მწერლობა ახლა უახლოვდება ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებსა, ეს უკვე შორდება, შორდება და ეჩქარება სულაც გაეცალოს, სულაც განერიდოს, ოღონდ ესაა, რო ის არ ეშვება, ჩასციებია და არ ეშვება, ეხსნება დროდადრო მწარე იარები, ანთუ ამოეფინება იგი სახეები, ამოეფინება და ამოეფინება გარემოი იგი, ფონი იგი, სადაც რო წამება გადაუტანია ჯოჯოხეთური, არაადამიანური, გადაუტანია თვითონაცა და სხვებისაც უხილავს; გადაუტანია და აღარ უნდა, გადაუტანია და უნდა გაექცეს მოლანდებებსაცა, არათუ ნაკლებსა განსაცდელადა, ვიდრე რო იგი სინამდვილე გახლდათ, სინამდვილეი ჯოჯოხეთური; უნდა გაექცეს მოლანდებებსაცა, უნდა, უნდა, და მაინც მოჰყვება სხივი შორეული, ცივი, შემზარავი, შემაძრწუნები, თავზარდამცემი, ის შორეული, ამ წიგნსაც რო იგივე მქვიან, და ზაფხულშიაც რო აკანკალებს, რო აკანკალებს თბილისშიც ისე, მაგადანში რო აკანკალებდა.

არ ვიცი, წერდა თუ არა დღიურებსა,

არ ვიცი, მოგონებების დაწერას თუ აპირებს,

არ მიკითხავს,

არც ვეკითხები:

ომი, ტყვეობა, საკონცენტრაციო ბანაკები, იქითურიცა, აქეთურიცა, გამოძიებანი, დაკითხვანი, თუნდაც ეს აქაური დაკითხვანი, მძიმეა ცხადია მოსაგონებლადაცა, და არ მიკითხავს, თვითონაც რო გახსენება არ უნდა, მხოლოდ ის იყო, ერთხელა შევაპარე: ციმბირის კატორღას მაინც როგორ გაუძელიმეთქი. რა გითხრა, იციო, იქ ასი გრამი პურისათვის შეიძლება თავი გასწირო. ბევრმაც გასწირა თავიო. მეტს იმუშავებ და ასი გრამი პურით დაგაჯილდოებენო. მეტსაცა მუშაობდნენ, ძალას იტანდნენ და თანაც გადაჰყვებოდნენ ხოლმეო. მეო, მარტო იმდენსა ვხანხალებდი, ზეზეულა რო არ გავყინულიყავიო, მარტო იმდენსა, ჩხირის საფასურისაც არ გამიკეთებია იმაზე მეტიო. მითხრა და დადუმდა, დადუმდა და ეტყობოდა, რო კიდევ რაღაცა უნდოდა რო ეთქვა: ეტყობოდა და კიდევაც მითხრა კარგახნის შემდგომა, თვითონვე მითხრა, თვითონვე წამოიწყო: რო მოთავდა ყველაფერიო, ოცდახუთწლიანი მუხლი რო წამომიყენესო, ჩემი ძიების მასალებიც მომიწყეს ტომებად შეკრული, გაეცანი და ხელი მოგვიწერეო. ვიჯექი და ვფურცლავდი იმე. რო ვერც ვერაფერსა ვხედავდიო. ანთუ რაღა უნდა დამენახაო, იქ ჰო ჩემი სისხლი და ხორცი იყო ჩაკერებული, სისხლისა და ხორცის ჩემის ნაფლეთებიო. და უცებ თვალში რაღაც სხვა მომხვდა, მწერალთა კავშირის გერბი მეცნო, ჩემი დახასიათება მოეთხოვათ და გამოეგზავნა მწერალთა კავშირსაო. თვალი ამეხილა და ვკითხულობდი, ვკითხულობდი და არც ვუჯეროდი თვალსაო: ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალიო, საიმედო მომავლის მქონეო, თავმდაბალი და ერთგული მუშაკიო, — ვკითხულობდი და არ ვუჯეროდი თვალსაო, ძალა მაინც ვიგრძენი, ადამიანობა ისევ ვიგრძენი, ადამიანურად რო მახასიათებდა ეს ერთი ფურცელი, სხვა დანარჩენს რო რაღაც უბედურებად წარმოვესახეო. სიმონ ჩიქოვანი აწერდა ხელსაო. მეც მოვაწერე ხელი ყველაფერსა და ისე ავდექი, ისე გამოვედი, ოცდახუთი წელი რა იყო, სახრჩობელაზედაც ავიდოდი წარბშეუხრელადაო. ასე გამოვედიო. ასე მჯეროდაო. და იცი, რა გითხრა: ალბათ ამან თუ გამაძლებინაო. ალბათამეთქი.

და გრიალებდა ჯაზი.

„ივერიის“ დარბაზში ვისხედით, დიდ დარბაზშია. ცმუკავდნენ, ხტოდნენ, იგრიხებოდნენ დამკვრელები, დამღეროდნენ რომელიღაც ზანგურ მოტივებსა, დამღეროდნენ თუ გაჰკიოდნენ, გაჰკიოდნენ თუ ჰხაოდნენ, ჰხაოდნენ, ანთუ ჰხაოდნენ და გაჰკიოდნენ კიდევაცა. ჩვენ სადღაც კუთხეში მივკუნჭულიყავით, იქაც რო ძლივას გამოგვიძებნეს ადგილი, ჯერ რო არც გვიშვებდნენ შიგა. უცხოელი ტურისტებით გაჭედილიყო დარბაზი. ჩვენ კუთხეში მივჭედილიყავით. ტურისტებს რაო, არც ეტყობოდათ თუ მოხიბლულიყვნენ ჯაზითა, როგორღაც ისეთი ტურისტები შეყრილიყვნენ, არც ეტყობოდათ. ოღონდ და მაინც სხვა რამ წამომაგონდა და ვიტყვი ამასაცა: ჩვენ რო კუთხეში მივჭედილიყავით, ის ჰო მოგახსენეთ და ეს კიდევ ისაა რო: ეს სულ ვალუტაა, დოლარებია ეს ტურისტები, ხოლო თუ სად მიდის ეს დოლარები, რესპუბლიკამ რო არც რო იცის აგერ აქამდისა. რესპუბლიკა!.. თუ სად მიდის თუ რამდენია, ისიც რო არ იცის. რესპუბლიკა! ხოლო ის თურმე იცის, იცის და ცდილობს კიდევაცა, 200 დოლარი რო როგორმე იშოვნოს, ჩვენი ეკოლოგიური საზოგადოება რო წევრად მიიღონ საერთაშორისო ეკოლოგიურ გაერთიანებაში, იცის, ცდილობს. არ მოეპოვება. რესპუბლიკა!.. 200 დოლარი... „ღმერთო შენ მოჰხედე ამ ჩვენს უმდიდრესსა და ულატაკეს სამშობლოსა, ღმერთო, ღმერთო, ღმერთო შენ მოჰხედე!..“ ხმამაღლა ვამბობთ, ჭიქებსა ვწევთ და ვამბობთ ხმამაღლა, ოღონდ არ ისმის არაფერი რაღა თქმა უნდა, ჯაზი რო გრიალებს და რო გაჰკივიან დამკვრელები თუ სოლისტებიც გამოუყვანიათ, სულერთია ჰხავიან და გაჰკივიან ერთდროულადა, გაჰკივიან და იგრიხებიან ერთნაირადა, იგრიხებიან და იმტვრევიან, ჰიხვინებენ და იკლაკნებიან. არ ისმის არაფერი. ჩვენი ხმა არ ისმის. ჩვენ მაინც არ ვამბობთ ამათ გასაგონადა, ჩვენ ჰო მხოლოდ ღმერთს ვევედრებით...

თუმცა ისიცაა, —

ლადოს ვედრებაც აღარა სჩვევია.

აქ, ამ წიგნში მაინც არავის არაფერს არ ევედრება, — სატრფოსაც არა, წარმოსახულსა თუ რეალურსა, ნუ ჩავეძიებით, მთავარი ისაა, რო არ ევედრება.

იცის თუ რა გაუტანელია წუთისოფელი, იყო და არის: „ვერავინ ხედავს შენს ტანჯულ სახეს“, — იცის და არც უნდა, ტანჯულის სახით რო ეჩვენოს ვინმესა, არც უნდა და ლამობს დაჰფაროს კიდევაცა: ის თავისია, თავისთვისა აქვს, შენ არ მოგახვევს და თანაგრძნობასაც არ მოითხოვს შენგანა, არც რო ის უკვირს, — ვერავინ რო ვერა ჰხედავს შენს ტანჯულ სახესაო, არ უკვირს, არა, მხოლოდ აღნიშნავს, როგორც რო მოვლენასა ჩვეულებრივსა იქა, იმ ყოფაში, სხვაც რო გატანჯულა და რო დაკარგულა უნარი თანაგრძნობისა, დაკარგულა, გამქრალა, არა, არ უკვირს რაღა თქმა უნდა. ოღონდ ესაა, რო იქვე ასეთი სტრიქონებიც შეგხვდებათ: „მე ვიგრძნობ მაშინ შენს გულს შეკუმშულს, ნაცემი კაცის ბოღმით გატენილს“, და ასეთიცა, — „დაგდევენ გიჟურ თავდავიწყებით და გძულს გაჩენის დღე და საათი“, ესეცა აგრეთვე, — „წიხლებით ტყავი შემოგაფლითეს“, — ესეცა და უარესიცა, რაც მაინც უფრო გახსენებაა განცდილისა, გადატანილისა, თავს რო არ ავიწყებს, თვითონ რო უნდა გამოეთხოვოს, ერთხელ და სამუდამოდ გამოეთხოვოს. უნდა. უნდა. აქ ალეგორიაცაა, ამ ლექსში ცხადია, ანთუ ალეგორიაც ამოეფინება თავისთავადა, ლექსი რო მიუძღვნია ფეხბურთისათვისა, დღევანდელი გატაცებისათვისა ფეხბურთითა, საფეხბურთო აჟიოტაჟისათვისა... და უცებ: „წიხლებით ტყავი შემოგაფლითეს...“ და ეს ჰო დაკითხვის სურათია, დაკითხვისა თუ იძულებისა, ხელი მოგვიწერე, რასაც რო გიბრძანებთო, — იგია, ის არის რაღა თქმა უნდა; იგია, ის არის და სხვაგანაც იგივე აეტუზება, იგივე აჩრდილი, იგივე მოჩვენება, რაიმ საამოსა თუ სასიხარულოსაც რო შეეხებოდეს, იგივე, იგივეი, თვით სატრფიალო ლექსებშიაც გამოელანდება, გამოელანდება და ესეც ისევ თავისასა ლამობს, ლამობს თუ ცდილობს რაც შეუძლიან, რო მოიშოროს, დაუხუჭოს თვალი, ყური მოიყრუოს, გაექცეს, ანთუ გადაიჩეხოს თუნდაც რო კლდეზედა, ოღონდ საშველი რო მაინც არ ექნება, იქაც რო ჩაჰყვება, სულის ამოხვლას მაინც რო არ დააცდის, მაინც რო ფრჩხილებს გაუყრის ყელშია, ფრჩხილებს გაუყრის და სისხლს დაეწაფება. დაეწაფება.

ოღონდ არაო, —

კლდეზე მაინც არ გადავარდება:

მაინც რო შორდება თანდათანობითა იმა უჟმურსა, იმა შემზარავსა, რო შორდება და ეს წიგნიც რო დაშორება გახლავთ, კიდევ ერთი დაშორებაი, ოღონდ ჯერ კიდევ რო გამოკრთება ისიცა, ანთუ მკაცრი პეიზაჟის ნატეხებითა, ანთუ მოულოდნელად ამღერეული განცდებითა, მოულოდნელადა, მოულოდნელადა და თანაც ისეთი ნიუანსებითა, მინელებული თუ მინავლებული ნიუანსებითა, ისეთითა, ისეთითა, გაფაციცებული თვალით უნდა მიხვდე, გაფაციცებული უფროთაცა რაღა თქმა უნდა, რო ჩასწვდე, რო მიუხვდე; სხვა დანარჩენი მხნეობაა, იმედოვნებაა, რო აღარ ელოდა და რო გადარჩა მაინცა, რო დაბრუნდა მაინცა, ამისგან ჩახახული იმედოვნებაა, მხნეობაა ამისაგანა. ეს ბიოგრაფიაცაა და შთაგონებაცა პოეტისა. და თუ პოეზია ბიოგრაფიაა სულისა, ლადო სწორედ ის პოეტია, მიბაძული რო არაფერია მასში, გადამღერებული რო არაფერია. სხვა დანარჩენი მხნეობაა და იმედოვნებაამეთქი, სიყვარულიც არის, სიყვარული, — ეს გაიშვიათებული ხილი ჩვენს პოეზიაშია. გაიშვიათებული. უცნაურია, უცნაური!.. ეგ კიდევ რამდენი რამაა უცნაური... ლადოს მაინც უნდა, უერთგულოს, უნდა და ერთგულობს;

ერთგულობს და ერთგულობდა თუნდაც რო აი ამასწინანდელ ათწლეულში, კიდევ ერთხელ რო დაჰგმეს ეგრეთწოდებული „სალონური პოეზიაი“ და „სამოქალაქო პოეზია“ რო ალაზევეს კიდევ ერთხელა. ბრძანეს და დაჰგმეს, ბრძანეს და ალაზევეს. და დააბნიეს პოეტები კიდევ ერთხელა. დააბნიეს. და სწორედ იმ ხანებში, ერთ წელიწადს, სამი სატრფიალო ლექსი მაინც გამოქვეყნდა და სამივე ლადოსი გახლდათ. გეგონებოდათ, ეს ერთილა შერჩა მომღერალი ამ უმაღლეს მოტივს ლირიკისაო, ამ უმაღლესსა და ამ უალრესსაო. გეგონებოდათ. მართალიც იქნებოდით, იშვიათობად რო იქცა ასეთი ერთგულება სატრფიალო ლირიკისადმი. იშვიათობად იქცა. ოღონდ ისიცაა: დადგენილებანი თუ ბრძანებანი თუ წაქეზებანი თუ დაპირებანი, მხოლოდ ერთი მხარე რო უნდა იყოს, მეორე თუ მთავარი მაინც სხვა იქნება, მთავარი, მთავარი, მთავარი მიზეზი რაღა თქმა უნდა, სხვა იქნება და სხვა არის ცხადია, გამოირკვევა ესეცა აგრეთვე, სხვა დანარჩენიც რო გამოირკვევა; ხოლო მანამდე ლადო ისევ ერთგულად ემსახურება სატრფიალო თემატიკასა. თუმცა ემსახურებაო, არც ისეთი მკაფიო ნათქვამი უნდა იყოს, იქ სადაც „სალონური“ უკვე ახსენეს, ესეც რო მართლაც „სალონური“ არ ეგონოს არავისა, ესეცა, თორემ, მართლაც სალონურმა პოეზიამაც უამრავი შედევრი იცის რაღა თქმა უნდა. ლადო ამისგან განსხვავებულია. ის უფრო ქაცვიახბური ტრფიალების მომღერალია, ქაცვიახბური, დავით გურამიშვილის ქაცვიახბური, — გალაღებული, ცხოველმყოფელი, მძაფრი, ვნებიანი, ბუნებრივი რაც მთავარია, უშუალო და ბუნებრივი. ლადოს ლირიკამ სალონი არ იცის, ტყეებისა როა, მდელოებისა როა, ყვავილნარებისა როა, მაღალი, გასათიბი სათიბებისა როა. რო გადაგორდები და ჩაიმალები, ჩაიმალები და გაინაბები, მარტო არა, მარტო არა რაღა თქმა უნდა — გაინაბებით, მანამდის რო ღელავს სათიბი, ჰღელავს, ჰღელავს სწორედ იმ ადგილასა, ჰღელავს, და ყვავილები რო იცინიან, რო ჰახჰახებენ ყვავილები:

„ჩამოვარდნილი ხიდან ნიავი, მიშველე. ხელში ამაყვანინე, მერე გავგორდეთ იმ ბალახებში და მივეფეროთ მინდვრის ყვავილებს.“—

უფრო ბუკოლიკურია რაღა თქმა უნდა თუ უთუოდ რამეს უნდა შევადაროთ კლასიკური პოეტური ჟანრებიდანა, — ბუკოლიკურია რაღა თქმა უნდა,

ოღონდ კიდევ უფრო შორსაც მიდის პოეტი, სხვა გააზრებანიც შემოდის სატრფიალო თემატიკაში, ეს ისაა, რო ქორწილია მთელი ბუნებისა, ქარი რომ ქარია, ქარის ქორწილიცაა, ტყეებისა მო, ყვავილებისა მო, ფრინველებისა მო, ნადირებისა მო — ირმებისა, მგლებისა, დათვებისა... და ესაა, რო ცოტა სხვა ასოციაციებსაც გამოიწვევს ხოლმე, მაგრამ შორდებამეთქი, შორდება პოეტი, შორდება და შორდებამეთქი, მაინც რო სიცოცხლე სძლევს ყველაფერსა, მაინც რო სიცოცხლის ტრფიალი სძლევს, მაინც ჭაბუკურად რო ძგერს გული ხანდაზმულობაშიცა, სიბერეშიცა. და ლადოს მაინც სწორედ ის წლები ჩაეფშვნიტა უაზროდა, ჭაბუკობისა და დავაჟკაცების წლები, ჩაეფშვნიტა და თითქოს შეენახაო, თითქოს შეენახაო და ახლა წამოეწია, ახლა გამოადგაო, თითქოსაო, თითქოსაო რაღა თქმა უნდა: „მე დაღლილი ვარ და კიდევ ფეთქავს ჩემში ახალი დაღლის წადილი...“ — თითქოსაო თუ ნამდვილადაო.

თავისებურია რაღა თქმა უნდა, თავისებური მოვლენაა და დანახვა უნდა, მითუმეტეს რო შორს როცა მხედავთ, ახლოსაც უნდა იცქირებოდეთ; რასაც რო ვგულისხმობ, აქ აღარ ჩავმყვები. ერთს მაინც დავძენ: რო აღეწერა საკატორღო სურათები ციმბირისაი, დოკუმენტურადა, ნარკვევებადა, რო გაეპარებინა დასავლეთშია, რო გამოეცათ იქა ის წიგნები, მერე ეს აქედან რო გაეძევებინათ, იქა, იქა, დასავლეთშია რაღა თქმა უნდა, უფრო პოპულარული პოეტი ძნელად თუ სხვა ვინმე იქნებოდა დღესდღეობითა. მე ასე მგონია. მაგრამ სხვა გახლავთ ბედი ქართველი მწერლისა: რო ვერც ვერაფერს გააპარებდა დასავლეთშია, ვერა, ვერა, ვერა ცხადია, და ვთქვათ თუ მაინც გააპარებდა, არ გააძევებდა იქ არავინა, არა, ცხადია და რაღა თქმა უნდა, ისევ ყინულეთში უკრავდნენ თავსა, ისევ ყინულეთში, მეორედ რო აღარავინ დაბრუნებულა... წასული ბევრი მინახავსო...

. . . . .

ამ გაზაფხულზე სამოცდაათი წელი შეუსრულდება ლადოსა.

რას აპირებმეთქი.

შევიდეთ „ივერიაში“ მე და შენაო: კოტე მოვიგონოთო, გიორგი მოვიგონოთო, ლადო მოვიგონოთო, ადამი მოვიგონოთო... რევაზი მოვიგონოთო, გაბრიელი მოვიგონოთო, მირზა მოვიგონოთო, ალექსანდრე მოვიგონოთო, ლადო მოვიგონოთო... „ივერიაშიო“...

თუ შეგვიშვესმეთქი.

თუ შეგვიშვესო...

## მედეას წიგნი

„მეთქმევინება და ვამბობ“
მედეა კახიძისა...

აქ არ შეგხვდებათ ნიშანწყალი უცხოსი თუ შორეული პეიზაჟისა; თუნდაც რო ეძებოთ, მაინც ვერ იპოვნით, აქ რო ყველაფერი შინაურია, ქართულია აქ ყველაფერი: ეს ზვიადი კავკასიონი და ჩამოვაკებანი იმისანი, ტყეებითა და მდინარეებითა, აქაფებული მდინარეებითა, ზეობებითა და მდელოებითა, საძოვრებითა და სახნავსათესითა, მადლიანი მიწითა და ლაჟვარდიანი ცითა, ან თუნდაც რო მოღრუბლული ცითა, ისიც ქართულია, ქართული ყველაფერი, ძველიცა და ახალიცა, წარსულიცა და აწმყოცა, მყოფადიცა რაღა თქმა უნდა, და — ნაღველიცა, რო აჰკიდებია, მოსდევს და მოჰყვება გაუნელებლადა; ქართულია, ქართული ნაღველია; ხოლო უცხო რამ თუ შემოგხვდებათ, ეს მიზეზია, მიზეზია უცხოი, მიზეზია შორეული: შენი მიწით რო შენვე ვეღარ გიარსებნია, შენი ცითავე შენვე რო ვერ გაგიხარნია, ლურჯი ცითა, კამკამა ცითა, — ლურჯითა, ლურჯითა, რომანტიკოსები რო ეძიებდნენ, დასავლეთის რომანტიკოსები, რო არ გააჩნდათ და რო ეძიებდნენ, რო სურდათ და რო მიესწრაფოდნენ. ამიტომაა, იქ უფრო ვნებიანი როა ლურჯი, იმათ რომანტიზმში; ჩვენთან არ არის ისე ვნებიანი, ჩვენთან ფერია, ლურჯიც ფერია, ოღონდ სიმბოლოა მშვენიერისა, დაკარგული მშვენიერებისა, თავიდანვე სიმბოლოა ჩვენს რომანტიზმში. იქ შეიძლება რო სიმბოლოც არ იყო თავიდანვე, ეს შეიძლება რო მერე იქცა სიმბოლოდა, ხოლო თავიდანვე, ვთქვათ, ლონდონის ცის შემყურე პოეტისათვის, ალბათ რო რეალური მოთხოვნილებაც იყო, საარსებო მოთხოვნილებაც იყო, სამხრეთის ცას რო მისტანებოდა... ალბათ პეტერბურგელი პოეტისათვისაცა... იმ განსხვავებითა, ისინი რო ბრუნდებოდნენ უკანა, ამათ დაბრუნება რო აღარ ინებეს... და ჩვენი ლურჯი უფრო რთულია, ჩვენი სიმბოლო გრადაციებს გაივლის, ოღონდ მაინც არ იქცევა უსაზღვროებისადმი სწრაფვადა, შეიძლება რო მიეტანოს, მაინც არ იქცევა, ანთუ: უსაზღვროება ამისათვის მხოლოდ თავისუფლებაა, სხვა ყველაფერი შემოსაზღვრულია. და სიმბოლოცაა და საგანიცაა ჩვენი სიცოცხლისა, ჩვენი არსებობისა, ლურჯი, ცაი ლურჯი, კამკამა ცაი, ყოველთვის რო გვეცილებოდნენ, ყოველთვისა, ყოველთვისა და აგერ აქამდისა, დაბეჯითებით რო ითქვას, აგერ ამ ორმოცდაათიან წლებამდისა, ლამის რო აგვყარეს მთლიანადა და ერთპირიანადა, ლამის რო ერთბაშად გაგვიყენეს ჩრდილოეთის გზებსა. ერთბაშადამეთქი. თორემ ნაწილნაწილ ჰო ბევრჯერ გაგლეჯილა ერი, გაგლეჯილა და გაფლეთილა. და გასჭდომია ნაღველი ქართულ პეიზაჟსა, სხვებისათვის რო ასე ლამაზია, ასე მომხიბლავი, ნაღველით ალევსილა, ნაღველით გაჰჟღენთილა, გაჰჟღენთილა და გადასდევს აქედან იქითა, იქიდან აქეთა, ამერ და იმერა, გადასდევს და მოჰყვება იგივე ხეობებსა, იგივე საძოვრებსა თუ სახნავსათესსა იგივესა, საძოვრებმა რო საქონელი აღარ იცის, სახნავსათესმა მიწის მუშა — აღარა, მოსდევს და მოჰყვება... ნაღველი... ნაღველი... მოსდევს და მოჰყვება... და უკვირს პოეტსა: რა მოსწონთ სხვებსა, უკვირს: ჩვენ რაც გვატირებს, რად აზარებთ იმათა, უკვირს: თუ არც უკვირს, ნაღველი მაინც აქ ჩაბუდებულა.

ნაღველი, —
მოსდევს და მოჰყვებაო...

ოღონდ აქ ასეთი სტრიქონებიც შეგხვდებათ:

„რა იქნა
ის ხმა ხალასი,
ის უდარდელი გოგო,—“

მართლაც რა იქნაო, აქ რო არაფერი არ მეორდება ამისი მსგავსი, გამონასხლტომიც რო არა უდარდელობისა, გამონაკრთომიც რო არა სიხარულისაი, არა მეორდება, ოღონდ დაგაფიქრებთ მაინცა: ამასაცა ჰქონია ჟამი ამდაგვარიო, დაგაფიქრებთ და მოგაგონდებათ, ანთუ მოგაგონებთ ადრინდელ ლექსებსა მედეასი, აელვარებულსა თუ ანთებულ ლექსებსა, ანთებულსა სიცოცხლითა, სიყვარულითა სიცოცხლისა, სწრაფვითა, სწრაფვითა შეუცნობისა თუ შესაცნობისადმი, ხალოდნელისა თუ მოულოდნელისადმი; მართლაც რო რა იქნაო, ეს რო მხოლოდ გლოვის წიგნია, ნაღველისა და გლოვისა და მიმანიშნებელი იმისა, რო უდარდელობაი იგი, აელვარებაი იგი, ახალგაზრდობა რო ყოფილა მხოლოდ და მხოლოდა, ბუნება რო ყოფილა, ბუნებისა რო ყოფილა, სიცოცხლე რო ყოფილა, თვით სიცოცხლეი, ხოლო გარემოში, სოციალურსა თუ საზოგადოებრივ გარემოში, ნიადაგი რო არა ჰქონია. წასულა იგი ახალგაზრდობაი და თან გადაჰყოლია უდარდელობა ც ა, დარღვეულა წონასწორობაი ბუნებასა და ცხოვრებას შორისა, სიცოცხლესა და არსებობას შორისა, პიროვნებასა და საზოგადოებას შორისა, დარღვეულა და გაუცხოებულა ყველა და ყველაფერი. გათიშულა. გათიშულა. აი, თუ რა იქნაო. დრო ყოველთვის შემზარავი ყოფილა, ყოველთვის ბუნებას გაულამაზებია დროი, ცხოვრება რო ყოველთვის გაუსაძლისი ყოფილა, ყოველთვის სიცოცხლეს რო აუმაღლებია ცხოვრებაი, ყოფნა რო ყოველთვის დამძიმებულა, ახალგაზრდობას რო გაუხალისებია ყოველთვისა, გაუხალისებია და გაუმხნევებია, ვიდრე თვითონაც რო ქვეშ არ მოჰყოლია დროსა, დროსა, მაინც ულმობელსა, ცხოვრებასა, მაინც გაუტანელსა, და ყოფნასა, ულმობელსაცა, გაუტანელსაცა, გაუტეხელსაცა, მოურეველსა ერთისიტყვითა. და სანაღვლოც ესა ყოფილა და საგლოვიც ესა ყოფილა.

და გლოვაცაა, —

ეს წიგნი გლოვაამეთქი: პატარა წიგნია და გლოვაა დიდი, მოთქმაა გულმდუღარი, ცრემლია დაუშრეტელი, იმა ჟამისაცა, როცა რო თურმე უდარდელი ეგონა თავი, იმა ჟამისაცა, დარდი რო შეიცნო, შხამი რო შეხვრიპა ძირისძირობამდისა. იმა ჟამისაცა. ამა ჟამისაცა. იმა ჟამისაცა: ქვეყანას რო დაეუფლნენ ექსპროპრიატორები და ექსპროპრიაცია რო აქციეს უმაღლეს კანონადა, ხელისუფლებისა, ძალდატანება და მკვლელობა რო გამოაცხადეს გამართლებულ საშუალებ ა დ ა, რწმენა და მორალი რო აიგდეს აბუჩადა, იმა ჟამისაცა და ამა ჟამისაცა: რო ისედაც არ მოჰკლებია უმკაცრესი დებულებანიცა და უამისოდაც რო ანადგურებენ ადამიანები ერთიმეორესა, ისედაცა, ისედაცა, ანადგურებენ თუ ახმობენ: ზეზეულა რო ხმებიან ხეებივითა, ხმებიან, ხმებიან და დაასკდებიან დედამიწასა ერთ მშვენიერ დღესა, დაასკდებიან და ვეღარც ადგებიან, დაასკდებიან და ცვივიან. ცვივიან. და ეს ყველაფერი ერთი ოჯახის ბედისწერას მოჰყოლია, ერთისაცა და უამრავისაცა, ოღონდ აქ მაინც ერთისა გახლავთ: ჯერ რო მამა გამხდარა მსხვერპლი, მერე მეუღლეი, მამაკაცი რო გამოსცლია ოჯახსა, ჭერსა, დედაბოძი რო გამოსცლია, ერთხელაცა და მეორედაცა. ერთი ის — ბავშვობისა გახლდათ, მეორე უკვე — დიდობისაი: გადაჰბმოდა ერთიმეორესა, გადაზრდილიყო ერთიმეორეში, გაგრძელებულიყო, გაგრძელებულიყო. და მაშ როდისღა უნდა ყოფილიყო უდარდელი?.. მაშ ჟამი რომელიღა უნდა მოჰგონებოდეს სიხარულითა თუ თუნდაც მცირე კმაყოფილებითა?.. მხოლოდ ოცნება თუ მოაგონდება, გარდასული, ახალგაზრდული, მხოლოდ ოცნებას თუ მიაჩერდება, გარდასულსა, გადაკარგულსა, რო მაინც უნდა, სინამდვილედ რო დაიჯეროს, ვითომ ისიც რო ყოფილაო. უნდა. უნდა, დაიჯეროს. მე რაღას ვედავები, — ოცნება მაინც მოიგონოს უდარდელობადა. ოღონდ აქ მაინც, როცა კითხულობთ:

„თუმცა შიშველები ჩვენ დავდიოდით იმხანს, სიცივისაგან გვიციმციმებდა თვალი, მამას შარვლები დედამ უნაზა დიდხანს...“

ჰო, რო კითხულობთ, —

შესაძლოა რო გაგახსენდეთ ამერიკელი პოეტი ქალის ედნა სენტ ვინსენტ მილეის „გამოტირებაცა“:

„მისმინეთ ბავშვებო. მამა მოგიკვდათ. იმისი ძველი პალტოსაგან პატარა ჟაკეტებს შეგიკერავთ. მოკლე შარვლებსაც შეგიკერავთ იმისი ძველი შარვლისაგანა.“

შეიძლება რო გაგახსენდეთმეთქი და არ იქნება ეს შემთხვევითი რაღა თქმა უნდა, სიკვდილი რო მაინც სიკვდილია, სიკვდილი რო ყველგანაა და გაჭირვებაც არის ყველგანა. ოღონდ აქ მაინც საგულისხმოა: თუ რაოდენ ბუნებრივია იქ ყველაფერი, ბუნებრივი და ბრძნული, გონიერ საზოგადოებას რო შეეფერება, ზნეობრივად ამაღლებულ საზოგადოებას რო შეეფერება, — მამა გარდაიცვალა, უდროოდ გარდაიცვალა, ოღონდ მაინც ბუნებრივი იყო სიკვდილი იგი, ბუნებრივადაც უნდა გამოიტირონ და „ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. არ მაგონდება თუ რატომაო,“ ოღონდ უნდა გაგრძელდეს, მთავარია, რო უნდა გაგრძელდეს. ეს დედაა, დედის სიტყვებია, მგლოვიარე დედისა, მგლოვიარისა, ოღონდ გულგამაგრებულისა ამავე დროსა, დადინჯებულისა და იმედიანისა. და ეს იქაა, მილეის ლექსში. აქ რო სულ სხვაა, სულ სხვაგვარია, სიკვდილიც რო სულ სხვაგვარია, ტირილიც რო სულ სხვაგვარია: დაბნეულია, ნერვიულია მომეტებულადა, დაძაბულია, მძაფრია მძაფრზედა, შიშიანია, რო არაა ბუნებრივი სიკვდილი, რო არც შეჩერდება, რო ის მოიტაცეს ბანჯგვლიანმა კაცებმა, რო კიდევ შემოცვივიან და კიდევ მოიტაცებენ, ბავშვებსაც მოიტაცებენ, ჰო არც არჩევენ ბრალიანსა და უბრალოსა, მოიტაცებენ, მოიტაცებენ, არც არავინ მოგეშველება, შიში რო ყველას დასტეხია თავსა, ყველა თავის ტყავს რო უფრთხილდება და ილევა უნარი თანაგრძნობისა, ილევა, ჰქრება, ერთგულობის უნარი ჰქრება, თავდადება ჰო ხაღლა გაგონილა, — ჰქრება და ჰქრება, შიშითა, შიშისგანა, ჰქრება და მდაბლდება ხალხი, მდაბლდება, მდაბლდება, მდაბლდება ადამიანობაი, თუ არ ვიტყვით, რო იხრწნებაო, ზეზეულა ხმება, ზეზეულა იხრწნებაო, თუ არ ვიტყვით რაღა თქმა უნდა, ანთუ ნურც ვიტყვით, როცა ისიც მწარე ნათქვამია: ადამიანობა მდაბლდებაო.

და ძნელდება ცხოვრებაი დამდაბლებულ საზოგადოებაში.

ძნელდება,
ძნელდება,
უარესადა ძნელდება,

ანთუ ვითარდება უარესობისაკენაო თუ უარესობაც განვითარებად ითქმის, ანთუ რაც არის, მაინც შეიმჩნევა ეტაპები, რაღაცა ზღვარი მაინც გაჰყვება, რაღაც ინტერვალი მაინც დაიდება: ვთქვათ პირობითად ერთს თუ ძველი ეთქმის, მეორეს ასევე პირობითად თუ ახალიო, აქ დაიდება ინტერვალი, ამათ შორისა. და ალბათ აქვე თუ გაიელვებს „ის უდარდელი გოგოც“, გაიელვებს და გადაიკარგება. ინტერვალს იქით სახეები სულ სხვაგვარია: პოეტური სახეებიცა, პორტრეტებიცა, პეიზაჟებიცა, მეტაფორანი თუ შედარებანიცა, ბნელია უფრო, შიშიანია, შემზარავია გარემოცა და ადამიანებიცა, სადღაც გაიქცეს, რო აღარ იცის, პოეტმა ცხადია, ანთუ პოეტის ლირიკულმა გმირმაო, როგორც იტყვიან. ინტერვალს აქეთ სახეები უფრო ნათელია, უფრო თუ თითქოსაო, — თითქოსაო, თითქოსაო, ნათელია, ოღონდ ლიბრო ნათელია, მოვარაყებული, - მოკრიალებული, ქვეშ რო სიყალბეა, სიცრუეა, ღალატია, ვერაგობაა, იგივე როა ერთისიტყვითა, ოღონდ რო ტუჩებით, თვალითი შუქი რო მოგჭრის თვალსა, რო შენა ხარ და რო შენ აღარა ხარ, რო ჩათრეულხარ და რო ვეღარ დააღწევ თავსა, რო კარს გიმტვრევენ და რო აღარც აღარსაით გიბია კარი, თუ რო დაიცვა, რა თუ დაიცვა, რო ვერ მიმხვდარხარ და ხელფეხიც რო შებორკილი გაქვს, მიხვდი თუ გინდა... და განწირულა ისევ დედაბოძი, ისევ ჭერი ექცევა ოჯახსა, კაცი ექცევა და ექცევა ჭერი. და ისევ ქალია უბედური: ქალიც რო უნდა იყოს და კაციც რო უნდა იყოს ამიერიდანა, რო უნდა მარტომა ზიდოს ტვირთი, მარტომა, მარტომა და ერთადერთმა ამ გაუტანელ წუთისოფელშია — ზიდავდა, ზიდავს და უნდა ზიდოს უმძიმესი ტვირთი: „ვინ გამიმეტა, ქვრივი ქალის სახელი მერქვას...“ ზიდოს და განიცადოს ასე მწვავედა, მწარედა ასე, უფრო მწარედაცა. ეს ტრაგედიაა, ქვრივი ქალის ტრაგედიაა, აქამდის ასეთი ძალით რო არც გამოუთქვამთ ჩვენში. მე აქ პარალელებს მოვერიდები, ჩვენეული იქნება თუ შორეული იქნება, მოვერიდები თუნდაც იმიტომა, თავისებური როა, ორიგინალური როა, განსაკუთრებული როა, და პარალელების ძიება ზედმეტიც რო იქნება რაღა თქმა უნდა. ერთს მაინც ვიტყვი: ჩვენში ცოტა უფრო რომანტიზირებული გახლდათ ქვრივი ქალის სახე, რომანტიზირებული, ამაღლებული, — თითქოს იმიტომ გაჩენილიყოს ქართველი ქალი, მარად ცალად რო დარჩენილიყოს, მარად მარტო რო ზრდიდეს და მარად მსხვერპლს რო ზრდიდეს, სხვა არაფერი თითქოს არც ახსოვდეს, რო არც გააჩნდეს სხვა არაფერი, ქალად ქალობაც რო დაჰვიწყებოდეს, ატროფირებულიყვეს ყველა სხვა გრძნობისაგანა, თვით დედაშვილობის განცდისაგანაცა, ოღონდ მამულს რო უზრდიდეს შვილსა, — ასეთი გახლდათ, ასე ამაღლებული, რომანტიზირებული ასე, რაც აქაც შემორჩა, მედეას წიგნში რაღა თქმა უნდა, ოღონდ მედეა რეალისტია ამასთან ერთადა, ქალი პოეტია, და, როგორც ქალმა, ისედაც დაიტირა, ისედაც გამოსთქვა ტრაგედია ქალისა, ქვრივი ქალისა. ეს ერთის მოთქმაა, ერთისა, ერთის ტრაგედიაა და მაინც მოთქმაა მრავალთა, ტრაგედიაა მრავალთა, არა მხოლოდ რო იმიტომა, ბევრის ბედი როა აქ გაზიარებული, არამედ იმიტომაცა და უფრო იმიტომა რო გააზრებულა თავისებურ მხატვრულ სახეებში, გააზრებულა და განზოგადებულა; ეს ტრაგედიაა ობლისა და ქვრივისა, მდუღარე ცრემლები რო [illegible] ანიდან რო მოწანწკარებს, ეს ნატირლებია დაუსრულებელი.

ნატირლებია დაუსრულებელი, —

ისევ რო გრძელდება ამ წიგნის შემდეგაცა, ისევ რო გრძელდება, ახალახალი სახეები რო მოსდევს, ახალახალი მოგონებანი, ახალახალი სატირალი თუ საკვნესი, ახალახალ წინააღმდეგობას რო გადაჰყრია ქალი, რო გასჭირებია თუ ვერც რო გადაულახავს, და რო უფრო ემწარება ცალუღლად ყოფნაი; ანთუ ისედაც მოაგონდება, დაენანება, სხვა რო არა იყოს რაიო, დაენანება, თუნდაც ეს ამოდენი ხალხი რო არეულა ამ ჩვენს მიწაწყალზედა, ეს ამოდენი შემოხეტებული თუ ბედისმაძიებელი, შემოგზავნილი, შემოყრილი თუ მოპარული, თუნდაც რო თუნდაც დამსვენებელიო, თუნდაც ტურისტიო, სახე რო ირევა ეს ამოდენი უცნაური და უცხოური: ნუთუ შენთვის აღარ იყო აქ ადგილიო... თუნდაც ასედაც მოაგონდება, მოაგონდება და დაენანება კიდევ ერთხელა და კიდევ უფრო მწარედა. ეს ამასწინათ ამოვიკითხე ერთ ჟურნალშია, — კიდევ რო გრძელდებამეთქი, — შავიზღვისპირის პეიზაჟებში, ჩვენთვის რო ლამის მიუვალსა, ანთუ ძლივას რო შესაღწევ პეიზაჟებში. და ეს მოტივი მაინც იმიტომაც ჩამრჩა და იმიტომაც აღვნიშნავ აქა, ამ წიგნშიც როა და რო მეორდება: „ვერ დაგიტევდა განა, მამილო, ჩვენი ორი წყრთა, მიწის ნაგლეჯი, რომ შენს მშობლიურ დედულ-მამულში ვეღარც მოკვდი და ვეღარც დაბერდი...“ მეორდება და გრძელდება, გრძელდება და გაგრძელდება, ვიდრე გაგრძელდება უსამართლობაი... ვიდრე გაგრძელდება.

## მიხეილის წიგნი

„გარდაქმნა“
მიხეილ ქვლივიძისა

უცებ გაიყიდა, სახელიც ისეთი დარქმეოდა, დროული, მოდური, უცებ გაიყიდა. ტარიელ ჭანტურიას აქვს ერთი პაროდიული ლექსი, — რომელი ერთიო, ოღონდ ის ერთი ამ შემთხვევაში: ესეც გაიყიდა, ისიც გაიყიდაო, — თაროებიდან გამქრალ ავტორებს რო მიჰყვება, მაგრამ მიხეილი სწორედ ის პოეტია, რო არასოდეს რო არ გაყიდულა, ყოველთვის რო დროული გახლდათ, ოღონდ შესყიდული არა, მოსყიდული არა, ყოველთვის რო აქტუალური გახლდათ, ოღონდ არა თვალახვეული, არც რო თვითონა და არც რო არავისთვის თვალის ახვევა რო არ უცდია რაღა თქმა უნდა. ეს ტარიელმაც იცის და იმათში არც მოიხსენიებს და მიხეილმაც იცის ტარიელის პოეტური მადლი, ამ წიგნშიც რო ჩაუწერია. ამან გამახსენა სწორედაცა და ამას მოვჰყევი, თორემ სხვაგვარად უნდა დამეწყო, ალბათ რო ისე, თვითონვე რო იწყებს: „არაფერი მჭირს გარდასაქმნელი, სასიხარულო თუ საწუხარი, ქვეყნისთვის რაც კი მქონდა სათქმელი, მტერს და მოყვარეს უკვე ვუთხარი.“ — ასე უნდა დამეწყო, სათაურიც რო სწორედ ამისი მანიშნებელია.

მანიშნებელიცაა და დასტურიც გახლავთ, იმისია რო იცოდა თუ სადა ცხოვრობდა, ვის ხელში ცხოვრობდა, თუ რა ელოდა თუ რისი იმედი უნდა ჰქონოდა, იცოდა და ამბობდა, ამბობდა და ქადაგებდა, დიახ, დიახ, რო ქადაგებდა, რადგან პოეტი-ტრიბუნი გახლავთ მიხეილი და თავის წიგნებზე ადრე თვითონვე მიდის თავის მკითხველებთანა, მიდიოდა და მიდის, დგას და ქადაგებს, თუნდაც რო ღაღადებს, — კითხულობს ისე მკაფიოდა და სახიერადა, ისე ჩამწვდომადა, გულში ჩამწვდომადა, რო ახდევს მკითხველი, ებმება მკითხველი, არ უნდა, პოეტი გაუშვას სცენიდანა, ლექსსაც მოითხოვს და შეკითხვებსაც აყრის,

(დასასრული მე-6 გვ.)

# ქართველ მწერლებსა და მხატვრებს

თანაგრძნობის ნებისმიერი სიტყვები უბადრუკი ჩანს იმასთან შედარებით, რაც თქვენ განიცადეთ, ძვირფასო ძმებო, 9 აპრილის საბედისწერო ღამეს. ეს იყო ადამიანების დაუმსახურებელი დამცირება, გაუმართლებელი სისასტიკე. დაიღვარა უდანაშაულო სისხლი, დათესილია ბოროტება. ძნელი ტკივილი განუკურნავია.

ალბათ შეუძლებელია ახლა ამ ამბის გააზრება. ლოგიკა ფარხმალს ყრის, გონებას არაადამიანური აბსურდი ახშობს...

თავისთავად დემონსტრანტთა შორის უამრავი ქალისა და მოზარდის ყოფნა იმაზე მეტყველებს, რომ აგრესიული ზრახვები არავის ჰქონია — ცნობილია, რომ ქართველები თავიანთ ოჯახებს სათუთად ეპყრობიან.

ზუსტად არ ვიცით, რა ლოზუნგები ჰქონდათ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, რაც არ უნდა თქმულიყო, ვერავითარი ლოზუნგი ვერ იქნება საკმაო საფუძველი ძალადობისა და ბარბაროსობისათვის; იმისთვის, რომ უიარაღო ხალხი, ქალები, ბავშვები დახოცონ, მოწამლონ, დაასახიჩრონ!

სწორედ ასე ფიქრობდნენ ყველა დროის ჰუმანისტები, ასე გვასწავლის ჩვენი საერთო ქრისტიანული, მართლმადიდებლური რწმენა.

თბილისში ბევრ ლენინგრადელს ჰყავს ახლობლები, ნათესავები, მეგობრები და ის, რომ შეუწყვეტლივ წკრიალებდა საქალაქთაშორისო ზარი, ისმოდა შეშფოთებული, თანაგრძნობით აღსავსე ხმები, მოწმობს — ჩვენს შორის, ყველაფრის მიუხედავად, ეროვნული შუღლი არ ჩამოვარდნილა. თუმცა იმ ღამეს დათესილ ბოროტებას შეიძლება უამრავი შედეგი მოჰყვეს.

ჩვენ, რუსებს გვრცხვენია, რომ მათ შორის, ვინც უმწეო ხალხზე აღმართა ხელი, ჩვენი ტომის ხალხიც იყო. მათ შეურაცხყვეს რუსული იარაღის ღირსება და დამსახურებული დიდება, უღალატეს რუსი ჯარისკაცის სახელს, ხელყვეს თავისი ერის ღირსება.

ჩვენთვის საქართველოს კულტურა, მისი ხალხის დიდსულოვნება და გულუხვობა, მისი ენის კეთილხმოვანება ყოველთვის საპატივცემულო იქნება.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ იმის გამო, რომ თქვენს პატარა, მშვენიერ და მრავალტანჯულ მიწას კიდევ ერთი მძიმე განსაცდელი ხვდა წილად.

თავს ვხრით თქვენი მწუხარების წინაშე.

**წერილს ხელს აწერენ ლიტერატორები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ლენინგრადის მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის მასწავლებლები, კათედრის გამგეები, თანამშრომლები, სტუდენტები.**

**სულ 46 ხელმოწერაა.**

## თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი საქართველოს უმაღლესი საბჭოს კომისიის

# განცხადება

**ა. წ. 10 მაისს კომისიის სხდომაზე კომისიის წევრმა, სსრკ სახალხო დეპუტატმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ დასვა საკითხი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, გენერალ-პოლკოვნიკ ი. ნ. როდიონოვის დეპუტატობიდან გაწვევის შესახებ, ნდობის დაკარგვის მოტივით.**

**კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლი, არ შეასრულა საგამომძიებლო კომისიის მოთხოვნა, წარედგინა მისთვის შესაბამისი მასალები და მიეცა ახსნა-განმარტება. მან ყურად არ იღო პრესაში გამოქვეყნებული „ღია წერილი“, რითაც გამოამჟღავნა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიმართ აშკარა უპატივცემულობა, დაარღვია საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-4 მუხლი.**

**კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის წინადადებას და სსრ კავშირის კონსტიტუციის 107-ე მუხლის საფუძველზე აღძრა შუამდგომლობა ამომრჩეველთა წინაშე, რათა განიხილონ საკითხი ამომრჩეველთა ნდობის დაკარგვის გამო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ი. ნ. როდიონოვის დეპუტატობიდან გაწვევის თაობაზე.**

„თბილისი“, 12. V. 1989 წ.

# „მნათობი“ № 5

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ მე-5 ნომერი.

პროზისა და პოეზიის განყოფილებაში დაბეჭდილია: გურამ გეგეშიძე — „სისხლიანი წვიმები“ (რომანი, პირველი წიგნის დასასრული), სოსო პაიჭაძე—„თბილისი, გრძნეული წვიმა“ (მოთხრობა), ქეთევან ჯავახიშვილი—„მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ (გაგრძელება), მირონ ხერგიანი—„ჟამი განლევისა და ალვსებისა..“, თედო ბექიშვილის, გივი ჰიჭინაძის, დალილა ბედიანიძის, შაბურა არაბულის ლექსები.

რუბრიკით „კრიტიკა, პუბლიცისტიკა“ ქვეყნდება წერილები:— ჟანსუღ ჩარკვიანი—„მონოლოგი დიალოგიდან“ (ესაუბრა კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი), ვახტანგ ქელიძე—„ძლიერება სულისა“, ნანა ომარაშვილი—„ლეკთა საქართველოში ჩამოსახლების დრო და პირობები“, თემურ შველაძე—„შენკენ სავალი გზები“.

„მოგონებები, ფაქტების“ რუბრიკით მკითხველი გაეცნობა გრიგოლ რობაქიძის წერილებს დავით კლდიაშვილისადმი (პუბლიკაცია მანანა ნინიძისა).

წიგნების მიმოხილვაში დაბეჭდილია გიორგი ნადარეიშვილის რეცენზია—„გიორგი ბრწყინვალის სამართლის წიგნის“ ახალი გამოცემა.

## მკითხველთა საყურადღებოდ!

**ამ ბოლო დროს ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ხშირად იღებს წერილებს, რომელთა ავტორები მადლობას გვიხდიან საინტერესო პუბლიკაციებისათვის. ამავე დროს აღნიშნავენ, რომ გაჭირდა ჟურნალის თავისუფლად შეძენა „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში. დაინტერესებულ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ „მნათობის“ თავისუფალი გაყიდვა მართლაც შეზღუდულია, სამაგიეროდ, ყველა მსურველს შეუძლია „სოიუზპეჩატის“ ნებისმიერ განყოფილებაში ახლავე გააფორმოს ხელმოწერა ჟურნალ „მნათობზე“ 1989 წლის მეორე ნახევრიდან.**

„მნათობის“ რედაქცია

(დასასრული)

ლექსსაც მოითხოვს და პასუხსაც მოითხოვს, და მიუგებს ესეც, ლექსადაც მიუგებს და მიუგებს ისედაც, როგორც შეუძლიან თუ რაც შეუძლიან, და ის შეუძლიან, რო იყოს მართალი, იყოს პირუთვნელი, — იყო და არის; და რო იყო, საქმეც ის არის: იყო, იყო, და ამას უთუოდ თავისებური ოსტატობა სჭირდებოდა თავის დროზედა, თავისებური ვირტუოზობა სჭირდებოდა, თავისებური სიძნელენიც ახლდა, რაც რო განვლო მიხეილმაცა, მიხეილმაცა, და კარგადაც განვლო.

და უდავოდ პოპულარული პოეტია მიხეილი, თვალსაჩინო და პოპულარული პოეტია, რის ნიშანკვალსაც რო ვერ წააწყდებით ჩვენს სალიტერატურო პრესაში, ვერა, ვერ წააწყდებით, თითქოს რო ვითომც არც გაუგიათ, თითქოს რო ვითომცა მალავენ, — არ ვიცი, რა გითხრათ: ეგება მართლაცა მალავენ, — როგორც ენებოთ, ოღონდ სიმართლე მაინც უფრო ის არის: ამისი წიგნი რო არა ჩერდება თაროებზედა, სკამსაც რო ვერ იშოვნით ამის საღამოებზედა, სიმართლე ეს არის და ვერც ახირდება ვერავინა. ეს ჩვენი ხალხის სიყვარულიცაა პოეზიისა, ეს პოეტის სიყვარულიცაა, სიყვარულიცაა და პოპულარობაცა. მკითხველსა და პოეტს არ დაეცლევათ გზები, მისახვლელი ერთმანეთისთანა, არც დალევიათ და არც დაელევათ. ვისაც რო ეხება, იცოდეს თავისი, იყოს თავისთვისა, იქექოს თავისთვისა. ოღონდ ერთი მაინც საკვირველია და სათქმელიც გახლავთ: ჩვენ უფრო მეტს გვატყობინებენ, ვთქვათ, თითის სიგრძე გოგონების წალენჯიხისა თუ სიღნაღის საჭადრაკო ჩემპიონატის შესახებ, ვიდრე პოეტური შედეგების. შესახებ, მართლაც შედეგების შესახება, — ის კარგია და საპატიოა რაღა თქმა უნდა, ოღონდ და რაო, ამან ვითომ რა დააშავა?!. არაფერი რაღა თქმა უნდა: სპორტს გამოუჩნდა კარგი პოპულარიზატორები, ანთუ ეს უფრო ესაჭიროებათ, პოპულარიზატორები დაჰკარგა პოეზიამ, ანთუ ეს აღარ ეპიტნავებათ, ანთუ რაც არის, ისლა დარჩენია პოეტსა, თვითონვე რო მივიდეს მკითხველთანა, მივიდეს პირდაპირა, მივიდეს უშუალოდა, მივიდეს და მიდის, მიდის და დგას, დგას ხელგაშლილი, დგას გულგახსნილი, დგას თვალნათელი, დგას და ქადაგებს, ქადაგებს თუ ბრძანებს კიდევაცა თავმობეზრებული თუ თავგანწირული: „გააჩერეთ დედამიწა, ჩამოვიდე მინდა!“ ანთუ რაც არის: ქადაგებს თუ ბრძანებს თუ ივედრება, — სახე ძლიერია, — გამეორებაო, ეგება ბრძანოთ, მაგრამ აქ პოეტურ სტროფშია მოქცეული და მეტაფორა მეტ ემოციას იძენს; და თანაც, შესაძლოა ეს მთელი წიგნის ეპიგრაფადაც იგულისხმებოდეს; სახე ძლიერია, კოსმოსური სახეა...

და უჩვეულოც არ უნდა იყოს ამ კოსმოსურ საუკუნეშიო რაღა თქმა უნდა, ოღონდ ის მაინც სხვა არის ცხადია, რო ესწრაფვი, ენი რო გეწევა, რო იპყრობ და იმედები რო გესახება, იმედები დამორჩილებისა, დაუფლებისა, ხოლო ეს სხვაა: „გააჩერეთ დედამიწა, ჩამოვიდე მინდა!“ სხვა არის ცხადია; სხვა არის და ის არის, რო სიდუხჭირე თავისი ქვეყნისა გლობალურად რო წარმოუდგენია, რო აღარსად რო აღარ ეგულება საიმედო აღარაფერი, რო ხსნა არ არის, საშველი არ არის და სატანჯველსა მარადიულსა უჯობს რო დაიმსხვრეს, — გააჩერეთ, რო თავს უშველოს, ანთუ ჩარჩეს უსასრულობაში, შორსა დედამიწისაგანა, შორსა ადამიანთაგანა, გააჩერეთ თუ არა და გადავარდება, რო გაიწყვოს მარადისობაში. ანთუ იქცესლა თანამგზავრადა დედამიწისა; კოსმოსური სახეამეთქი, ოღონდ უფრო რომანტიკული, სინამდვილისაგან რო შეძრწუნებულა, უაზრო ბრუნვისაგან რო შეძრწუნებულა, დედამიწის უაზრო ბრუნვისაგანა და თანაც ასე თავბრუდამხვევი ბრუნვისაგანა. შეძრწუნებულა. განცდა უნდა ამასა, განცდა უნდა და გამოთქმა უნდა. და განცდილიცაა და გამოთქმულიცა ერთი სახითა, ერთი პოეტური სახითა. პოეზია ესაა და პოეზიაში ასე მეტყველებენ. ამიტომაცაა რო პოეზია არასოდეს არ მოსწონდა დესპოტიასა: ან იმსახურებდა ან უარჰყოფდა, დევნიდა თუ უტეხდა სახელსა. და პოეზიასაც უნდა გადაერჩინა თავი, როგორმე უნდა გადაერჩინა. და გაგიკვირდებოდათ ამასწინათ გაზეთში გამოთქმული შენიშვნები პოეტის მიმართა: ამას მაშინ არ დასწერდითო. ეს ისაა „უჯრის პატიმრები“ რო უწოდა პოეტმა და ადრინდელი წლებითაა დათარიღებული. ეს ის ციკლია, ეს ის განწყობილებანია, — ვინ თუ როგორ განსჯის, ეს მისი საქმეა, ოღონდ ეს მაინც ის განწყობილებანია, ის პოეტური განწყობილებანია. საზოგადოება არცთუ მართლა ისეთი ერთსულოვანი გახლდათ, მაშინდელ გაზეთებში რო ამოიკითხავდით, გაზეთებსა თუ ზეგარდმოთა მოხსენებებში რო ამოიკითხავდით. საზოგადოება რო არც არასოდეს ყოფილა ერთსულოვანი, არც მაშინ იქნებოდა, უნდა გვჯეროდეს, იმა მასობრივი დევნისა და გაჩანაგების პირობებშია, არ იქნებოდა, მითუმეტეს არ იქნებოდა. თუ არ გამოითქმოდა, დრტვინავდა მაინცა, ბოლმად ჩაგუბებულიყო გულშია, გზას ეძიებდა გადმოხეთქვისა, ეძიებდა, თუმცა რო შიში ჰზარავდა ქვეყანასა, დღეს უკვე ძნელად გამოსათქმელი შიში, ადამიანურ ენაზე ძნელად გამოსათქმელი. ალბათ თუ ამასა გულისხმობდნენ: ის შიში არაფერს გათქმევინებდათ, ანთუ ამასა: ზოგს რო მართლაც რო ბედნიერება ეგონა, რასაც რო შესცქეროდა, დაარწმუნეს და ეგონა, სხვაც რო მართლაც ბედნიერი ეგონა და ახლაც ველარ წარმოუდგენია, რო არ იყო ბედნიერი, რო არ იყო და რო არც ეგონა, ვერა, ველარ წარმოუდგენია; და მართლაც რო მოუცილებელი ყოფილა: რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდებისო, —მაცდურებაცა რაღა თქმა უნდა, — მოუცილებელი და მოუშორებელი ყოფილა;

ოღონდ აქ მაინც,

რაც უნდა იყოს თუ რისი შედეგიც არ უნდა იყოს, პოეზიას მაინც უნდა გადაერჩინა თავი, პოეზიას მაინც უნდა გაეწირა თავი, უნდა შემოენახა მოვლენები დროისა, დროის შფოთი, დროის დუღილი, წინააღმდეგობის სული უნდა გადაერჩინა, რადგან ქვეყანა რო ვერ გადარჩებოდა უამისოდა, ხალხი ვერა, ერი ვერა, ვერ გადარჩებოდა. უნდა გადაერჩინათ და გადაარჩინა კიდევაცა, ისევ მხატვრულმა ლიტერატურამ გადაარჩინა, მწერლობამ გადაარჩინა, რო ჩაიკეტა აზროვნების ყოველი დარგი, ფილოსოფია იყო თუ ისტორია იყო თუ პოლიტეკონომია იყო თუ სოციოლოგია იყო თუ პუბლიცისტიკა იყო თუ რაც იყო, ჩაიკეტა, ჩაიხშო, გაითანგა და გაიყინა, ისევ მწერლობამ გადაარჩინა, გადარჩა და გადაარჩინა. ამ მხრით მაინც შესასწავლია ჩვენი პოეზია, ჩვენი მწერლობა, ანთუ რა მხრით აღარ არის შესასწავლი?!. და არც გასაკვირია, რო ნიჰილიზმმა რო მოიკიდა ფეხი ჩვენშია, რო აღარაფერი ეგულებათ ჩვენს მწერლობაში, რო სულ სადღაც გაიცქირებიან, რო... ერთი ანდაზისა არ იყოს: თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო... გნებავთ გამამტყუნეთ. გამამტყუნეთ, ოღონდ ერთი რამ მაინც უნდა ვიცოდეთ: ნიჰილიზმი მაინც მხოლოდ თავდაღწევის სურვილია სიძნელეთაგანა, ანთუ მანიშნებელია უილაჯობისა, უნიათობისა, უუნარობისა, ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტა ჰო არის და არის.

ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტაო...

ეს საშიშროება ჰქონდა მიხეილსა, —

არა, სულიერად არა, პოეტურად არა, აზროვნებით არა, მხოლოდ იმიტომა, დიდხანს რო ცხოვრობდა მოსკოვში, ყმაწვილობიდან აგერ თითქმის სიბერემდისა, — ცხოვრობდაო თუ ხორცით რო იქ იყო, სული ისევ რო აქ დარჩენოდა; აქ დარჩენოდა და იქაც ისევ ქართულ ლექსებსა წერდა, ქართულადა წერდა, თუმცა შეეძლო, რო რუსულადაც ეწერა ისეთივე ოსტატობითა, შეეძლო და შეუძლიან, შეუძლიან და კიდევაც წაუქეზებიათ რაღა თქმა უნდა, მაგრამ არაო, არ აჰყოლია ამგვარ ცდუნებასა, არა, წუთითაც არ აჰყოლია, ცდუნებასაო და მართლაც ცდუნებასა, რო უფრო შორს გაუვიდოდა სახელი, რო უფრო აქებდნენ და რო უფრო წააქეზებდნენ ჩვენი რუსი კოლეგები, როგორც რო სხვებიც წაუქეზებიათ, არა ერთი და არა ორი, მშობლიურ ენაზე ვისაც რო აუღია ხელი, რო აღარად მიუჩანს ენაი მშობლიური, ანთუ მავნე ტრადიციადლა მიუჩნევია, ჩამორჩენილობად მიუჩნევია. წარმატებაც ექნებოდა იმათზე მეტი, რო უფრო ექსპრესიულია ამისი ლექსები, რო წარმოსადეგია თვითონაცა, რო უფრო გატაცებითაც გამოდის ტრიბუნაზედა, ლექსის ტრიბუნაზედა; გამოდის და გამოდიოდა იქაცა, მაშინაცა, აღტაცებითაც ეგებებოდნენ, ოღონდ რო კითხულობდა, — კითხულობდა თარგმანებსა, მხოლოდ თარგმანებსა, თავისი ლექსებისა, რუსულ თარგმანებსა და აცხადებდა, რო თარგმანებიაო. თარგმანებიაო. თუმცა რო ფლობდა რუსულ ლექსსა არა ნაკლებადა თავისსავე მთარგმნელებზედა. ვერ იტყვით, რო პატარა ცდუნებააო, ვერა, ვერ იტყვით. რამდენის მოწმე ვართ, რამდენი რო გაუტეხია ამ ცდუნებასა, ვინ უწყის რამდენი და რამდენს კიდევ რა ელოდება, — მიხეილი სხვაა, სხვა ყალიბის კაცია, ცდუნების გარეშე და პირადი კეთილდღეობის გარეშე რო გამდგარა, ის კაცია. თითქოს დიდი არაფერიო, არა?.. მაგრამ აბა ერთი მთელი შენი ცხოვრება გაატარე მაცდურ გარემოში და ალალმართალი დაუბრუნდი შენს სამშობლოსა, ალალმართალი, შეუბღალავი, აბა ერთი და, გაოცდები, გაგაოცებს შენივე თავი.

დაუბრუნდით ერთისიტყვითა.., ოღონდ ისიცაა:

არცთუ ფიანდაზებით შეხვედრია ვინმე სამშობლოში, არცთუ თვითონ ელოდა, რო დაუფენენ ფიანდაზებსაო, არა, არ ელოდა რაღა თქმა უნდა; იცოდა, სადაც რო ბრუნდებოდა, გაჭირვებულ ქვეყანაში რო ბრუნდებოდა: რო უნდა ევლო, ეძებნა სამსახური, რო უნდა ევლო და ბინა ეძებნა, რო უნდა ევლო რედაქციიდან რედაქციაში, გამომცემლობიდან გამომცემლობაში ორიოდე ლექსი რო დაებეჭდა, პატარა წიგნი რო გამოეცა, თუნდაც აი ეს პატარა წიგნი, უნდა ევლო, უნდა ეხვეწნა, უნდა დაემცირებინა თავი, იცოდა, ოღონდ ისიც იცოდა, ბედი რო ეს იყო ჩვენი დროის პოეტისა, ანთუ უფრო მეტი, — ჩვენი დროის ინტელიგენტისა, ბედი რო ეს იყო და რო ვერ ასცდებოდა საერთო ბედსა. იცოდა. სინეკურებზე არაფერს ვამბობ, იმათი ბედი სხვაგან იჭედება, ისინი ყოველთვის ბედნიერნი ბრძანდებიან. ინტელიგენციის ბედს მოგახსენებთ რაღა თქმა უნდა, მთელი რისხვა რო ამან გადაიტანა ჩვენი დროისა, სისხლი რო ამან დაიღვარა ყველაზე მეტი, ადგილიც რო ვერ მოუძებნეს კლასობანას თეორიაში, გასწორეს ისე თუ აბუჩად აიგდეს ისე, ერს რო გამოსთიშეს თუ წაართვეს, წაართვეს ერსა, და ადვილადაც რო გათქვიფეს ერი უამისოდა, გათქვიფეს, გააქარწყლეს, გაანიორწყლეს. ეს არ იყო ერთი პერიოდის მოვლენა, ეს აგერ აქამდის მოგვყოლია და იცოდა თუ სადა ბრუნდებოდა პოეტი, იცოდა.

და

კრებულში ესეც შეგხვდებათ, ამ კრებულში, ამ „გარდაქმნაში“, ბიოგრაფიული მომენტებიცა, წმინდა მორალის მოტივებიცა, თუ გნებავთ, წვრიმალი, ყოფითი ამბებიცა, რო არც რო მოსწონთ, რო უკიჟინებენ კიდევაცა მწერლებსა დროდადრო, ანთუ საერთოდაცა, უკიჟინებენ თუ უბრძანებენ: უნდა ასცილდეთ წვრიმალ ამბებსაო... მართალიც გახლავთ, პოეზია უნდა ასცილდეს, უნდა ამაღლდეს, პოეზია სწორედ ის არის, პოეზია ამაღლებულია, ამაღლებაშია პოეზიაი, და ბედნიერია იმ ქვეყნის პოეტი, სადაც მხოლოდ რო ამაღლებულზე ფიქრობენ, სხვა ყველაფერი მოგვარებულია — პოეტია და ამაღლებული!.. მოტივები სხვაა, სახეები სხვაა, სევდაც სხვაგვარია და აღმაფრენაცა; ხოლო იქ სადაც წვრიმალი მაინც ეწევა პოეტსა, ყოფითი მაინც ეწევა პოეტსა, ეწევა და ითრევს, ითრევს და არ უშვებს, პოეტის ყოფაც უფრო ძნელია, პოეზიაც უფრო ძნელია. უნდა მოერიოს, უნდა სძლიოს და ძლევაც ეს არის, ლექსებშიც რო გამოერევა დამამცირებელი ადამიანური ყოფისა, ძლევაც ეს არის, უარჰყოფის საშუალებაც ეს არის, საშუალებაა, რო უარჰყოს და ამაღლდეს, უნდა უარჰყოს და ამაღლდეს, სხვა გზა არ არის: „და თუმცა აღარ ვახსენებთ სტალინს, — ჯერ კიდევ ბევრი სტალინურია!..“ — სხვა გზა არ არის, უნდა უარჰყოს და ამაღლდეს, მხოლოდ მარადიული როა სფერო პოეტისა, ზოგადკაცობრიული როა, უმაღლესი ესთეტიკური ტკბობა რო გახლავთ, — ეროვნული ესთეტიკურ სახეებში.

●

ავტორის თხოვნით ამ სტატიის ჰონორარი გადაირიცხება 9 აპრილს დაღუპულთა და აჭარის სტიქიით დაზარალებულთა ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოეზია

# მურმან ლებანიძე

●

ორი გორაკი ჩანს ფანჯრიდან
თავი მესამეს—
ამოუყვია იმ ორ.ს შორის —
სამშობლო
ეს არის!...

შავ ფუჩეჩს სწვავენ, ხეხილს სხლავენ
ვენახი შესარეს,
ფანჯრიდან ვხედავ: ახოს ხნავენ —
სამშობლო
ეს არის!..

გულს რაღაც ულხინს, მაგრამ სული
მაინც მკვნესარებს...
შორს, ტყის სიღრმეში,
გუგული კვნესის, —
სამშობლო
ეს არის!..

●

თუ გადმოვარდნით მაღლიდან
სიკვდილი კაცს გიწერია, —
მოსწყდე, ქვას თავი ახალო,
ტბად სისხლი წაგსკდეს
ცხვირიდან, —
სჯობს, გადმოვარდე სპილოდან,
აქლემსაც დაგიჯერიან, —
არამც და არამც არ შეცდე,
არ გადმოვარდე ვირიდან!

არ გადმოვარდე ვირიდან!
არ გადმოვარდე ვირიდან!
თუ გადმოვარდი ვირიდან,
მე ხალხში ვერას გიშველი —
გაგჭორვენ: „ეს ვინ ყოფილა,
სისხლი წასკდაო ცხვირიდან,
ვირიდან გადმოვარდნილმა
მოიტეხაო კისერი!"

ხოლო თუ სპილო-აქლემის
ზურგს შეეზარდე აკვნიდან, —
რაკი ყოველგვარ ღირსებას
სიმაღლე უდევს სარჩულად, —
იტყვიან: „გადმოვარდაო
ვაჟკაცი რამსიმაღლიდან,
სპილოდან გადმოვარდნილი
კაცი მოკვდაო კაცურად."

არ გადმოვარდე ვირიდან! —
ვირის კეხამდე ძირიდან
ძლივს არშინი თუ იქნება —
მე ხალხში ვერას გიშველი —
გაგთათხვენ: „ეს ვინ ყოფილა,
გადმოვარდაო ვირიდან!
ვირიდან გადმოვარდნილმა
მოიტეხაო კისერი!"

●

თეა-თეონა-თეო,
დღეს შეგისრულდა კვირა.
ჩემო პატარა მზეო —
თეა —
თეონა — ცხვირა!

შობილი ერთი კვირის,
თეა-თეონა ჰყვირის,
დიდ ცხვირს გვწამებენ, ბაბუ,
ჰირიმე
შენი ცხვირის!

გარეშე ზრუნვის, ყალბის,
ზაზა ეტლისთვის გარბის...
ჰირიმე შენი ცხვირის,
წარბზე
წაბმული წარბის!

კი, ვაჟი მწადდა ბაბუს,
ვარ ანგელოზზე ყაბულს,
ფაციფუცშია ბებო —
საბნებს
გიკერავს ფაფუკს...

რაც შეეხება ჩემს გულს,
დღეს შენი შუქით ბრწყინავს,
შენთვის დავუვლი ლეკურს,
გინდა,
გადავალ ყირას!

თეა-თეონა-თეო,
რაც გაჩნდი, ხდება კვირა,
ჩემო პატარა მზეო,
თეა-
თეონა — ცხვირა!

### იჯდა კაცი და... ლექსს წერდა...

იუმორესკა

ის სამსახურში შპალერს
ფიქრში წასული შესცქეროდა,
თამბაქო სწვავდა თვალებს,
იჯდა კაცი და
ლექსს წერდა...

ქაღალდი ჰქონდა ოხრად,
ლექსს საუბრებში აცხობდა,
ჰქონდა უჯრაც და კოხტად
იმ უჯრის
ფსკერზე აწყობდა.

თუმცა კავშირი არ ჰქონდა
მის ლექსს „მოვარდნილ მეწყერთან",
პრესისთვის — მაინც ვარგოდა,
იჯდა კაცი და
ლექსს წერდა...

მხრებს იჩეჩავდა ხალხი,
უფროსი პასუხს არ თხოვდა,
დღის ბზრიალებდა ჩარხი,
ეს კაცი —
ლექსებს აცხობდა.

ვაჟა რომ თვეში თითოს,
ეს დღეში — ექვს-ექვს შეგვძენდა,
ექვსს და, ექვსსავე ხვითოს!
იჯდა კაცი და
ლექსს წერდა...

გამახსენდება — კუშტად
კალამს მელანში აწებდა,
წერდა იოლად, უცბად —
სტამბა
ხელიდან სტაცებდა.

არც თესავდა და არც ხნავდა,
რას ვერჩი, შპალერს შესცქეროდა!
რა მოხდა, კაცს ხომ არ კლავდა —
იჯდა კაცი და
ლექსს წერდა!

### მევალე

(1945)

შაშვი — ლაპარაკობდა,
თან ფრთას
აფათქუნებდა,
ძროხა — დაბალახობდა,
მათარას
არაკუნებდა.

ალუმინის მათარა
ომში კაცს
არწყულებდა,
ახლა ნასალდათარი,
სამწყემსურს
გაჰყურებდა.

ცალხელი და ცალთვალი
კაცი ნახირს
მწყემსავდა,
ჯდა კორტოხზე ართვალი,
კვლავ სიცოცხლე
ეწადა...

სისხლის წვიმას გადელო,
გაზაფხულის
ხმა ქლერდა,
ომის ღმერთი სად იყო?!
ზეცით —
სალდათს
დასცქეროდა...

შაშვი — ლაპარაკობდა,
თან ფრთას
აფათქუნებდა,
ძროხა — დაბალახობდა,
მათარას
არაკუნებდა.

●

ფეხი — ირმის!
ყელი — გედის!
ძლივს-ძლივს
მინიშნება მკერდის...
ანგელოზობიდან გადის,
ბავშვი —
ქალობაში
შედის!

ვნატრობ —
ჩემი ხალხის კეთილს,
ვარ მლოცველი
ბალღის ხვედრის:
ღმერთო,
ამ ბალღს თავს დაარქვი
შენ გვირგვინი
ქართვლის დედის!

დიდი-დიდი,
იყოს ათის!
ვეჭვ, რომ
ათზე იყოს მეტის...
ანგელოზობიდან — გადის,
ბავშვი —
ქალობაში
შედის!

●

მაქვს იდეა, —
გავხსნი ბოლჩას, —
თუ გვსურს,
ვიქცეთ ერთი ასად,
დავუბრუნოთ
ქალი ოჯახს,
ქართველი ქალი
სახლში დავსვათ!

კარგი
ვაჭმოთ და ვასვათ,
ტანზე
შეიდიში ვაცვათ,
შვიდი
ჩამოვკიდოთ ძუძუს,
შვიდივ
გაგვიზარდოს კაცად...

ვახდევინოთ
ქვეყნის ვალი —
ძველთა ჩვენთა
დედათ მსგავსად!
შენ რას იტყვი,
ჩემო დალი?!
შენ რას მეტყვი,
დაო, ასმათ?!
გავა-
თავისუფლოთ ქალი!
სახლში, ბატონო,
სახლში დავსვათ!!!

●

არაერთს აქიაქებდა:
„ოხ, ეგ ბითური მთლადო!"
მოხუც რაფიელს აქებდა
ლადო...

რითმას, სიტყვის მადლს უქებდა
სინდის-ნამუსთან ერთად,
თითის ანაბეჭდს უღებდა
ლამის და მოკლედ წერდა:

თეთრზე ნუ ვიტყვით შავსო!
ნაღდს — გზა და სარბიელი!
„კარგი ოსტატი გვყავსო
მოხუცი რაფიელი!"

კაი ყმა, კაის დამცველი
(ლექსი ხომ გულში სჭირდა!),
თვითონაც კაის დამწერი,
საქმეს კაცურად სჯიდა...

ხოლო დღეს თბილის-ქალაქად
ერთი მარაქა უსტვენს,
რის რაფიელი! — ვაგლახად
ქუდს არ მოუხდის რუსთველს...

არაერთს აქიაქებდა,
ახლებს: „დამპლები ხართო!"
მოხუც რაფიელს აქებდა
ლადო.

●

არ ვამბობ: „ბაჯაღლო ზოდია!"
მაგრამ თუ გახედავ კარგად,
ურიგო პოეტი როდია,
ლეკის კვალობაზე ვარგა!

დაღესტანს პირველი კაცია,
მე გეტყვი, არ გამთქვა არსად,
შამილის სახელმა აქცია
ეს კაცი რუსეთში კაცად...

ფხიზლად აღევნებენ თვალყურს
მის ლექსს და ეგ უნდა ლეკსაც.
აიღებს სიბრძნეებს ხალხურს,
გალექსვა იცის და ლექსავს.

ტაშების ფრთხიალებენ ფრინველები,
დარბაზებს ხალხის ზღვა. დრეკს,
რუსეთის პოეტები, პირველები,
შურით შესცქერიან ლეკს.

ლეკი კი — გაბედული კაცია,
დროდადრო
წარბს შეჰკრავს მკაცრად,
შამილის სახელმა აქცია
ეს კაცი რუსეთში კაცად.

მან ერთხელ სუყველას მაგივრად
კაცურად დასჭყივლა ძერებს,
სულ მამის წვერები აგინა,
ვინც გადაშენებას უქადდა
პატარა ხალხებს და ენებს...

„ხომ ჰალსტუხიანი ლეკია,
დროდადრო ხომ ამბობს „დელას",
ეგ მაინც შამილის ლეკვია!" —
ფიქრობენ იქ, სადაც ჯერ არს...

ეპოქას სწადია, ალზარდოს,
საქმის გართულება არ სურს,
ამიტომ — ჩინ-მედალი გამზათოვს!
ამიტომ — ტაფამწვარი რასულს!

პოეტს კი ლუკმა ემწარება,
დასცადა მშობელმა ქოხმა,
დროდადრო შემოეძალება
გუნიბის სევდა და ბოლმა.

დროდადრო თვალწინ გაუკრთება
შამილის ფაფახი შავი
და ჰაჯი-მურატის დაუდგება
ზედ ყრონტთან წაჭრილი თავი.

და ჩვენი ჭუნირის მსგავსი
საკრავი თავისას ამხელს,
ჰმუნვით და ნაღველით სავსე
ასაკში შესული დაჰმღერს:

„ოჰ, წარსულო, წარსულო!
ოჰ, წარსულო ჯვარცმულო!
ძნელ დროში ცხოვრობ, რასულო,
არც მთლად
ხელიდან წასულო!"

●

მე თუ მკითხავენ, შვილოსა,
დაბლა შემოვკრავ რბილოსა,
ჩინსა და ტემლაკს ავაფხრეწ
ბევრს ჩვენსას
ბეხლეწ სპილოსა...

ჩვენს ჯიშს, ჩვენს დამამშვენებელს
ჩვენს შვილს,
გაფრენილს ჩრდილოსა —
რუსთველის ოქროს დავკიდებ
ანანიაშვილ ნინოსა...
მე თუ მკითხავენ, შვილოსა!

### ძველი რვეულიდან

ამ საბრალოებს,
ამ უზნეოთ, ამ ბრიყვებს, ამათ, —
ქცეულთ თვალებად,
ძლომად, სკდომად, ერთურთის ჭამად,
არ თქვა, რომ ვებრძვი,
ანუ ვგმობ და ვუქადი მტრობას!
პირიქით — ვწუხ და
სიბრალულის ვუცხადებ გრძნობას,
რამეთუ ბრიყვნი
არ უწყიან დღეს, თუ რას იქმენ...
ვინ იტყვის მათზე,
რომ ოდესმე ესენიც იყვნენ,
რომ მსახურებდნენ
კაცურ რწმენას და ქვეყნურ მიზანს,
რომ არგეს რამე
თვისტომსა და ქვეყანას თვისას!
რა შევაგონო,
რა ვუწამლო მრავალთ და მრავალთ,
რა შევასმინო
ტვინამღვრეულთ, აღძრულებს ავად,
ამ უშჯულოებს,
ამ უმწეოთ, ამ ბრიყვებს, ამათ,
ქცეულთ თვალებად,
ხვეჭად, გლეჯად,
ერთურთის ჭამად!

## პროზა



## ნელი ბატიაშვილი

# ცივი მზე

## პოეზია

## ვახტანგ გევორგიანი

### რეკვიემი

1989 წლის 19 აპრილი.



## რეპორტაჟი



# ...ხმა ერისა

1989 წლის 14 მაისი. ყვარლის რაიონის სოფელი ძველი გავაზი, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, ახალსოფელი. დილიდანვე თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივ იწყება. განწყობილება ისეთია, როგორიც შეეფერება მაისის მზიან კვირადღეს. ირგვლივ სიმშვიდეა, ერთი შეხედვით, აქ განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევს თვალი და ყური; თითქოს ის მწვავე, სამწუხარო ამბები, პრესა და ტელევიზია რომ გვატყობინებს, აქ არ მომხდარა.

ხალხი თანდათან გროვდება სოფლის ცენტრში, სადაც დიდი თავყრილობაა დანიშნული. განიხილება სოფლის საჭირბოროტო საკითხები, მათ შორის კი უმთავრესი, — მიტაცებული მიწების საქმე.

ხალხი კი მოდის, მაგრამ ენთუზიაზმი მაინცდამაინც არ ეტყობათ, თითქოს ვიღაცის ბრძანებით იკრიბებიანო. თუმცა თანდათან ხვდები, რომ ეს პირველი შთაბეჭდილებაა. ირგვლივ უკვე ამჩნევ საქმიან, დაინტერესებულ ადამიანებს და გრძნობ, რომ სოფელი რაღაც მნიშვნელოვანი, დიდხანს ნაფიქრი სიტყვის თქმას აპირებს.

ჩასვლისთანავე გავიცანით აქაური ენთუზიასტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნოდარ ბერიკაშვილი, რომელიც გულისტკივილით გვესაუბრა სოფლის მრავალ გასაჭირზე. როგორც ჩანს იგი კარგადაა ჩახედული ახალსოფლელთა პრობლემებში და კონკრეტული წინადადებებიც აქვს ჩამოყალიბებული. ნოდარ ბერიკაშვილთან შეხვედრა შემთხვევით არ გვიხსენებია. დღის ბოლოს, ყრილობის დასასრულს მას წარმოუდგენელი სიურპრიზი ელის. თუმცა ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

●

ახალსოფლის ძველი კლუბის ეზოში, სახელდახელოდ აღმართული ტრიბუნის წინ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შეიკრიბნენ ყვარლის რაიონის საზოგადოებისა და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან, თბილისიდან — რუსთაველის საზოგადოების, სახალხო ფრონტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების დელეგაციები.

ყრილობა გახსნა ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ილო ბეროშვილმა.

შემდგომ გამომსვლელებმა ისაუბრეს სოფელში შექმნილ სერიოზულ პრობლემებზე და გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.

თამაზ ცოკოშვილმა წამოაყენა წინადადება, შეიქმნას სახალხო ფრონტის ჯგუფი, რომელსაც დაევალება შესაბამისი საქმეების გაძღოლა.

ნაზი თევდორაშვილმა ახალსოფლელთა სახელით მოითხოვა, შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც შეისწავლის მიწის მიტაცებისა და გაყიდვის საკითხებს და ამხელს ყველა დამნაშავეს.

ლეკების სახელით გამოვიდა სოფელ თივის სკოლის დირექტორი ზაგირა მაგომედოვი. მან ახალსოფლელებს სთხოვა სიფრთხილით, დელიკატურად, გონივრულად მოეკიდონ ჩამოსახლებულთა საკითხს. მსმენელებმა ძალზე უარყოფითად მიიღეს მაგომედოვის განცხადება, „ლიტერატურულ საქართველოში" ყვარლის ამბებზე დაბეჭდილი მედეა კახიძის წერილის შინაარსი ერთა თანამეგობრობის საბჭოურ პრინციპებს არ შეესაბამებაო.

ვეტერანმა კოლმეურნემ გიორგი ფეხმაშვილმა მოითხოვა მიწის გამყიდველების დასახელება. თუმცა თვითონვე აღნიშნა, მათი სახელები სოფელში ყველამ ვიცით, მათ შორის მეც, მაგრამ დასახელება მაინც ვერ გაბედა.

ექიმმა ზაალ ფხოველიშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ლეკების დასახლებაში თავის დროზე ქართული სკოლები რუსულად გადააკეთეს და ამაზე ხმა არავის ამოუღია.

ქალბატონმა ცირა გაგნიძემ თქვა, დამნაშავენი დაისჯებიან, ყველას თავისი მიეზღვება, მაგრამ არ გეგონოთ, ამით საქმეს ეშველოს, მთავარია, ახალგაზრდობა არ წავიდეს სოფლიდან, აქვე დასახლდეს, გამრავლდეს და თავად დაეპატრონოს მიწას.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე შრომის ვეტერანმა შალვა ლომიძემ, ექიმმა მზია ოთარაშვილმა, ახალსოფლის სიძველეთა დაცვის საზოგადოების წევრმა გია ოთუთაშვილმა, ექიმმა იოსებ თავბერიძემ, ყვარლის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ ანგი გავაშელაშვილმა, პენსიონერმა ვასო ვარდიაშვილმა, რაიკომის პირველმა მდივანმა თემურ ოხეფაშვილმა და სხვებმა.

სოფლის ყრილობას სტუმრებმაც მიმართეს.

პოეტმა იზა ორჯონიკიძემ თქვა, რომ ქართული მიწების შენარჩუნება მხოლოდ სიფრთხილის, სიდინჯისა და გონიერების გზითაა შესაძლებელი, რომ დღევანდელ ვითარებაში მთავარია არ ავყვეთ პროვოკაციებს.

ახალსოფლელებს სიფრთხილისა და გონიერებისაკენ მოუწოდა აგრეთვე გურამ ფანჯიკიძემ. ამასთანავე, მან თქვა, რომ საჭიროა, სასწრაფოდ ვამხილოთ ქართული მიწის გამყიდველები და ყველა მოღალატის სახელით დაისაჯოს.

კინორეჟისორმა რეზო ესაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერია ცნობილი ტენდენცია, როცა რაიონების ხელმძღვანელები სტუმრის ინტერესებს გამოხატავენ, სტუმარი ამას გრძნობს და ხელ-ფეხგახსნილი მოქმედებს. მან ახალსოფლელებს შესთავაზა წინადადება, შექმნან სახალხო ფრონტის ჯგუფი, რომელიც უქომაგებს და შეაკავშირებს მოსახლეობას.

ენათმეცნიერის ლევან ღვინჯილიას აზრით, ახალსოფლელებს თანადგომა და ერთიანობა მართებთ იმისთვისაც, რომ ლეკებს, რომლებიც თავიანთ სამშობლოში დაბრუნებას აპირებენ, საქართველოს და ქართველების მტრობა არ გაჰყვეთ.

მწერალმა ლევან ხანიკიძემ თქვა, აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ გაყიდული და მიტაცებული მიწები და დაე, ნურავინ ჩაგვითვლის ამ განზრახვას კაცთმოძულეობად და სხვა ერის მტრობად, ვინაიდან ყველა სხვა შემთხვევაში ქართველს თავისი მამა-პაპური მიწა სამუდამოდ გამოეცლება ხელიდანო.

●

ცოტა რამ წარსულიდან.

შამილის დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ ყვარლის მიდამოებში ჩამოასახლა ლეკები, რომლებმაც სამი სოფელი შექმნეს. თავიდან ისინი მომთაბარეობდნენ, მაგრამ თანდათან დამკვიდრდნენ სოფლებში. 1944 წელს ლეკები მთლიანად გაასახლეს დაღესტანში და ჩაასახლეს ჩეჩნების ნასოფლარებში. 1957 წელს ჩეჩნები გადასახლებიდან თავიანთ კერას დაუბრუნდნენ და, ბუნებრივია, ლეკები განდევნეს. უსახლკაროდ დარჩენილებს დაღესტნის მთავრობამ სამოსახლოები შესთავაზა, მაგრამ მათ საქართველოში დაბრუნება არჩიეს. ასე შეიქმნა ყვარლის რაიონში ოთხი ლეკური სოფელი — თივი, ჩანტლისყური, სარუსო და თბილისწყარო. ამ სოფლებმა შუაში მოიქციეს ერთი ქართული სოფელი ძველი გავაზი, ანუ ახალსოფელი. ცხადია, ეს უკვე მოასწავებდა სერიოზული პრობლემების შექმნას. ვითარება დღითიდღე რთულდებოდა, ლეკთა უკანონო დასახლებები დაუბრკოლებლად მიიწევდა სიგანეში, ამას ხელს უწყობდა რაიონის ყოფილი ხელმძღვანელობაც. გაჩაღდა მიწებით ვაჭრობა.

უკანასკნელ ხანს, როგორც იქნა, ზოგიერთი დამნაშავე ამხილეს და დასაჯეს კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამით პრობლემა სრულიადაც არ მოგვარებულა.

●

რა გამოსავალი და პერსპექტივები არსებობს საკითხის მოსაგვარებლად?

გვესაუბრება პარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი თემურ ოხეფაშვილი, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ ჩაიბარა საპასუხისმგებლო პოსტი: „ვცდილობთ, მოლაპარაკების გზით გადავჭრათ ლეკების გასახლების პრობლემა. 150 ოჯახმა გვთხოვა დავეხმაროთ დაღესტანში დაბრუნებლად. ამისათვის სამი საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი — შევისყიდოთ (სახელმწიფო ფასებში) მათი ბინები, დავეხმაროთ ტრანსპორტირებასა და საპასპორტო საკითხების მოგვარებაში. გამოყოფილია თანხა 2 მილიონი მანეთის რაოდენობით. შეიქმნა დელეგაცია, რომელიც დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას გადასახლებულთათვის სამოსახლო მიწების გამოყოფის შესახებ. მთიანეთში მათ ჩასახლება არ სურდათ, ვინაიდან იქ მეწყერსაშიში ზონები შეიქმნა. ამიტომ დაღესტნის მთავრობას ვთხოვეთ, ბარში გამოეყოთ ტერიტორიები. პასუხს ველოდებით. ყველას ვთხოვ, დაგვეხმარონ, რომ ეს ხალხი მშვიდობიანად გავაცილოთ საქართველოდან".

როგორც ჩანს, ჯერჯერობით გამოსავალი ისაა, რომ მოლაპარაკების გზით შევეცადოთ საქმის მოგვარებას. ეს აზრი დაადასტურა ჩვენთან საუბარში წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა ზურაბ ჭავჭავაძემაც — „საჭირო არ არის პანიკის, დაძაბულობის შექმნა. დინჯად უნდა ვიმოქმედოთ. მოლაპარაკების გზით დავაბრუნოთ ლეკები თავიანთ მიწაზე და არა — ძალით. ნუ გავაბოროტებთ, მტრად ნუ მოვიკიდებთ, თუ არ გვინდა, მართლა განმეორდეს ლეკიანობა. მართალია, ისინი სამშობლოში ბრუნდებიან, მაგრამ მათი ქვეყანა ცხრა მთას იქით ხომ არ არის. ამიტომაც, ჩვენი და საერთოდ ყველა თაობის ვალია მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება".

სოფლის ყრილობამ მიიღო მიმართვა რაიკომის მდივნისადმი და დადგენილება. ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ბოლო წლებში ყვარლის რაიონში, ახალსოფელში მოხდა სისხლის სამართლის ბევრი დანაშაული. უხეშად ირღვეოდა მიწათსარგებლობის წესები, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია. მომხდარ დანაშაულობათა შესახებ საზოგადოებას არაერთხელ ეუწყა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, სასჯელს იმსახურებდა რაიონის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი, მაგრამ დაისაჯა მხოლოდ ერთი. აუცილებელია დაუყოვნებლივ გამოვლინდნენ დამნაშავენი და სამართლიანად დაისაჯონ, გაიმართოს მოლაპარაკება დაღესტნის მთავრობასთან ლეკების გასახლების საკითხის მოსაგვარებლად და ა. შ.

აქვე შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია, რომელიც შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო მიწების მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტებს. „კარგია, რომ როგორც იქნა, შეიქმნა კომისია. ეს ჩვენი დიდი ხნის სურვილი იყო. სასიამოვნოა ისიც, რომ კომისიის შემადგენლობა საჯაროდ დაასახელა ხალხმა, იმ ადამიანებმა, ვინც გულწრფელადაა დაინტერესებული საქმის სამართლიანი გადაწყვეტით", — თქვა ამ კომისიის ახლადარჩეულმა წევრმა, პედიატრმა მზია ოთარაშვილმა.

●

ყრილობა მოულოდნელად დასრულდა, თუმცა ამ მოულოდნელ ფინალს ჰქონდა შინაგანი ლოგიკა, რომელიც თანდათან, ფარულად ვითარდებოდა, რათა ბოლოს თავი ეჩინა მთელი თავისი სიძლიერით და მოვლენათა განვითარების გვირგვინად ქცეულიყო.

მაინც რა მოხდა? იქნებ არცთუ განსაკუთრებული რამ — ხალხმა ერთხმად გაათავისუფლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და ახალი აირჩია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მოხდა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების, კრების ან დოკუმენტის გარეშე. ეს აზრი თავისთავად დაიბადა, — კაცი, რომელიც ზოგიერთი კანონიერი ფორმალობის აღსრულებაში თანასოფლელისგან ბურვაკს ითხოვს, თავმჯდომარე არ უნდა იყოს, მოვხსნათ და უკეთესი ავირჩიოთო.

ასეთი დიდი თავყრილობის მთავარი ღირსებაც სწორედ ისაა, რომ საკითხები წყდება მართლაც საჯაროდ და სამართლიანად. ყოველგვარი მოთათბირება, რეკომენდაცია, დახასიათება თუ პროტექცია ზედმეტია, როცა ხალხი თავის წინამძღოლს უბრალოდ, მოედანზე ხელის აწევით, ერთხმად ირჩევს.

დემოკრატიაც ხომ თავისი ძველი შინაარსით ასეთ ფორმას გულისხმობს.

ნოდარ ბერიკაშვილი აირჩიეს თავმჯდომარედ. სწორედ ის აქტივისტი, ზემოთ რომ ვახსენეთ. აირჩიეს აბსოლუტურად ერთხმად (უმეტესობამ ორივე ხელის აწევითაც კი), თანაც ისე, რომ სხვა კანდიდატის დასახელებაზე სიტყვაც არ უთქვამთ. სტუმართაგან ამ დროს ბევრს წამოსცდა — „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო" — და ბუნებრივიც იყო, ვინაიდან ამ გამონათქვამის ჭეშმარიტ გამოვლენას ხედავდა.

ახალსოფელში კარგად იცნობენ ნოდარ ბერიკაშვილს, როგორც უსამართლობისა და უკანონობის წინააღმდეგ თავდაუზოგავ მებრძოლს, პატიოსან ახალგაზრდას, უშიშარ ენთუზიასტს. მას არასოდეს დაუმალავს სოფლის სატკივარი და არც მისი განკურნებისათვის დაუშურებია სიტყვა და საქმე. იგი არც ახლა მალავს, რომ ნახევარ სოფელს წყალი არა აქვს, რომ კლუბი ინგრევა, რომ ახალსოფლის ნათლისმცემლის საყდარი საწყობად არის გამოყენებული, მაშინ, როცა სარუსოში მეჩეთი აშენდა. მან ისიც იცის, რომელი ბიუროკრატი ადგენდა ენთუზიასტი ახალგაზრდების „შავ სიებს", რათა შემდგომ „სამაგალითოდ" დაესაჯათ არაფორმალური ინიციატივებისათვის, იცის, ვინ და რისთვის სცემა ახალგაზრდა თანასოფლელს გერონტი მალაციძეს და რისთვის მოსთქვამს გერონტის დედა...

გუშინდელი ოპოზიციონერი დღეს ფუნქციონერი ხდება. იქნებ ამ გრადაციაში იმალება ხვალინდელი წარმატების მარცვალი.

ყრილობა დამთავრდა. თქმულა მართალი სიტყვა. ახლა იწყება მთავარი — საქმე.

**ივანე ამირხანაშვილი**
**მურმან ჩაჩუა**
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები.



# ერის სიმტკიცის საფუძველი





1989 წლის 13 მაისს, სამოცდაათწლიანი დუმილის შემდეგ ამოქმედდა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღასრულა წირვა და საზეიმო ნათლობა, რომელშიც მრავალრიცხოვანი მრევლი მონაწილეობდა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა თქვა, რომ 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ და აჭარის მთებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დიდი მწუხარება მოგვიტანა. მთელი ერი გლოვობს, მაგრამ ჭმუნვასთან ერთად ერის მომავალზეც უნდა ვიფიქროთ. ქართული ეკლესიის გაძლიერება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ერის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტას გულისხმობს. ბოლო ერთ წელიწადში ჩვენს ეკლესიას ასზე მეტი ტაძარი გადაეცა. ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარიც ერთი მათგანია.

14 მაისს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მთიან აჭარას ეწვია. მოინახულა ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონები, შეხვდა სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, მიუსამძიმრა დაღუპულთა ოჯახებს.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მთიანი აჭარის დაზარალებული მოსახლეობის დახმარების ფონდში გადარიცხა 100 ათასი მანეთი.

ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები.

აკაკი გაიხარაშვილის წერილი 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებს ეძღვნება, ოღონდ მკვეთრად განსხვავდება რედაქციაში შემოსული ანალოგიური მასალებისაგან — აქცენტი უმთავრესად გადატანილია თაობათა შორის ურთიერთობასა და დამოკიდებულებაზე. შესაძლოა წერილში ბევრი რამ საკამათო და მიუღებელი იყოს, ან სულაც გამაღიზიანებელი, მაგრამ ახალგაზრდა კაცის თვალსაზრისის გამოქვეყნება რედაქციამ მაინც შესაძლებლად ჩათვალა. ვიმედოვნებთ, წერილს აქტიურად გამოეხმაურება მკითხველი საზოგადოება.

# ბედის ანაბარა მიტოვებული შვილები

არსებობს დრო, როცა კაცს სიკვდილის სურვილი, გოდებისა და რისხვის გრძნობა ეუფლება. სწორედ ასეთი დრო დაგვიდგა წლეულს. ქართველებს პირით ვერ გააკვირვებ, მაგრამ „მშობელთა" ასეთ ღალატს, რაც აპრილის თვეში ვნახეთ ჩვენ (ვინც პირველიდან ბოლო დღემდე რუსთაველის პროსპექტზე გამართულ მიტინგზე ვიდექით), მეხსიერებიდან ვერარაფერი ამოშლის. ჩვენდა საუბედუროდ და საქართველოს საბედნიეროდ ბევრნი გადავრჩით ცოცხალნი, თუ ამას სიცოცხლე ჰქვია მას შემდეგ, რაც ჩვენმა თვალებმა დაინახეს...

9 აპრილის საბედისწერო ღამე. „დედათა და მამათა" თაობის ნაწილი (მომავალში რომ ნიანგის ცრემლებს " დაღვრის) სახლებში ცისფერ ტელეეკრანებს მისხდომია და მთავრობის „პირველ კაცთა" შეგონებას ისმენს, ურჩი შვილებისა და მათი ვაი-მშობლებისადმი მიმართულს. ნაწილს თეატრალური წარმოდგენები მოსწყურებია და სეირის საყურებლად გამოსულა, მეტროს მუშაობის საათების დამთავრებამდე ერთობა, მერე კი თბილ ლოგინში განაგრძობს ჟორისა თუ სინამდვილის განქიქებას. ნაწილმა, რომელთაც „ჩინიანებს" ვეძახით, „უკეთესი პოლიტიკა" აირჩია: წინა დღეებიდან მოყოლებული მოდიან ახალგაზრდებთან, მიკროფონით სიყვარულს ეფიცებიან, პატრიოტული გამოსვლებით აქეზებენ, ჩვენ წინ გვიძღვებიან, ცოტა ხნის შემდეგ კი მიიჩქარიან საჭირო კრებებზე, ხალხისთვის შექმნილი კავშირების სხდომებზე თუ მთავრობის სასახლეში გამართულ შეკრებებზე. ესენი ხელისუფალთან მათი ერთგულნი ბრძანდებიან, ხალხთან კი ხალხისა. რას იზამ. ძნელია მთავრობისაგან განაწყენებულ ხალხთან შუამდგომლობა იკისრო და თან საკუთარი თავი დაარწმუნო: ორი კურდღლის ანდაზა სისულელეა, დიდთა გულსაც მოვიგებ და პატარებთანაც გმირი გამოვალო.—მე მგონი, ასეთებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ორივე მხრივ უნდობლობა მოიპოვეს. შეიძლება, ზოგი მათგანი ახლა ტელევიზორში გამოსულ „მამულიშვილთა" ბედსაც ნატრობდეს...

ახალგაზრდების გვერდით თითო-ოროლა კაცი თუ დგას მონაზაში აღზრდილთა თაობიდან. ეს ისინი არიან, ვისაც შიში დაუძლევია და იცის, სად და რატომ უნდა იდგეს გაჭირვების ჟამს. ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ ჩვენს დედებსა და მამებს შორის ჭერ კიდევ არიან ისეთებიც, ვისაც არ ეშლება, რას ნიშნავს კაცობა, ქართველობა და მამულიშვილობა. დგანან „იქ, სადაც ქარიშხალია" და ესმით, რომ ბუნების ყველაზე ძვირფასი შედევრი ადამიანია, მათი შთამომავალია. ეს ის უმცირესობაა, რომლებთანაც ახალგაზრდებს კიდევ შეუძლიათ სიარული, რადგან მარტო სვლა და განხეთქილება უბედურების მომასწავებელია ჩვენნაირი მცირე ერისთვის.

სხვა არავინ ჩანს. ქვა აგორებულია, შვილების გასაწირად, მაგრამ წინ არავინ აღუდგება „რჩეულ მამულიშვილთაგან" იმიტომ, რომ საამისოდ არც ვაჟკაცობა ჰყოფნით და არც გონიერება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საბოლოოდ ჩაუტეხეს მთავრობასთან, „მამებთან" დასაკავშირებელი ხიდი შვილებს. არადა, ბოლო წუთებამდე სჯეროდათ მათი, ელოდებოდნენ, რომ ვინმე ადამიანის მიერ დაწერილ კანონს დაარღვევდა და მათთან ჩამოვიდოდა. ქვეცნობიერად ელოდნენ, თორემ სიტყვით საპირისპიროს გაჰყვიროდნენ... „საზარბაზნე ხორცად" ქცევამდე გაგრძელდა ეს მოლოდინი...

შესაძლოა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს თვითონაც არ ეგონათ, ასეთ ძლიერ ემოციებს თუ აღძრავდნენ. სადავეაწყვეტილი ვნებები უფსკრულისაკენ მიაქანებდა ხალხს, ხელისშემშლელი კი არავინ ჩანდა, რომ ილუზიები გაეფანტა და ხალხი რეალობისაკენ შემოებრუნებინა.

შუაღამისას ხალხის აღტყინებამ ზენიტს მიაღწია. მისი შემკავებელი უკვე მამაზეციერიც აღარ იყო. ჩონგურზე და სალამურზე ვმღეროდით და ვცეკვავდით ყველასაგან შერისხულნი, ცისქვეშეთი ჩვენი გვეგონა. ამ დროს კი ბნელში უკვე ეშმაკი როკავდა მოუთმენლად...

ქართველ „მამებს" საბოლოოდ გაუწყდათ შვილების დამორჩილების იმედი. უკვირდათ, საიდან ასეთი შეუდრეკელობაო, მტრები ჩვენც გვარბევდნენ, მაგრამ შეჩვეულები ვიყავით და სულ იმაზე ვფიქრობდით, უფრო მეტი როგორ ავიტანოთ, ესენი კი, ხედავთ, რა თამამები და იმედიანები არიან, ხის აბჯრის გარეშეც კი! საიდან შესწევთ ამდენი ქადილის ძალა, განა ჩვენს ხელში არ გაიზარდნენო?! ჩვენ, ტელევიზორში გამოსულნი, ჭკუას ვარიგებთ და არ გვიჯერებენ, ვის აჰყოლიან, ვის ფეხის ხმას მისდევენ!

ბოროტება კი არ სთვლემდა.

ბნელი წამოვიდა რკინის ნიჩბებით ხელში...

ქართველთა შვილები ჩონგურისა და სალამურის ხმაზე ცეკვავდნენ, მათი მამები კი ეშმაკის დაკრულზე როკავდნენ.

სულ ბოლოს სულიერი მამა მოვიდა ჩვენთან. უიმედოდ შეგვაგონა საშიშროების მოახლოების გამო. იუჩიეთ, სიჩუმეში იბადება ჭეშმარიტებაო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. „მამაო ჩვენო" ვთქვით და ქაშუეთის ტაძარში სალოცავად მოგვიწოდა.

ამაოდ...

გვიანღა იყო ყოველივე...

სულიერმა მამამ გვაკურთხა და გვითხრა: „ღმერთი ჩვენთან არს"!. „ამინ!"—ამოიგმინა ერთხმად ხალხმა. ქვეშეცნეულად ვიგრძენით, რომ უნდა ჩამოერეკა გადამწყვეტ ჟამს. სულიერი მამა ბოლომდე დარჩა ჩვენთან, „მამათაგან" შერისხულებთან... ჩვენს გვერდით იდგნენ ჭეშმარიტი დედებიც...

ჩვენ აშკარად დავინახეთ სიკვდილი, მაგრამ არ დავიჯერეთ, ჭერ კიდევ გვწამდა, ბოლომდე არ გაგვწირავენო.

რუსთაველზე ხეები აკანკალდნენ...

დედებს ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან, ცარიელი ხელებით და ცხელი გულით შეხვდნენ შვილისმკვლელთა ლამეს.

და უყურებდნენ „მამები" მაღალი შენობის ჩამქრალი ფანჯრებიდან, როგორ იღვრებოდა ურჩ შვილთა ვარდისფერი სისხლი.

წყეულიმც იყოს თავისი ხალხის ყველა მოღალატე უკუნითი უკუნისამდე!

ცხვრის ფარასავით გარეკეს ქართველები, ნიჩბებით აჩეხეს უმანკო დები და დედები, „ამაოხრებელი გზირის" გამოც სულში ჩააფურთხეს, პირში ბურთი ჩასჩარეს.

ფუი, ჩვენს დაბადებას ამქვეყნად...

...ეშმაკი კმაყოფილებისაგან როკავდა, მერე ცაში აფრინდა და გაუჩინარდა.

დამთავრდა ყოველი...

„დედათა და მამათ" დაიწყეს ნიანგის ცრემლების ღვრა: ხომ გითხარით რადიოთი და ტელევიზიით, კარგად არ გათავდებოდა ეს ყველაფერიო. ჩვენ ხომ შევიხმინეთ რუსთაველის აფორიზმი — „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს", და ხომ გაგეცალეთ, რატომ უკან არ გამოგვეკიდეთ, ახლა მაინც არ უნდა ისწავლოთ ჭკუა. აბა, გვიყურეთ, რა დღეს დავაწევთ ტელევიზორში „მგლებს", იქნებ შვილმკვდარმა დედებმაც კი დაგვიკრან ტაში!

ჩვენ იმაზე კარგები ვართ, ვიდრე თქვენ გგონივართ, რადგან ამ გამოსაჩენ მომენტში არც აკადემიის პრობლემებს ვიხილავთ და არც ხელებს ვაქნევთ უსუსურად—რა ვქნა, კაცო, რა ვქნათ! უმაღლეს სასწავლებლებში რომ განათლების საქმე კარგად არ არის დაყენებული, თქვენი ბრალია: ცოცხლები რომ ვართ, ჩვენით. ლექციებზე არ დავდივართ და განაწყენებული ლექტორებიც აღარ დადიან, მათაც ხომ თავმოყვარეობა აქვთ! ამდენი საზოგადოებები რომ შევქმენით, რატომ თქვენც არ ერთიანდებით, ან კლდიაშვილმა, ნინოშვილმა და სხვა მწერლებმა რა დააშავეს, რატომ მათ საზოგადოებებსაც არ ხსნით?!. ჩვენ, მართალია, თქვენს სანაცვლოდ ვერ მოვკვდით, მაგრამ სამაგიეროდ, მთავრობის მიერ შედგენილ საგამომძიებლო კომისიებში წამყვანი ადგილები გვეჭირავს და საზოგადოებას ტრაგიკულ მოვლენებს ვაცნობთ რუბრიკით „რა მოხდა თბილისში 9 აპრილს". უნდა დავგვიფასოთ ეს და დეპუტატების მომავალ არჩევნებზე არ დაგვივიწყოთ. ჩვენ ჩვენს სინდისთან მართლები ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის „ექსტრემისტული" ლექსები, პირველი სკოლის წინ რომ ეწერა ფირნიშზე, ადრევე მოვხსენით, მაგრამ ამით მაინც ვერაფერი გიშველეთ, ტრაგედია ვერ ავაცილეთ. არა უშავს, ჩვენ ამ მოვლენას ისეთ ლექსებსა და პოემებს ვუძღვნით, რომ ნობელის თუ არა, რუსთაველის პრემია მაინც მივიღოთ!

რა ვქნათ, შვილებო, თქვენზე ლაპარაკით ვათენებთ და ვაღამებთ კრებებს, ტყავში ვძვრებით და ოფლს ვიწურავთ, რომ როგორმე თავი მოსიყვარულე დედმამად მოგაჩვენოთ, მაგრამ ზედმეტმა ცოდნამ, „ექსტრემისტ" ილია ჭავჭავაძის ლუარსაბის თქმისა არ იყოს, გაგაურჩათ და გაგაკერპათ. ჩვენ უნდა მოგვბაძოთ და არა იმ ქუჩაში გამოსულ რადიკალებს, რომლებიც გულწრფელად გატყუებენ. ზოგ ტყუილსაც ჩვენ ვუმატებთ და ურმის გადაბრუნების შემდეგ ხელებს ვაწმენდთ მათაც და მთავრობასაც. ჩვენ სხვანაირი ცხოვრება არ შეგვიძლია, ასე ვართ გაზრდილნი! გაიგეთ, გაიგეთ და დაიმახსოვრეთ! ჭერ ჩვენა ვართ და ჩვენ უნდა გვეფეროთ, ხოლო როცა თქვენი დრო მოვა, მაშინ თქვენ იქნებით თქვენი შვილების ბედის გამგებელნი. ჩვენ მთელი ცხოვრება ერთს ვამბობდით და მეორეს ვაკეთებდით, მაგრამ აბა ტყუილისაგან ვინ მომკვდარა, სიმართლისათვის კი...

ჭერ ადრეა, რომ თქვენ ცხოვრების სადავეები ჩაგაბაროთ. წინაპრებთან შედარებით, ჩვენ უფრო მეტ გულისყურს ვიჩენთ თქვენდამი და ორმოც წლამდე ჩვილი ბავშვივით გზრდით. თქვენ კი ახლავე მოინდომეთ დამოუკიდებლობა ცხოვრებაში! სად გაგონილა ასეთი რამ! რა სჯობია ძველ, დარდიმანდულ ცხოვრებას: წყნეთში აგარაკები, ინსტიტუტებში დისერტაციები, სხვადასხვა სახის პრემიები, ზაფხულის გამოცდებში აღებული ფულით საზღვარგარეთ დასვენება... ჩვენ მთელი მსოფლიო მოვიარეთ, თქვენ კი შინ დამსხდარხართ და საქართველოს მონასტრებს დასტირით! ჩვენ მშვიდობიანად ვარიგებთ, რაც გაუცვეთელი მიწა დარჩათ ჩვენს „დიდ" წინაპრებს, მსხვერპლსაც ვწირავთ უცხო ღმერთებს და კამეჩის მოთმინებასაც ვიჩენთ, როცა „ვეფხისტყაოსნის" შემოქმედს ვიდეოეკრანზე ნარკოტიკებს აწევინებენ. ერთ-ორს წამოვიკნავლებთ და გავჩუმდებით, ერისკაცობას და ძმაკაცობას ერთმანეთში ვურევთ. სამაგიეროდ, „კაი ცხოვრებასაც" ვიქმნით და ინტერნაციონალისტებსაც გვეძახიან, თქვენ კი მოუთმენლობის გამო ნაციონალისტებად გთვლიან და წყალში გვეყრება ყველაფერი, რაც ამ ხნის განმავლობაში მოგვიპოვებია. გირჩევთ, ჩვენი ჭკუით იცხოვროთ, რომ თქვენს შემდეგ ისეთი ლიტერატურა მაინც დარჩეს, როგორსაც ჩვენ ვქმნით: სადაც აღწერილია, როგორ ვცხოვრობდით და როგორ ვცხოვრობთ. ნახეთ, რა დონეზეა შექმნილი, რამდენ ქვეყანაშია გადათარგმნილი. მთავარია, ჩვენი ნაწერები გავაცნოთ უცხოელებს, თორემ ვაჟა და გალაკტიონი ან მიხეილ ჯავახიშვილი ვის რაში სჭირდება, ყოველივე ხომ უკვე დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა! რა საჭიროა იმის თქმა და ძიება, უკეთ როგორ იცხოვროს საქართველომ?! თქვენ სულელები ხართ, რომ „სხვის საფიქრალს" ითავისებთ, გაიგეთ და ჩაიჭედეთ თავში, რომ ჩვენ მეტის გაკეთება არ შეგვიძლია, და ტყუილადა გაქვთ ჩვენი იმედი. თუ დაგვიჯერებთ, ხომ კარგი, თუ არა და — ბედის ანაბარა მიგატოვებთ, როგორც ცხრა აპრილს, და მერე ან მგელი შეგჭამთ, ან მგლისფერი ძაღლი!.. შეისმინეთ ეს შეგონება და თაობებს შემოუნახეთ ჩვენი ზრუნვა და ამაგი!..

...რაღა გვეთქმის ბედის ანაბარა მიტოვებულ შვილებს?!. „დედმამათა" ასეთი თაობა ხომ ერთი იბადება საუკუნეში!

**აკაკი გაიხარაშვილი**

15 აპრილი, 1989 წ.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დემოკრატიული საზოგადოების ანგარიშზე.

# ღია წერილი რედაქციას

პერესტროიკის ყოველმა მომხრემ იცის: „ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკა" ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაა. დღევანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად უფრო უპრიანი იქნებოდა ფორმულა: „ძლიერი ცენტრი" — „სუსტი რესპუბლიკა!" — სუსტი თავისი უფლებებითა და შესაძლებლობებით. ეს ის შემთხვევაა, როცა ცენტრის რეაქციულ ფრთას შეუძლია გამოგიგზავნოს დამსჯელი ექსპედიცია და ორლესული ნიჩბებით დაგიხოცოს გოგონები! — მას ისიც შეუძლია მოგივლინოს ჟურნალისტი, რომელიც შენსავე გაზეთში დაგიმტკიცებს, რომ გოგონები შენ თვითონ დახოცე, თავად ის კი მამაცურად იყო გადაფარებული სუსტ არსებებს და იცავდა მათ მუხანათი თანამემამულეებისაგან...

მძევლად აყვანილი სიმართლის გამო საუბარმა დაგვღალა ყველა, დიდიან-პატარიანად. ამავე საწუხარს წუხს „ლიტერატურული საქართველოს" 12 მაისის ნომერში იდა ბესტავაშვილი — „აპრილის" კომიტეტის წევრი, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

კარგია, რომ საქართველოდან შორს ყოფნის გამო ქალბატონი იდა ბესტავაშვილი თითქმის დაზღვეულია იმ საფრთხისაგან, რაც ქართველ ქალებს თურმე ყოველ წამს ელოდება, მაგრამ შესაძლოა, იმავე სიშორის გამო, მან სწორად არ იცოდეს ზოგი რამ, რაც ახლა საქართველოში ხდება!—აი, პირველი, რაც გავიფიქრე მაშინვე, როგორც კი სათაურს მოვკარი თვალი! მისასალმებელია, რომ სწორედ ამგვარ ფიქრს გიქარწყლებს კაცს ინფორმაციულ-ქრონიკული ხასიათის „პოპური", რომელიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაჩქარევ თარგმანს, კარგადაა დაწერილი. მართალია, თითქმის ყველაფერი, რასაც ქალბატონი იდა ბესტავაშვილი წერს, კარგადაა ცნობილი ქართველი მკითხველის, მსმენელისა და მაყურებლისათვის — ჩვენი სახელოვანი მეცნიერების სახაროვის, ლიხაჩოვისა და სადგეევის რაინდული პოზიციაც, იური როსტისა და ეგორ იაკოვლევის გმირული საქციელიც, გალინა კორნილოვას, ალა ლატინინასა და სხვათა — ჩვენი მეგობრებისა და საქართველოს გულშემატკივართა — თანადგომა, მაგრამ წერილი, ვფიქრობ, მაინც აკეთებს თავის საქმეს — იგი კიდევ ერთხელ უდასტურებს, რომ ჩვენ — რესპუბლიკას ცენტრშიც ჰყავს ჩვენი მოკეთეები...

მკითხველი ალბათ ხვდება, რომ მხოლოდ ამ ქათინაურის სათქმელად მე რედაქციას არ მივმართავდი!

ახეცაა. ქალბატონ იდა ბესტავაშვილის წერილში მე გამაკვირვა და შემაწუხა ერთმა აბზაცმა, რომელიც გამოიყურება, როგორც უადგილო და ნაუცბათევი ინტერპოლაცია — ავტოინტერპოლაცია! ამ აბზაცში ავტორი გამოდის, როგორც ჩემი ბრალმდებელი, უფრო ზუსტად — როგორც ფაზილ ისკანდერის ადვოკატი!

მართალია, მთელ წერილში ავტორი სასტიკად ილაშქრებს დეზინფორმატორთა წინააღმდეგ, ამჯერად მას თავად გაჰქცევია თვალი დეზინფორმატორთა მრუდე სარკისაკენ. ასე, მაგალითად, იგი ბრძანებს, რომ ჩვენ აქ თურმე რამდენიმე კაცი და მათ შორის ალბათ პირველ რიგში მე, „ამ ბოლო ხანს არაკეთილსინდისიერად ვცდილობთ, რომ ამ მწერლის (ფ. ისკანდერის. ტ. ჭ.) სახელი გამოვიყენოთ აფხაზ-ქართველთა შორის შუღლის გასაღვივებლად". თურმე „ამგვარივე სულისკვეთებითაა დაწერილი" ჩემი წერილიც. თურმე მე ფ. ისკანდერის ცნობილი მოთხრობა წამიკითხავს „წინასწარაკვიატებულად".

მოკლედ, ქალბატონი ი. ბესტავაშვილი მე ბრალად მდებს იმას, რაც მე ბრალად დავდე სხვას.

იცით, რატომ იქცევა „ცენტრიდან" ჩამოსული ქალბატონი ი. ბესტავაშვილი ასე?

იმიტომ, რომ იმაში, რაც ახლა აფხაზეთში ხდება, მე ბრალი დავდე არა აფხაზებს, არამედ სხვებს, კერძოდ, არააფხაზ წამქეზებლებს.

მე ინსპირატორი დავინახე საქართველოს გარეთ! აფხაზეთის გარეთ! მე დამნაშავედ არ ვთვლი თვით ჩემს იმ აფხაზ კოლეგებსაც კი, ვისაც იმ ავბედით წერილზე ხელი აქვს მოწერილი! აი, ამას უნდა გაეღიზიანებინა „იუპიტერი", იგი კი, მოგეხსენებათ, ცხარობს მაშინ, როცა მტყუანია!

ინსპირატორთა ეს განწყობილება კარგად გაამჟღავნა მოხუცებულმა ლიტერატორმა, ქალბატონმა ი. ბესტავაშვილმა

მან, მისდა უნებლიედ, დაადასტურა, რომ მე მართალი ვიყავი, როცა ინსპირატორებს ვეძებდი საქართველოს გარეთ, აფხაზეთის გარეთ.

მე ახლაც ჩემსაზე ვდგავარ. მე არც ერთ აფხაზს არ ვადანაშაულებ მომხდარში! მე ბრალს ვდებ ინსპირატორებს, რომლებიც საქართველოს გარეთ არიან! აფხაზეთის გარეთ არიან! პერესტროიკის მტრები არიან!

არ დავმალავ: სიტყვა, რომელიც მე პრეზიდიუმის სხდომაზე 4 აპრილს წარმოვსთქვი დაბეჭდვის შემდეგ მეც მკაცრი მეჩვენა ერთგვარად. ეს არცაა გასაკვირი — ჩვენ ყველანი იმ დღეებში ერთნაირად ვიყავით გაოგნებულები მომხდარით, გაოგნებულები, გაღიზიანებულები და შეშფოთებულნი. მომდევნო დღეებმა დაადასტურეს ჩვენი შიშის საფუძვლიანობა... ეს რომ არა, მე დღეს ალბათ ფ. ისკანდერზე ნოდარ დუმბაძის ეპიგონი-მეთქი, კი არ ვიტყოდი, არამედ ასე დავაფორმულებდი ამ აზრს — „ნიჭიერი რუსი მწერალი ფაზილ ისკანდერი, რომელიც დავალებულია ნოდარ დუმბაძისაგან"...

გამწარებული კაცის წამოსროლილ ზოგ მკვახე ეპითეტსაც შეველეოდი ალბათ, მაგრამ კიდევ უფრო მკაცრი ვიქნებოდი იმ მოთხრობის მიმართ, რომელიც, მე ქალბატონ ი. ბესტავაშვილის აზრით, „წინასწარაკვიატებულად" წამიკითხავს! — ჩემთვის მიუღებელია სისხლის სმის ესთეტიკა! კი, შეიძლება მსოფლიო ლიტერატურაში მსგავსი პასაჟების დაძებნა. აქვს, მაგალითად, ფოლკნერს მოთხრობა, სადაც სავსებით სერიოზულად საუბრობენ ადამიანის ხორცის გემოსა და თვისებებზე, მაგრამ აკეთებენ ამას იმ მოთხრობაში კანიბალები, შენს ხალხს კი, თუ იგი, რა თქმა უნდა, მართლა შენი ხალხია, სისხლისმსმელობა და კაციჭამიობა არ უნდა დასწამო, და ეს მიუხედავად იმისა, დიდი მწერალი ხარ თუ პატარა!

ასე რომ, განცხადება, კატეგორიულად არ ვეთანხმები ასეთ წაკითხვასო, არასერიოზული განცხადებაა! კითხვა მე, სხვათა შორის, გვარიანი ვიცი, იგი ჩემთვის დოცენტის მოვალეობის შემსრულებლებს არ უსწავლებიათ, იგი მე რუსთაველმა, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ მასწავლა. პუშკინმა მასწავლა, დოსტოევსკიმ მასწავლა... საერთოდ, ამგვარი საქციელი, ან თუნდაც სურვილი — ჩამოხვიდე, აუწიო ყური და გაბრუნდე — ვერ იწვევს მთლად სასიამოვნო ასოციაციებს. ამ დღეებში მაინც. ისიც სათქმელია, რომ ადამიანს, რომელსაც არ მოსწონებია ჩემი ტონი, არც თუ ისე სასიამოვნო ტონი აქვს ჩემს მიმართ — სურს მას ეს თუ არა, სტრიქონსა და სტრიქონს შუა მაინც გამოკრთის ცენტრიდანული ამბიციები, ლიტერატურას კი, როგორც ცნობილია, არა აქვს ცენტრისა და პერიფერიის ტერიტორიული გაგება. ასე რომ, სხვა დროს ქართულ მწერლობაში ამგვარი გასეირნებისაგან თავის შეკავება ჯობს.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტილის მკრთალი ანარეკლი გამოსჭვივის, მაგალითად, ასეთი ფრაზებიდან: „კატეგორიულად არ ვეთანხმები", „არადა, უნდა იცოდეს" და სხვა. ეს უკანასკნელი ფრაზა გაისმის, როგორც მითითება, თუ მწერალთა კავშირში მოსული დეპეშებიდან რომელი უნდა გამოაქვეყნოს ხელმძღვანელობამ და რომელი არა! საინტერესო ჩანს თავისთავად ამ დეპეშების ამბავიც. ქალბატონმა ი. ბესტავაშვილმა დაწვრილებით იცის, სად ვის რა დეპეშა გამოუგზავნა ფ. ისკანდერმა. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ფ. ისკანდერმა საქართველოში გამოგზავნა არა მხოლოდ დეპეშები, არამედ...

ერთგან ფ. ისკანდერი წერს: „ბლაგოროდსტვო — ეტო ვზლიოტ ნა ვერშინუ სპრავედლივოსტი, მინუია პრომეჟუტოჩნიე ზვენია ლოგიკი".

მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკაზე ფ. ისკანდერისაგან პრინციპულად განსხვავებული აზრი მაქვს, ამჯერად მეც დასკვნას ვაკეთებ არა ლოგიკის, არამედ ინტუიციის მიხედვით; ქალბატონ ი. ბესტავაშვილის უმთავრესი ამოცანა მაინც ფ. ისკანდერის დაცვა იყო. ვერ ვიტყვი, რომ მან ამ ამოცანას წარმატებით გაართვა თავი.

არც ეს ფრაზა მომეწონა ქალბატონ ი. ბესტავაშვილის წერილში: „მთელ ხალხს ნუ გავაიგივებთ ულირს ადამიანთა ჯგუფებთან!" ვისი მისამართითაა თქმული! ეს ხომ იმავე ბრალდებების პერიფრაზია, რითაც უკანასკნელი წლების საკავშირო პრესა ერთთავადაა მოწამლული! ქართველ ხალხს, მტერ-მოყვარის გარჩევა არ ესწავლება! ხალხებთან მეგობრობის პრინციპები მას ათასწლეულებში აქვს გამოტარებული! რა, რამე ისეთი ჩაიდინა, ამგვარ შეგონებებს საჭიროებდეს?

ვერც იმას გეტყვით, გულისხმობს თუ არა ქალბატონი ი. ბესტავაშვილი ფსევდოინტელიგენტებში ვინმეს კონკრეტულად, ის კი ვიცი, რომ ისტორიულად, მეტროპოლიებში შემუშავებული თვალსაზრისით, ნამდვილ ინტელიგენტად ითვლება რენეგატი, ნამდვილ ინტერნაციონალისტად კი საკუთარი ერის სისხლხორცეული ინტერესების უარმყოფელი ადამიანი. თავიანთი ქვეყნის ბოლომდე ერთგული ადამიანები კი, შესაბამისად, ნაციონალისტები ან, უკეთეს შემთხვევაში, პროვინციელები არიან. ეს იარლიყები საყოველთაოდაა ცნობილი, ისინი ჩვენში მილიონიანი ტირაჟებითაა გამოშვებული. როგორც ჩანს, მალე მათ ახალი, კოოპერატიული ტიპის შემოქმედებითი გაერთიანებებიც გაავრცელებენ. მაგრამ ჩვენ ახლა ამ თემაზე უარი ვთქვათ უნდა ისევე, როგორც თავად ქალბატონი ი. ბესტავაშვილი ამბობს უარს ეროვნული სუვერენიტეტის თემაზე იმ მოტივით, რომ მას თურმე ამისთვის საჭირო მასალა ხელთ არა ჰქონია...

(ისე, მე პირადად მგონია, რომ ეროვნული მოძრაობის თემით დაინტერესებულ ადამიანებს არასოდეს ჰქონიათ ხელთ ამდენი მასალა, თუმცა ეს მწერლის გემოვნებისა და პოზიციის საქმეა და ამაზე დავას აზრი არა აქვს).

გვჭირდება კი ახლა ასეთი რამე, კითხულობს ქალბატონი ი. ბესტავაშვილი. მეც ვისარგებლებ ამ ფორმით და კითხვას დავუბრუნებ: გვჭირდება კი ჩვენ ახლა „პამიატის" მისამართით გამოთქმული აუგი? რა ჩვენი საქმეა, რას ვეჩრებით სხვის „შინაპარტიულ" საქმეში, რატომ უნდა გავკილოთ რუსეთის ერთი ალტერნატიული გაერთიანება მეორის ხათრით და მეორის სასარგებლოდ, მით უმეტეს, რომ გამორიცხული სულაც არაა, „პამიატის" მისამართით გამოთქმული აუგი ვინმემ ნახევარი რუსეთის ლანძღვად ჩაგვითვალოს! რა საჭიროა, რას ვერჩით იმ ათასობით ქართველს, რუსეთში რომაა ახლა!

აი, კიდევ როგორ შეიძლება შუღლის გაღვივება, თუ შუღლზე და წინდახედულებაზეა ლაპარაკი!

საბოლოოდ კატონ უფროსის სიჯიუტით კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო: აფხაზეთში შექმნილი ვითარება არც აფხაზეთის ბრალია და არც ქართველობის! ინსპირატორები საქართველოს გარეთ არიან! ინსპირატორები აფხაზეთის გარეთ არიან! პერესტროიკის მტრების ეს ჯგუფი საქართველოს გარეთ ბრძანდება!

შეუძლებელია, ქალბატონ იდა ბესტავაშვილს ჩემსავით აინტერესებდეს სოხუმის ბედი — იქ ჩემი შვილიშვილები არიან! იქ ჩემი მეგობრები ცხოვრობენ — ნამდვილი აფხაზები და ნამდვილი ქართველები!

იხუმებენ ზოგჯერ ძმები,
ჩონგურ-აფხიარცა კი
იტყვიან, რომ არაფერიც არ
მომხდარა თარცაგი!

ეს სტრიქონები არის ლექსიდან, რომელიც მე ამ რამდენიმე წლის წინათ მივუძღვენი ორ პოეტს — ვანო თარბასა და შოთა ნიშნიანიძეს!

მართლა იხუმეს ძმებმა, მაგრამ „არაფერიც არ მომხდარა ფარცაგი", და ხვალ-ზეგ ისევ შერიგდებიან. საქართველოშიც ისევ დაისადგურებს სასურველი სიმშვიდე, და ყველას, აფხაზეთის საზღვარს რომ მივუახლოვდებით, გულებს კიდევ ბევრჯერ აგვიჩქროლებს დიდი პოეტის ძვირფასი სტრიქონი: გამარჯობა, აფხაზეთო, შენო!

**ტარიელ ჭანტურია**

## „კახეთს ვიყვენით, ბახტრიონს ჩავიყარენით"

1659 წლის ამბავს გვიყვება ჟამი: თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარმა ბახტრიონის ციხე-სიმაგრე აიღო და მუსრი გაავლო დამპყრობ სპარსელებს. გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა კახეთის აჯანყების ამ ეპიზოდმა. და საერთოდ: ბახტრიონი იყო ერთ-ერთი მტკიცე ბურჯი საქართველოს ეროვნული შენობისა.

მაგრამ სადღაა დღეს ბახტრიონის ციხე-სიმაგრე?! ორიოდე გოდოლი და კედლის ნანგრევიღა შემორჩენილა. რამდენიმე წლის წინათ ხარახოები გაუმართავთ, უზარმაზარი ცემენტის სვეტები აუშენებიათ, კედლის ნაწილი რკინაბეტონის ჩარჩოში ჩაუსვამთ... ძნელი გასარკვევია, რას აკეთებდნენ: მემორიალს თუ საქეიფო ადგილს. ახლა მიტოვებულია ეს „საქმიანობა". შემზარავი სანახავია აჩონჩხილი ხარახოები და ნაგვით სავსე მიდამო.

ეს რომ მიატოვეს, ეტყობა, „იდეას" მაინც ვერ შეელივნენ და ახლახან სხვა „საქმე" წამოუწყიათ. მთავარი გზიდან გზა გაუჭრიათ და ზედ ციხე-სიმაგრის ძირას წიდის ბლოკებით რაღაცას აშენებენ. გვითხრეს, ქორწინების სასახლე უნდა იყოსო. ჯერ ერთი, რა უნდა იქ ქორწინების სასახლეს?! მეორეც: ხალხის მოსატყუებლად გავრცელებულ ხმას ჰგავს ამ „სასახლის" ამბავი. ეტყობა, რაღაც დუქანს თუ რესტორანს აწყობენ.

როგორც უნდა იყოს, დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს ეს მშენებლობა ისტორიული ციხე-სიმაგრის მიდამოებში, უნდა გაუქმდეს ახალგაჭრილი გზა, უნდა დაიშალოს და გაიზიდოს ბლოკებით ნაშენი ქოხმახები.

ზემოთ, სადაც ხარახოებია აზიდული, ზოგი რამ — ახალგაკეთებული უნდა დაინგრეს და მოეწყოს მემორიალი, რომელიც მნახველს მოკლედ უამბობს ჩვენი მღელვარე ისტორიის ერთი სახელოვანი ფურცლის თაობაზე.

**ვახტანგ პაიკიძე,**
**სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „განათლების" პირველადი ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე.**

## „ლიტერატურულ საქართველოს"

გაცნობებთ, რომ თქვენი გაზეთის 1989 წლის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი „ღმერთო, დაგვიფარე შარაგზის ყაჩაღებისაგან", რომელშიც მოყვანილია საბჭოთა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც სინამდვილეს შეეფერება.

ამასთან დაკავშირებით რაიონის ხელმძღვანელებმა და ცეკავშირის გამგეობამ გაატარეს შემდეგი ღონისძიებები:

იმპორტული ლუდის, „ფანტას" და სიგარეტების ზედმეტ ფასებში გამყიდველ კაჩეგანის მომხმარებელთა საზოგადოების დამტარებელი ბ. ორუჯოვი და სოფელ კესალოს პავილიონის მზარეული ა. ალიევი მიცემული იქნენ პასუხისგებაში. მარნეულის სახალხო სასამართლომ პირველს ორი წლით პატიმრობა და 400 მანეთი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა, მეორეს კი ორი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მარნეულის რაიკოოპკავშირის გამგეობამ კონტროლის შესუსტებისათვის „წითელ ხიდთან" მდებარე რესტორან „მარნის" დირექტორს ნ. მაისურაძეს სასტიკი საყვედური გამოუცხადა უკანასკნელი გაფრთხილებით.

გატარებულია სხვა ღონისძიებებიც მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ცეკავშირის გამგეობას, მარნეულის სახალხო დეპუტატების რაიონულ აღმასკომთან ერთად, კონტროლზე ჰყავს აყვანილი რაიონის სავაჭრო მომსახურების საკითხები.

**ტახირ არველაძე**
**ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე**

## სასარგებლო დისკუსია

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდა დისკუსია თემაზე „ქართული წინაქრისტიანულ და ქრისტიანულ კულტურათა ურთიერთობის საკითხები". ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ძირითადად ფშავ-ხევსურეთში) ქრისტიანობამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, თუ ბოლომდე წარმართული სარწმუნოება შემორჩა მკვიდრად. არსებობდა სხვა მოსაზრებაც — ამ კუთხეებში მოხდა წარმართობისა და ქრისტიანობის შერწყმა. ამასთან ზოგი ფიქრობდა, რომ ეს შერწყმა წარმართობის პრიმატით მოხდა, ხოლო სხვები, პირიქით, ქრისტიანულ საწყისს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამ უკანასკნელ წლებში კვლავ ახალი ძალით განახლდა მეცნიერული კამათი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური მრწამსის შესახებ. ამასთან გამოიკვეთა ორი რადიკალურად განსხვავებული, შეიძლება ითქვას, ცალმხრივი აზრი: 1. ფშავ-ხევსურეთში თვით XX საუკუნის დასაწყისამდე, ე.ი. მანამდე, სანამ რელიგია, როგორც იდეოლოგია, გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ხალხის სულიერ ცხოვრებასა და კულტურის არსზე, გაბატონებული იყო წარმართობა, ხოლო ქრისტიანული ელემენტები თავის დროზე უფრო „თვალის ასახვევად" ან ამ კუთხის მცხოვრებთა მოჩვენებითი „ლოიალობის" გამოსახატავად იყო შეტანილი; 2. ისევე როგორც მეტროპოლიაში, ფშავ-ხევსურეთშიც ქრისტიანობა გაბატონდა და ყოველივე წარმართული, რაც ამ კუთხეების მცხოვრებთა რელიგიურ წარმოდგენებში იჩენდა თავს, ქრისტიანობის თანდათანობითი „პაგანიზაციის" შედეგს წარმოადგენს.

ძირითადი მომხსენებლები იყვნენ პროფ. აპოლონ ცანავა და პროფ. ზურაბ კიკნაძე, კამათში მონაწილეობა მიიღეს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლებმა: იოსებ მეგრელიძემ, დავით გოგოჭურმა, ლევან ჭრელაშვილმა, ბენო დობორჯგინიძემ, მანანა გიგინეიშვილმა, თემურ ნუცუბიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა ირაკლი სურგულაძემ, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტიდან — ნიკო გოგოჭურმა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებმა — თამილა მგალობლიშვილმა და ნუგზარ პაპუაშვილმა, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკმა მანანა თაბუკაშვილმა, კინოდრამატურგმა ამირან დოლიძემ.

დისკუსიის შედეგები შეაჯამა ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგემ ჯონდო ბარდაველიძემ.

# ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინის შესახებ

ცნობილია ტერმინების დიდი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. კ. მარქსი ამბობდა, რომ გარკვეული თვალსაზრისი მეცნიერებაში გულისხმობს გარკვეულ რევოლუციას ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის ტერმინებში. სამწუხაროდ ჩვენში ზოგიერთი ეკონომიკური ტერმინი თავიდანვე არასწორად, განსხვავებული შინაარსით ითარგმნა სხვა ენებიდან, რის გამოც ხშირად გაუგებრობებს ვაწყდებით. ავილოთ ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური ტერმინი „საწარმოო ძალები“, რომელიც „Производительные силы“-ს შესატყვისია. ამ ტერმინის ქართულ ვარიანტში გამორიცხულია ადამიანის, მუშის აქტიური როლი. საქმე ისაა, რომ ქართული ენის ბუნებისა და ნორმების მიხედვით მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ადამიანი და ნივთი. ამ საფუძველზე ვამბობთ — არა „საკეთებელი კაცი“, არამედ „მკეთებელი კაცი“, არა „სანადირო კაცი“, არამედ „მონადირე კაცი“, არა „საწერი კაცი“, არამედ „მწერალი კაცი“, აქედან ცხადია, უნდა ითქვას არა „საწარმოო კაცი“, „საწარმოო ძალები, არამედ „მწარმოებელი კაცი“, „მწარმოებლური ძალები“.

საწარმოო არის ის, რაც უნდა ვაწარმოოთ, ე. ი. შრომის საგანი, ან ის, რითაც უნდა ვაწარმოოთ, ე. ი. შრომის იარაღები, ადამიანი კი შრომის იარაღების საშუალებით შრომის საგნის მწარმოებელია. ცნება „производительные силы“ რომ მხოლოდ ადამიანს შეიცავდეს, მაშინ გვექნებოდა ტერმინი „მწარმოებელი ძალები“. მაგრამ ვინაიდან მოცემული ცნება შეიცავს შრომის იარაღებსა და შრომის საგნებსაც, რომელთა შორის მთავარი ადამიანია, ამიტომ მისი მართებული შესატყვისი ქართულად იქნება ტერმინი „მწარმოებლური ძალები“.

იგივე ტერმინი „производительный“ სხვა შემთხვევაში გადმოცემულია მეორეგვარი ქართული შესატყვისით, სახელდობრ „ნაყოფიერი“-თ, „производительный труд“ თარგმნილია, როგორც „ნაყოფიერი შრომა“. კ. მარქსის „კაპიტალი“ თარგმნილია ამ ტერმინით. ამგვარად, ჯერ ერთი, დარღვეულია ტერმინისათვის დამახასიათებელი პრინციპი, რომლის მიხედვით ტერმინში სიტყვის მრავალი მნიშვნელობა დაყვანილია ერთ მნიშვნელობაზე და მოცემულ მეცნიერულ დისციპლინაში ის თავიდან ბოლომდე ერთი მნიშვნელობით იხმარება, მეორე „производительный“ სრულებითაც არ ნიშნავს „ნაყოფიერს“, არც საერთოდ სემანტიკურად და არც ეკონომიკური შინაარსით. ნაყოფიერის რუსული შესატყვისი არის плодовитый, плодотворный, ნაყოფიერად თარგმნიან აგრეთვე სიტყვას (ნიადაგის მიმართ) плодородный.

ამნაირად ვღებულობთ плодовитый ნაყოფიერი, плодотворный ნაყოფიერი, производительный ნაყოფიერი და плодородный-ც ნაყოფიერი. ამგვარი ტერმინოლოგია არასწორია და უვარგისია. პირველი, „ნაყოფიერი“ რუსულ ენაში წარმოდგება ნაყოფისაგან — плод, რომელიც მოილება ბუნებრივად, ადამიანის შრომითი საქმიანობის, წარმოების გარეშეც. როგორც ვნახეთ, რუსულ ენას ჰქონია „ნაყოფიერების“ აღმნიშვნელი სამი-ოთხი სიტყვა: плодотворный, плодовитый, плодородный, плодоносный.

მაგრამ მაინც გახდა აუცილებელი რუსულ ენაში შემუშავებულიყო ახალი ტერმინი „производительный“, რომელმაც წინ წამოსწია ადამიანის აქტიური როლი შრომით საქმიანობაში, წარმოებაში. აქ ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ორი ტერმინი: „ნაყოფიერი“ და „მწარმოებლური“, უარყოფით ფორმაში „უნაყოფო“ და „არამწარმოებლური“.

როგორც ვხედავთ, ეს ორი ცნება „ნაყოფიერი“ და „მწარმოებლური“ ერთმანეთს არ ფარავს: შესაძლებელია შრომა იყოს „ნაყოფიერი“ და „არამწარმოებლური“, შესაძლებელია იყოს „ნაყოფიერიც“ და „მწარმოებლურიც“ და შესაძლებელია „პირიქითაც“ იყოს „უნაყოფოც“ და „არამწარმოებლურიც“. აქ აუცილებლად გვჭირდება ორი ტერმინი: „ნაყოფიერი“ და „მწარმოებლური“, უარყოფით ფორმაში „უნაყოფო“ და „არამწარმოებლური“. კ. მარქსი ხმარობს ტერმინს „непроизводительные женщины“ თუ, „непроизводительные“ ქართულად ვთარგმნეთ „უნაყოფოდ“, იქნება „უნაყოფო ქალები“. უნაყოფო ქალი ქართულად ნიშნავს ქალს, რომელიც მოკლებულია შვილოსნობის უნარს. „непроизводительный“-ს ეკონომიკური შინაარსი ამას არ გულისხმობს.

აქ ტერმინი „საწარმო“ არ ვარგა იმიტომაც, რომ ტერმინ „предприятие“-ს ქართულ შესატყვისად გამოყენებული გვაქვს „საწარმო“.

უმართებულოდ არის ხმარებული აგრეთვე ეკონომიკური ტერმინი „ხარჯთაღრიცხვა“. ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ შრომას ეწოდება «По поводу государственной росписи» (В. И. Ленин, соч. т. 5, 1954, с. 304—309). იგი ქართულად თარგმნილია „სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის გამო“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5, 1946 გვ. 410-417). ამგვარად ტერმინ „роспись“-ის შესატყვისად გამოყენებულია „ხარჯთაღრიცხვა“. ეს დიდი შეუსაბამობაა. სიტყვა „роспись“-ს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. ერთი მნიშვნელობით ის ნიშნავს „მოხატვას“, „მოხატულობას“, მეორე აზრით იხმარება ეკონომიკური მნიშვნელობით, როგორც ტერმინ ბიუჯეტთან დაკავშირებით — „бюджетная роспись“. ვ. ი. ლენინს ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით აქვს გამოყენებული. აქ „роспись“ — გულისხმობს ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის პროექტს. აქედან ადვილად წარმოსადგენია ის დიდი ტერმინოლოგიური გაუგებრობა, რომელსაც იძლევა „роспись“-ის შესატყვისად „ხარჯთაღრიცხვის“ გამოყენება. „ხარჯთაღრიცხვა“ ერთი, რომ ბიუჯეტის ერთ მხარეს — შემოსავალს სრულიად არ ითვალისწინებს, მეორე, არ ვარგა იმიტომაც, რომ ამ „ხარჯთაღრიცხვა“-ს იყენებენ „смета“-ს შესატყვისად, მაგრამ ის აქაც ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, ვერ გამოხატავს „смета“-ს შინაარსს, ვინაიდან „смета“ თავისი შინაარსით მოიცავს არა მარტო ხარჯთაღრიცხვას, არამედ შემოსულობათა და დანახარჯთა გეგმას და ვარაუდსაც. „смета“ არის „доходная“ და „расходная“. თუ „смета“-ს შესატყვისად ვიხმართ „ხარჯთაღრიცხვას“, მაშინ „смета расходов“ იქნება ხარჯების „ხარჯთაღრიცხვა“, „смета доходов“ „შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა“. კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა იქმნება, როდესაც უნდა ვთარგმნოთ „учет сметных расходов», «учет сметных доходов“, ამ შემთხვევაში თარგმანი მიიღებს შემდეგ სახეს: „ხარჯთაღრიცხვის ხარჯების აღრიცხვა“, „ხარჯთაღრიცხვის შემოსავლების აღრიცხვა“. „смета“-ს შესატყვისად „ხარჯთაღრიცხვის“ უვარგისობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ტერმინი „აღრიცხვა“ არის „учет“-ის შესაფერისი შესატყვისი.

ვფიქრობ, „смета“-ს ნამდვილი შესატყვისი იქნება „ნუსხა“, რომელიც სავსებით გამოხატავს მოცემული ცნების ეკონომიკურ შინაარსს. აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის შრომაში გამოყენებული აქვს ტერმინი „ბეგრის ნუსხა“, „გადასახადების აღნუსხვილობა“ და სხვ. ს. კაკაბაძეს თავის შრომაში მოხსენებული აქვს „ნუსხა ოცხანის ბეგარისა“, „ხაზინეულის გამოსავლის ნუსხა“, „ნუსხა საკათალიკოზო გლეხებისა და სხვა“ (იხ. საისტორიო მოამბე, ტ. 3, 1928, გვ. 28). ტერმინ „ნუსხას“ იყენებდა აგრეთვე ი. ჭავჭავაძე: ბ-ნის მეისნერის ამხანაგობას რომ ნუსხა გაუსინჯოთ, ვნახავთ, რომ განზრახვად აქვს გაიტანოს ჩვენიდან 6120 ურემი ღვინო: აქედან 4320 ურემი ღვინო ბოთლი 3 კაპეიკად უნდა გაყიდოს და 3800 ურემი თავი ღვინო 70 კაპიკად. მოსაგებად დანიშნული აქვს მანეთზე 34 კაპეიკი“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. VI, 1927, გვ. 303).

ტერმინი „ნუსხა“ შეგვიძლია ტერმინ „смета“-ს ტოლფასოვან ეკვივალენტად მივიჩნიოთ. იხსნება ყველა გაუგებრობა და გვექნება: „смета“ — „ნუსხა“, „смета доходов“ — „შემოსავალთა ნუსხა», смета расходов — „ხარჯთა ნუსხა“, „учет сметных доходов и расходов», — „ნუსხის შემოსავალთა და ხარჯთა აღრიცხვა“ და სხვ.

რაც შეეხება „роспись“-ს, როგორც აღვნიშნეთ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა დაკავშირებულია ეკონომიკური შინაარსის ტერმინთან» — «бюджетная роспись». ამ ტერმინის ქართულ შესატყვისად ვფიქრობთ გამოდგება — „ბიუჯეტური განწერა“.

**ვასილ ჩანტლაძე**

# კაიია — უთხარით ყველას

ცხრა აპრილს საღამოს ფინეთის ტელევიზიითა და რადიოთი ითქვა იმ საშინელი ამბის შესახებ, რაც თბილისში დატრიალდა. 10 აპრილიდან კი ტელევიზიასა და რადიოს პრესაც მიემატა. გაზეთებში „ჰელსინკინ სანომატ“, „ილტა სანომატ“, „ტიედონანტაია“, „უუსი სუომი“, „ლენსი სუომი“... ყოველდღე იბეჭდებოდა წერილები იმ საზარელ აქციაზე. მასალა ვრცელია. ვბეჭდავთ რამდენიმე ადგილს პირველი კვირის, 10-16 აპრილის პრესიდან.

**„ილტა სანომატ“, 10 აპრილი.** მთელ პირველ გვერდზე დაბეჭდილია სათაური თბილისში დატრიალებულ ტრაგედიაზე. იქვეა პატარა რუკა, ისარი ჯორჯიაზე — საქართველოზე მიუთითებს. საერთოდ, იმ დღეების პრესაში ერთმანეთის გვერდით იბეჭდებოდა: ნამიბია. შეფილდი. ჯორჯია (ზოგჯერ: გრუზია), მითითებულია გვერდი—18, სადაც დაბეჭდილია მასალა იმ ტრაგედიაზე:

ფინელმა ტურისტებმა სასტუმროს ფანჯრებიდან დაინახეს რა საშინელებაც მოხდა იმ დილით. დემონსტრანტებს შორის იყვნენ ქალები და, იმის მაგივრად, რომ ჯარისკაცებს დაეცვათ ისინი, ველურებივით დაესხნენ თავს. თბილისელი მილიციელები ცდილობდნენ დაეცვათ ეს უიარაღო ხალხი, მაგრამ მილიცია ვერაფერს გახდა.

ეს ძალადობა მოხდა დილით, კეტებითა და ორლესული ბარებით დაერივნენ ხალხს, ჩვენთანაც მოცვივდნენ მხეცებივით. ეს იყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა.

**„ტიედონანტაია“, 11 აპრილი.** კორესპონდენტი რისტო რეპო.

9 აპრილს თბილისში დაიღუპა 17, საავადმყოფოშია 100 კაცი, მაგრამ დაღუპულთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე ამბობენ. როგორც მთავარი ინფორმატორი საბჭოთა კავშირიდან გენადი გერასიმოვი ამბობს, იმ ღამის შემდეგ სერიოზული არაფერი მომხდარა. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს არავითარი გამოცდილება დემონსტრაციის ჩახშობისა. გ. გერასიმოვის სიტყვით, იმ ღამის შემდეგ, ყოველ შემთხვევაში დღემდე, არავითარი კრიტიკა არ გამოთქმულა ჯარისკაცების მოქმედების მიმართ.

გუშინ თბილისიდან ჩამოსულმა ფინელმა ჟურნალისტმა თქვა, რომ საერთო კლიმატი თბილისში გამწვავდა, მსხვერპლთა რიცხვი უფრო მეტია. გ. გერასიმოვის სიტყვით, მხოლოდ ცოტა დაძაბულობა შეინიშნება, კომენდანტის საათი 23 საათიდან 6 საათამდეა.

**„ილტა სანომატ“, 11 აპრილი.** გაოგნებული 74 ფინელი ტურისტი თბილისიდან შინ გაიწვიეს. დაღლილებსა და სულის სიღრმემდე შეძრულ ფინელებს მოუხდათ ქალაქის დატოვება, მათ ძალიან სურდათ შვებულება საქართველოს დედაქალაქ თბილისში გაეტარებინათ, მაგრამ თითქმის იმავე დღეს გამოამგზავრეს სამშობლოში. თბილისში შემაშფოთებელი ამბავი მოხდა. აქ ტანკებითა და გაზით მოინდომეს ხალხის გაფანტვა. სასტუმროს ფანჯრებიდან ფინელ ტურისტებს შეეძლოთ დაენახათ რა ხდებოდა იქ კვირა დილით და ახლა ყველა მათ ეკითხება, რა მოხდა იმ დღეს: ფინელმა ტურისტებმა მხოლოდ ერთი დღე გავატარეთ თბილისში და ფინეარის თვითმფრინავით ისევ უკან გამოგვამგზავრეს. 30 წუთში აეროპორტში უნდა იყოთო, გვითხრეს. ავტობუსი უკვე მზად იყო. მოგვიანებით, თბილისიდან წამოსვლის მერე კიდევ 89 ფინელი შემოგვიერთდა, იმათაც იგივე ბრძანება მიეღოთ. ჰელსინკის აეროპორტ ვანტააში ყველა შეშფოთებული ჩანდა, — იმ ღამეს არ გვძინებია, — ამბობს კაიია საარინენი. — ქუჩაში და მოედანზე უამრავი ხალხი ჩანდა. ჯერ ყველაფერი წყნარად იყო, მაგრამ როცა დილით ადგილზე ჯარისკაცების სპეციალური ჩგუფი და ტანკები მოვიდა, ყველაფერი თითქოს უცებ აირია. ვერ გაიგებდით რა ხდებოდა. ჯარისკაცებს დამცველი ფარები ეფარებინათ და გაზს ასხამდნენ პირდაპირ ხალხს. იმ ფინელებმა, ვინც მანამდე ერთი კვირა გაატარეს თბილისში, გვითხრეს, პირველი ტანკი შაბათ დილას დავინახეთო, დაახლოებით 8 საათზე. ცხრაში დილით კი ათი ტანკი მაინც მოვიდა ადგილზე, ზოგ ადგილას შუშა ცვიოდა, ხალხი კეტებით მიადგა ტანკებს. მე მარტო იმით კი არ შევშფოთდი, რასაც ვხედავდი, მე შეძრული იმითაცა ვარ, რაც აქეთ-იქით მესმოდა იმ დროს: უთხარით ყველას, რაც აქ ნახეთ, ეს ყველაფერი უთხარით ყველას, — გვეძახდა ბევრი. ის ფინელები, ვინც თბილისში რამდენიმე დღე გაატარეს, ლაპარაკობენ, რომ საქართველომ 1921 წელს დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა.

ფინელებმა ვერ მოასწრეს კარგად გაეცნოთ ქართველები და მათი ცხოვრება, რადგან თბილისიდან სწრაფად გაიწვიეს. აეროპორტშიც უცნაური და მკაცრი დაცვა გვქონდაო, ვერ გაიგებდით, ფინელების დაცვა სურდათ თუ ფინელების მხრიდან ეშინოდათ რაიმესი.

**„ლენსი სუომი“, 12 აპრილი.** თბილისის ქუჩებში იგრძნობა მთელი ქართველი ხალხის მწუხარება. ქალაქი ძაძებით არის მოსილი. ხალხს შავები აცვია. გ. გერასიმოვი ამბობს, რომ არ არის სწორი დასავლეთის ინფორმატორების ცნობა 9 აპრილის მსხვერპლთა რიცხვზე (80-დან 116-მდე), გ. გერასიმოვის აზრით, 16 მსხვერპლია. გვიან საავადმყოფოში კიდევ 2 გარდაიცვალა. გ. გერასიმოვი ამბობს, 12 ხალხის ბრბომ გათელაო. არაოფიციალური ცნობებით მსხვერპლი უფრო მეტია, ვიდრე გამოცხადდა. სამშაბათს 500 კაცი დააკავეს კომენდანტის საათის დროს. გ. გერასიმოვი ამბობს, 500 არა, 200 დააკავესო, მათ კომენდანტის საათის დარღვევაში ედებათ ბრალი.

**„ჰელსინკინ სანომატ“, 13 აპრილი.** კორესპონდენტი კიოსტი კარვონენ. გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ მიხედვით თბილისში შემოღებულია არა მარტო კომენდანტის საათი, არამედ შექმნილია სრულიად საგანგებო ვითარება. დილისთვის ცნობილი გახდა, რომ მსხვერპლი 19 კაცი იყო. ერთი ქალიშვილი, რომელიც 9 აპრილს დაშავდა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. ზოგი საბჭოთა გაზეთის მიხედვით საქართველოში ყველაფერი გაცილებით მწვავედ არის, ვიდრე გ. გერასიმოვი ამბობს. სამუშაო და სწავლა შეწყდა. გ. გერასიმოვი ამბობს, თბილისში საჭირო არ გახდებოდა არც ერთი ტანკი და ჯარისკაცი, რესპუბლიკას თვითონ რომ მოევლო ხალხისთვის და დისციპლინა დაემყარებინაო, მაგრამ დღემდე ეს არ ჩანსო.

**14 აპრილი**

იმ დღეს ფინეთში ორსაათიანი დემონსტრაცია მოეწყო, საქმე ის არის, რომ ერთ ფინელზე 26 კვ. მ. საბინაო ფართობი მოდის, მართალია, რამდენიმე წელიწადში უკვე 35 კვ. მ.-ზე მეტი ექნებათ, მაგრამ ფინელებმა მთავრობას მოსთხოვეს დაეჩქარებინა მშენებლობა. დემონსტრაციის მერე პროფკავშირებმა აღიარეს, ეს ასედაც მოხდებაო, გარდა ამისა, ფინეთის მოსახლეობის 75% საკუთარ სახლებში ცხოვრობს.

გაზეთ „ლენსი სუომის“ („დასავლეთ ფინეთი“) რედაქციაში მისვლისას ტელეფაქსით კიდევ ორი ფოტო მიიღეს — ორივეზე იმ დღეების თბილისია...

შვედი პოეტი და მთარგმნელი, შვეციის აკადემიის წევრი ჰანს ბიორკეგრენი მაისში აპირებდა ჩამოსვლას თბილისში, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის მოწვევით, ალბათ ვიზას ვეღარ მივიღებთ, მეუბნება ჰანს ბიორკეგრენი.

ფინელი მთარგმნელი სიულვი ნიკილია: აქ ტელევიზიით ითქვა, რომ 9 აპრილს იხმარეს ქიმიური მომწამვლელი გაზი, რომლის შემადგენლობაც ჯერ უცნობია... )

**„ჰელსინკინ სანომატ“, 15 აპრილი.** არმიის გაზეთის მიხედვით აშკარაა ჯარისკაცების ბარბაროსული საქციელი საქართველოში.

**„უუსი სუომი“, 16 აპრილი:** 56 გვერდიანი გაზეთის მე-15 გვერდზე დაბეჭდილია ასოშეიტედ პრესის ფოტო — 9 აპრილის ტრაგედიის ადგილი ყვავილებით არის დაფარული. ხალხი ტირის.

საქართველო დასტირის თავის მკვდრებს.

მოითხოვენ ჯარების წასვლას.

შაბათს ასობით ადამიანი მიდიოდა საქართველოს ქუჩებში შავი დროშებით. იმ დღეს უნდა დაემარხათ თავიანთი მკვდრები. ქალაქში მწუხარებაა. ან ოჯახის წევრი ჰყავთ მკვდარი, ან მეგობარი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. შავები აცვიათ ქალებს, კაცებს შავი სამკლაური უკეთიათ. უამრავი შავი დროშაა. მთავრობამ ბრძანება გასცა გადაეკეტათ ყველა გასასვლელი თბილისის ცენტრში. სამგლოვიარო პროცესია წყნარად მიდიოდა სასაფლაოსკენ. დაკრძალვის ყველა პროცესიაზე ათასობით კაცი იყო. პროცესია ტანკებს შუა მიდიოდა.

კვირას გაგრძელდა სამგლოვიარო სვლა.

შაბათს და კვირას სიწყნარე იყო.

**მალიკო ხელაშვილი.**
„ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონდენტი.

ჰელსინკი.

# იცან ჟამი ესე!

## ანზორ სალუქვაძე

ჩვენი ერის სულიერ საგანძურს, ვით უნატიფეს და უძველეს დიდებულ ტაძარს, არა ერთი თუ ორი ფრიად შესაშური ღირსება ამამაღლებს. ხოლო მის მთავარ ღირსებათა შორის უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რომ ამ ტაძრის ქურუმნი იმთავითვე შეუდგნენ კაცთათვის უმძიმეს ჯვარს, რამეთუ უდრტვინველად იღეს ხელთ მამულისთვის თავგანწირული რაინდის ფარი და მახვილი. ქართული შემოქმედებითი გენიაც, წმიდა ილია მართლის ნააზრევს თუ დავესესხებით, არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა, არამედ ჩვენი ხალხის მაღალზნეობრივი იდეალების სათავედ, მქადაგებლად და, რაღა თქმა უნდა, დაუშრომელ ქომაგადაც! — იაკობ ხუცესი, იოანე საბანისძე, სტეფანე მტბევარი, გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, გიორგი ათონელი, გიორგი მცირე და სხვანიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობნი. ჰა, ღვაწლი მათი:

„წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაი",

„მარტვილობაი და მოთმინებაი ევსტათი მცხეთელისაი",

„სიბრძნე ბალაჰვარისი",

„წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა აბოისი",

„წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისაი",

„წამებაი წმიდისა მოწამისა გობრონისი",

„წამებაი და ღვაწლი წმიდათა და დიდებულთა მოწამეთა დავით და კონსტანტინესი",

„წამებაი ყრმათა წმიდათაი რიცხვით ცხრათაი",

„ცხორებაი და მოქალაქობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი",

„შრომაი და მოღვაწეობაი ღირსად ცხორებისაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი",

„ცხორებაი და მოქალაქობაი ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩვენისა სერაპიონისი",

„ცხორებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმიდელისაი",

„ცხორებაი ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაი",

„ცხორებაი და მოქალაქობაი წმიდისა მამისა ჩვენისა ილარიონ ქართველისაი"...

ამა ნაღვაწთა სათაურნი აქ სრულად იმისთვის მოვიტანე, რომ ერთხელ კიდევ გაცხადებულიყო, თუ რა ძვირად ფასობდა ცხორებაი და მოქალაქობაი, სიბრძნე, სიწმინდე, მოთმინება და, გვირგვინი ყოველთა ამათა: მარტვილობაი — წამებაი! წამებაი! წამებაი!...

მერე რუსთველი!

უფრო აქეთ — სულხან-საბა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და...

* * *

ის, ვინც ჩვენი ერის დუხჭირი წარსულიდან გამომდინარე მომავალს გამჭრიახის თვალით გახედავს, ხოლო აწმყოს შეუცდომლად განსჯის, უთუოდ დაადასტურებს, რომ საქართველო, დღეს, მეტად მძიმე, ეგებ საბედისწერო განსაცდელის წინაშეც კი დგას!

გვიჭირს!

ძალიან გვიჭირს!

ჯერ მარტო მოსალოდნელი ატომური კატასტროფის, ოზონის საფარველის მოლიავების, ბიოსფეროს დაღუპვისა თუ სხვა აპოკალიფსური მოვლენების გააზრება რად გვიღირს! მაგრამ, მოდით, გლობალურ ფიქრებს დროებით თავი მივანებოთ, ღმერთი ვახსენოთ და ჩვენს შინაურ საქმეებს მოვუბრუნდეთ.

უბედურება მხოლოდ ის როდია, რომ ხალხთა მეგობრობისა და საერთო საბჭოური სამშობლოს ცნებებს ამოფარებულმა გარეშე თუ შინაურმა ნაძირალებმა დაუსჯელად მიჰყვეს ხელი ქართული მიწების ყიდვა-გაყიდვას, რითაც კიდევ ერთხელ შელახეს ჩვენი ქვეყნის ისედაც საკმაოდ შელახული ეთნიური მთლიანობა; უბედურება არც მხოლოდ ისაა, რომ ხსენებული უმსგავსობის ფონზე კიდევ უფრო გაფერმკრთალდა ქართველთა შობადობის, ანუ გამრავლების ისედაც მკრთალი, უფერული იმედი, ვაზის უღაჭო ლერწივით რომ მინდობოდა დიდი ხნის წინათ ძირგამომპალ ჭიგოს — ალზევებული ცინიზმის პერიოდში გაზულუქებულ ბიუროკრატთა მიერ ფესვებგამოღრღნილ სასიცოცხლო საყრდენს, რასაც მაშინ „განვითარებულ სოციალიზმს" უწოდებდნენ, ხოლო აწლა უღვთოდ დარღვეული ეკოლოგია, მოშლილი ეკონომიკა, დაქცეული მრეწველობა, განადგურებული მეურნეობა და არ ვიცი კიდევ სხვა რა აღარ მქვია. მაგრამ მთავარი უბედურება არც ესაა.

მთავარი და სრული უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ დროთა ვითარებაში, ჩვენი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ეგრეთ წოდებული პროსტრაციის, ანუ სულიერი დეპრესიის, ზნეობრივი დაკნინებისა და ყველაფრის „გასულერთების" წინაშე აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ჩვენს ადმინისტრაციულ, სამართლებრივ, სამეურნეო, სავაჭრო თუ საგანმანათლებლო ორგანოებს, შემდეგ კი დანარჩენებსაც. წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძლიერნი ამა სოფლისანი სრულად განერიდნენ თანატანჯვასა მოძმისასა, უარჰყვეს სასოება, განიზარმაცეს სული თვისი, განუდგნენ ღვაწლსა საქვეყნოსა, მიეცნენ ფუფუნებასა, — ლხინსა უმიზნოსა და უმიზეზოსა, ნადიმსა მომხუცებულსა, ამპარტავნობას უგუნურსა, მოხვეჭასა განძისა უთვალავისა, ენით სიძვასა, ქრთამსა და მრუშობასა... და, ჰა! გამოისობით ყოვლისა ამისა, დაჰაობდა ქვეყანა სრულად ანუ შეწყდა რებაი წყალთა მაცოცხლებელთა, დადგნენ წყარონი სათავისანი, დაგუბდნენ მდინარენი და ნაგუბართა შინა შთაეფინნენ მყაყნი და უმურნი, და აღმოცენდნენ მყრალისაგან უძრავისა ნაყოფნი ცოდვისანი..."

ვფიქრობ, მოყვანილი ციტატა ზედმიწევნით ზუსტად ასახავს სინამდვილეს.

მაინც რამ შექმნა ეს შემზარავი კორუპტირებული „სამყარო?" დავიწყოთ თავიდან.

გავიხსენოთ საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველივე წლები — ქვეყნის მესვეურთა დაუოკებელი ლტოლვა განუსაზღვრელი ძალაუფლებისაკენ; დემოკრატიის, ანუ სახალხო თვითმმართველობის მიზანდასახული გაბაიბურება; ეროვნულ მისწრაფებათა გაუთვალისწინებლობა; წმიდა მამულიშვილური გრძნობების ნაციონალიზმად, ანუ საბედისწერო დანაშაულად გამოცხადება; ხელისუფლების სრული ცენტრალიზაცია — ადამიანთა გათიშვა საქვეყნო საქმეებიდან, ხალხის რჩეულთა უფლებების აბსოლუტური იგნორირება. აქედან — ოდესღაც დიდად სანუკვარი იმედის — „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" გაცრუება.

გალაშქრება კერძო მწარმოებელთა თუ ხელოსანთა წინააღმდეგ, მათი წესგარეშე გამოცხადება; წვრილ საწარმოთა გაუქმება; „სახალხო საკუთრებად" აღიარებულ ფაბრიკებსა და ქარხნებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება. აქედან — ოდესღაც დიდად სანუკვარი იმედის — „ქარხნები მუშებს!" — გაცრუება.

წინდაუხედავი, თვითნებური ჩარევა სოფლის ცხოვრებაში — გლეხებისთვის, სიმწრით შეძენილი, ბრძოლით მოპოვებული თუ მამა-პაპისგან ნაანდერძევი მიწების ჩამორთმევა; მსხვილფეხა მუშასაქონლისა და თვით გლეხების „კოლექტივში" ძალდატანებით შერეკვა; საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ჩამოყალიბება — გლეხკაცის ხელფასზე გადაყვანა — მშობლიური კარ-მიდამოდან მისი საბოლოოდ მოწყვეტა. აქედან — ოდესღაც დიდად სანუკვარი ოცნების — „მიწა გლეხებს!" — გაცრუება.

ქვეყნის მესვეურთა უტოპიური, ანუ რეალურად აღუსრულებელი იდეების სახელმწიფო „რელიგიად" გამოცხადების მიზნით ჭეშმარიტი გნოსეოლოგიური ცენტრების ვანდალური გაცამტვერება; ამასთან — საყოველთაო ათეისტური აღტყინება — ღვთის გმობა, ეკლესიათა რბევა, ყოველგვარი თეოსოფიური ნააზრევის აუტოდაფე; ბიბლიისადმი ყოვლად უმსგავსი ცინიკური დამოკიდებულება, ახალი აღთქმის ცხრაკლიტულში გამომწყვდევა. აქედან — ადამიანის „განთავისუფლება" ელემენტარული სინდისისაგან!

საყოველთაო სახალხო განათლების შემოღება — დროის ფუჭად ფლანგვა! დროის ფუჭად ფლანგვა უმაღლეს სასწავლებლებშიც — ფალსიფიცირებული ისტორიისა თუ პოლიტეკონომიის ზუთხვაში დაკარგული უამრავი საათი; კიბერნეტიკისადმი ირონიული დამოკიდებულება; აინშტაინის ცრუ მეცნიერად მონათვლა. ატომისტიკის წარღვნისდროინდელი ინტერპრეტაცია — რეგვნობის აღზევება, მწერალ რეზო ჭეიშვილისა არ იყოს, მეტი კურიოზი რაღა გნებავთ, ხიროსიმაში ატომური ბომბი უკვე აფეთქებული იყო, ხოლო საბჭოთა სკოლაში მოსწავლეებს ჩასჩიჩინებდნენ ატომი განუყოფელიაო!.. აქედან — ტყუილითა და დეზინფორმაციით გაბრუებული ადამიანების ალფრთოვანებულ ტაშისმკვრელებად გადაქცევა... (ტაშისა, რომელიც, წესისამებრ, ყოველთვის ოვაციაში გადადიოდა).

* * *

ქართველი კაცი ოდითგანვე ეტრფოდა თავისუფლებას — ნეტა, „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდესო", ნატრობდა. ერთხელ ეს ნატვრა, ავად იყო თუ კარგად, თითქოს აუხდა კიდეც. მაგრამ შემოჩვეულმა უღირსობამ თავისი გაიტანა — ათას ცხრაას ოცდაერთი წლის თებერვალში, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა" მან ეს სიმწრით მოპოვებული თავისუფლება დაჰკარგა. თუმცა მამულიშვილურ გრძნობას, რომლის გამომჟღავნება იმ დროს შოვინისტურ, ანუ ანტიინტერნაციონალისტურ გამოხდომად ითვლებოდა, მაინც ვერ შეელია! ვინც უფრო თამამი იყო, ერის სატკივარი ხმამაღლა თქვა, სანაცვლოდ კეფაში ტყვია და სოლანლუღის მიდამოებში უსახელო საერთო საფლავი მიიღო. ვინც ტყვიას გადაურჩა, რაღაც მანქანებით განერიდა უზურპაციას, სახელმწიფო საზღვარს გაცდა და, ნოსტალგიის მძიმე სენით შეპყრობილმა, უცხოეთში ჰპოვა თავისი აღსასრული, დანარჩენნი კი ნებსით თუ უნებლიედ დაემონნენ საერთო ბედისწერას, სიმართლის თქმას სიცრუე არჩიეს. არც გაემტყუნება მათ, რადგან „ვახტანგ გორგასალის ცხოვრების" ავტორის, ჯუანშერისა არ იყოს, „პირითა მათითა მკურთხევდნენ და გულითა მათითა სწყევდნენ". მთლად უღირსნი კი სულმოკლეობით შეუდგნენ სატანას, მამულიშვილობას „დერჟიმორდობა" ამჯობინეს და, პირადი კეთილდღეობის ვნებით შეპყრობილნი, მაუზერით ხელში საკუთრივ სვრეტდნენ თავისსავე თანამემამულეებს. იმდენი მქნეს, რომ აღარც ვაჟა-ფშაველას ძე, ლევანი დაინდეს. მაშინ, ქართველი მწერლები მუხლმოყრით ეჯნენ „ამა საქმეთა" ერთ-ერთ ორგანიზატორს და სიკვდილმისჯილის შეწყნარებას სთხოვეს, მაგრამ, — ნურას უკაცრავად! — ვაჟას შვილი კი არა, თვით ვაჟაც რომ ყოფილიყო ცოცხალი, იმასაც ჩავაძაღლებდითო. — მიიღეს პასუხად. დიდად საცნაური კია! თუმცა, აქედან თუ გავხედავთ, არც ილიას მოკვლა, არც ვაჟა-ფშაველას შვილის, ლევანის, არც ტიციან ტაბიძის, არც მიხეილ ჯავახიშვილის და არც სხვა გამოჩენილ პიროვნებათა ელიტა იყო ჯალათებისთვის მაინცა და მაინც ხელსაყრელი, რადგან ილიას მაგალითზე კარგად შეიგრძნეს, რომ მომავალი არავის არაფერს აპატიებდა. ამიტომ, განა უმჯობესი არ იქნებოდა, სულაც აღარ შობილიყვნენ ისინი? სწორედ ამ მიზნით მიუსიეს მომავალ თაობებს თავიანთი ერთგული ნაგაზები — დემაგოგები, ცენზორები, ფსევდოსწავლულები, სოცრეალიზმით კბილებალესილი კრიტიკოსები. უბრძანეს: თუ ჩვენგან მოგდებული ლუკმა გეგემრიელათ, ილიას მსგავსი აღარავინ გააჭაჭანოთო! ისინიც გაფაცცდნენ და, „ახალი თემიდის" ატრიბუტებით აღჭურვილნი, თავგამოდებით შეუდგნენ თავიანთ არაკაცურ მოვალეობას. ვინ მოსთვლის რამდენ ნიჭიერ ადამიანს გააგდებინეს ხელიდან კალამი, ფარგალი თუ საჭრეთელი. ამრიგად, კარგა დიდ ხანს გრძელდებოდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის განუკითხავი კასტრაცია.

რამ დაგვავიწყოს არნახული ძალმომრეობა — უღვთო რეპრესიების შედეგად დაღვრილი სისხლი და ცრემლი!

რამ დაგვავიწყოს უცოდველთა სატანური რბევა — საყოველთაო შიში, უშობლობა, უნათესაობა... მერე — ომი, შიმშილი, სიცივე და ვინ მოსთვლის კიდევ რა არა!

რამ დაგვავიწყოს ჭეშმარიტების კარიბჭესთან დაცემული დიდი ივანე ჯავახიშვილი!

რამ დაგვავიწყოს წამებული გალაკტიონი!

და ბოლოს — ტირანიაზე ამოზრდილი პროსტიტუირებული საზოგადოება, „განვითარებულ სოციალიზმად" წოდებული ამაზრზენი კორუპცია! თუმცა...

ეს ყველაფერი იყო მაშინ...

იყო გუშინ...

იყო გუშინწინ...

იყო ათი, ოცი, ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი წლის წინათ...

იყო ოდესღაც...

დღეს კი?... დღეს, როცა, მადლობა ღმერთს, თვალი აგვეხილა, როცა მივხვდით, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება, როცა მოვიხმეთ საჯაროობა, როცა ადამიანის გულში გაღვივდა თითქმის ჩამქრალი იმედის ნაპერწკალი, სწორედ მაშინ... დიახ, ვინ წარმოიდგენდა, რომ სწორედ მაშინ გაგვიშავდა გაზაფხულის ნაზი ყვავილი — „ვაი, ეგეთას სამართალს მონათლულს ცოდვა-ბრალითა!"

მაინც რა მოხდა?! ვინ შეღება დედათა და ქალწულთა უმანკო სისხლით ათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრა წლის ცხრა აპრილი? ვინ მოგვიქნია ორლესული? ვინ დაგვასხა მოწამლული ისარი? ვინ ვის გაუთხარა ვერაგულად სამარე?

უეჭველია, გაუთხარეს ხალხს! საჯაროობას გაუთხარეს, დემოკრატიას გაუთხარეს, აზრისა და პიროვნების თავისუფლებას გაუთხარეს!..

ვინ გაუთხარა?

რაღა თქმა უნდა, იმან, ვისაც სატანის სამსახურში გასუქებული უკანალი რაზანია თბილ სავარძელში უდევს და არცა ერისა, არცა ბერისა არა ენაღვლების რა.

მაინც ვინ ბრძანდება ეს დიდებული ბატონი?

ეგებ — ჩინოსანი?

ეგებ — მინისტრი?

ეგებ — სარდალი?

ან, ეგებ, ვინმე იმ დიდებულ გვამთაგანი, ვისაც სახელმწიფოს ხარჯზე თვითმფრინავი ემსახურება, ხოლო ცეცხლგამძლე სკივრი მილიარდებით აქვს სავსე და „პერესტროიკა" (რას გაიგებ ეშმაკისას) ცხოვრების კეწეროდან ძირს ჩამოგდებით ემუქრება?

ან, ეგებ, ისიცა და სხვაც, რაღაც მანქანებით მეტ-ნაკლებად აღზევებულნი, ვისაც, ადვილად მისახვედრი მიზეზის გამო, სიკვდილად უჩანს წარსულთან განშორება? განა ცოტაა „ჩვენს დიად სამშობლოში" კონსერვატორი, ბიუროკრატი, ყალბისმქმნელი, მკვლელი და ჯალათი?

ვაი, რა ძნელი ყოფილა სამშვიდობოსაკენ შემობრუნება დასაღუპად განწირული ხომალდისა, რომელსაც უმეცრებისა და უსულგულობის ქარიშხალი სასანგრე ნიჩბებივით პირალესილი რიფებისკენ მიაქანებს და რომლის გემბანზე სხვა და სხვა ეროვნების ასობით მილიონი მგზავრი იმყოფება!

მაინც რა მოხდა? ვინ ჩაიდინა „ჯერ არ ნახული, არ გაგონილი" ბოროტება, რომლის მსგავსი თვით ბელზებელსაც არასოდეს დასიზმრებია?

ვინ გამოიყენა საბჭოთა ხალხის დასაცავად მოწოდებული არმია თავისივე ხალხის დასარბევად?

ვინ შეეცადა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა პროგრესისთვის, გარდაქმნისთვის, გარდაქმნის მესვეურთათვის?

ვინ დააკნინა საქართველოში ის ოფიციალური ძალა, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა ცხრა აპრილის უმაგალითოდ ანტიდემოკრატიულ აქციას?

ვინ შეეცადა დავერწმუნებინეთ, რომ ყველაფერი კეთილი სურვილებით აღძრულ უდანაშაულო ადამიანებს, მოშიმშილეებს, დემონსტრანტებს, მათ ქომაგებსა და ხელმძღვანელებს უნდა დაბრალდეს?

ვინ შეეცადა დავერწმუნებინეთ, რომ ათეულობით ქალი და ქალიშვილი ექიმებისთვის უცნობი ტოქსიკური გაზითა თუ პირალესილი სასანგრე ნიჩბებით კი არ არიან დასოცილნი და დასახიჩრებულნი, არამედ „ზედაზორაში" დაიღუპნენო?

რას ჰგავს ცენტრალური პრესა და ტელევიზია?

ვინ ავრცელებს ყოვლად უმსგავსო დეზინფორმაციას?

გვპირდებიან ყველაფერს გავარკვევთ და სიმართლეს მოგახსენებთო. გვჯერა, თუმცა, ზოგადად, ბევრი რამ ისედაც ნათელია.

* * *

რა ვქნათ ახლა ჩვენ?

როგორ გავუმაგრდეთ მოძალებულ ჭირს?

უპირველეს ყოვლისა, დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ. აღარ უნდა ველოდოთ სხვებს, საქართველომ თვითონ პირველმა უნდა გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი, აღარ უნდა უცადოს თითქმის ყოველთვის დაგვიანებულ ინსტრუქციებს, უნდა პირველმა მისცეს ხალხს თავისუფლება, მიწა, ქარხანა და ყველაფერი ის, რასაც „პერესტროიკა" გულისხმობს...

მადლობა ღმერთს, ჩვენში კვლავაც არიან ისეთი ადამიანები, მათ შორის ხალხის ნამდვილი რჩეულნიც, იმთავითვე რომ განერიდნენ ეგზომ მოძალებულ სიცრუეს, ორპირობას, მლიქვნელობას, სულმოკლეობას! რამეთუ ყრმობიდანვე მძაფრად ჰქონდათ შეგრძნებული ზურაბ ავალიშვილის გულისტკივილი — საქართველოს ვერაფერი დაღუპავს გარდა საკუთარი შვილების სულმოკლეობისაო, ამიტომაც სძაგდათ სულმოკლეობა, რომელიც ჭეშმარიტმა მამულიშვილმა და გულმართალმა ისტორიკოსმა ერის ღალატთან გააიგივა. სძაგდათ და არც არასოდეს განუტევებიათ ეს სიძულვილი. აკი თვით ვაჟამ ბრძანა: „რა გინდა ჭირი მაკეროთ, ბილწს არ შავეკვრი ზავითაო!"

მაშ, მოდით, სანამ გვიან არაა, მხარში ამოვიყენოთ ასეთი ადამიანები და ყველამ ერთად შევქმნათ ისეთი გუნდა, რომელიც ხელს შეუწყობს ჯერჯერობით კვლავაც დაქსაქსული საქვეყნო მიზნების დაუყოვნებლივ გამთლიანებას.

მაშ, მოდით, ყველა ერთად შევუდგეთ ჩვენს ტანჯულ მამულს!

მოდით, დავიფიცოთ.

მოდით, თავი დავანებოთ ერთმანეთის უაზრო კილვას.

მოდით, შევავედროთ ერთმანეთს, შევავედროთ ქალსა და კაცს, ყრმასა და მხცოვანს, გლეხსა და მეცნიერს, მუშასა და ხელოვანს, შევავედროთ ჩვენს უნიჭიერეს ახალგაზრდობას, — ვენდოთ ერთმანეთს, ნუ ვიქნებით სულმოკლენი, ვიყოთ სულგრძელნი, ვიყოთ მოყვასნი, ძლიერნი და ლმობიერნი!

მოვიხმოთ სიბრძნე, სიყვარული და ისევ სიბრძნე, რამეთუ სიბრძნე მარტოოდენ სიყვარულშია!

1989 წ.
აპრილი.

## წერილი რედაქციას

გთხოვთ შესაძლებლობა მოგვცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ბოდიში მოვუხადოთ აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს იმ შეცდომისათვის, რომელიც მისი ბიოგრაფიის დაბეჭდვისას დაუშვა ჩვენმა ჟურნალმა. ვუსურვებთ შესანიშნავ მეცნიერს დიდხანს სიცოცხლეს და შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას ქართული და მთელი საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ.

„დრუჟბა ნაროდოვის"
რედკოლეგია

# როცა დუმილი ოქრო არ არის

## კანონი უნდა კანონობდეს

მიწა ყველაზე ძვირფასი სახელმწიფო საკუთრებაა, ერისა და ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრეა. მისი გაუფრთხილებლობა და განიავება განსაკუთრებით დაუშვებელია საქართველოში — ერთ-ერთ მცირემიწიან რესპუბლიკაში. ეს კარგად უნდა იცოდეს რესპუბლიკის ყველა მცხოვრებმა — ქართველმაც და არაქართველმაც — და თვალისჩინივით უნდა უვლიდეს და უფრთხილდებოდეს ჩვენს ერთადერთ მარჩენალს.

სამწუხაროდ, საეჭვოა, სადმე, რომელიმე ქვეყანაში ისე უდიერად და სულიოალებლად ექცეოდნენ მიწას, როგორც სწორედ ჩვენში. „ლიტერატურულმა საქართველომ" ამ ყველაზე სასიცოცხლო საკითხზე საქმიანი განსჯა და სჯა-ბაასი წამოიწყო. გადავწყვიტეთ ხალხის სამსჯავროზე გამოვიყვანოთ არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც დაუნდობლად და უსულგულოდ ექიდებიან ამ ძვირფას განძს, პირადი თამასუქებივით ჰყიდიან, აჩუქრებენ მას თავიანთი კეთილდღეობისათვის. ჩვენ უკვე მოვახსენეთ მკითხველს, თუ როგორ ექსტრემისტულად შეესივნენ საბურთალოს რაიონში ვეძისის პლატოს უცხო ჯილაგის წარმომადგენლები და ჩვენს თვალწინ „დაიპყრეს" იგი, გაუწყეთ მერცე საუკუნის ლეკიანობაზე ყვარლის რაიონში, მიწისადმი „გულმოწყალე" დამოკიდებულებაზე მარნეულის რაიონში. ამჯერად კიდევ ერთ-ერთ რაიონში შექმნილ მდგომარეობას გაგაცნობთ და აქვე მოგახსენებთ, რომ ქართული მიწა, მისი დაცვა და შენარჩუნება მუდამ იქნება ჩვენი გაზეთისა და მისი მრავალათასიანი მკითხველების კონტროლს დაქვემდებარებული, რათა მივაღწიოთ სანიმუშო წესრიგს ამ სასიცოცხლო საქმეში.

●

დმანისის რაიონიც მათ შორის არის, რომელიც ვერ გადაურჩა უძრაობის წლების ცდუნებას და იმძლავრა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონების, საპასპორტო რეჟიმის დანაშაულებრივმა დარღვევებმა. ამ ნეგატიურმა მოვლენებმა რაიონის ყველა სოფელს, დასახლებულ პუნქტს, საზოგადოებრივ მეურნეობას გადაუარა და დაატყო თავისი მსახვრალი ხელი. განსაკუთრებით გავრცელებული ფორმა გახდა საზოგადოებრივ მეურნეობებზე სახელმწიფო აქტით გადაცემული მიწის ფართობების დატაცება და დანაწილება. საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებიც არ უფრთხილდებოდნენ ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხილ ქართულ მიწას. მათი დაუდევრობითა და დანაშაულებრივი მოქმედებით ასობით ჰექტარი ფართობი გამოაკლდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ასე ხდებოდა წლების მანძილზე, თითქმის ყველას მონაწილეობით, ყველას თვალწინ, გამკითხავი კი არავინ იყო.

ინიციატივა ისევ ზევიდან წამოვიდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გასული წლის 20 ოქტომბერს განიხილა საკითხი მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისისა და კასპის რაიონებში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში კანონმდებლობათა მოთხოვნების უხეში დარღვევის შესახებ. მიღებული გადაწყვეტილება პარტიის დმანისის რაიკომის ბიუროს სამოქმედო პროგრამა გახდა. რაიკომისა და პირადად მისი პირველი მდივნის ომარ ელოშვილის თაოსნობით შეიქმნა სპეციალური კომისია. მასში შევიდნენ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, რაისაბჭოს აღმასკომის, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები. მასობრივ შემოწმებაში მონაწილეობენ აქტივისტები და მშრომელთა წარმომადგენლები.

— კომისიამ მოკლე დროში დარღვევის მრავალი ფაქტი გამოავლინა, — გვითხრა რაიონის პროკურორმა ო. დგებუაძემ. — მიწების მიტაცება, სამწუხაროდ, ერთეული შემთხვევა არ არის და მას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, სოფელ ქარიანში მოსახლეობის მიერ საზოგადოებრივი მიწის ფონდიდან მიტაცებული აღმოჩნდა შვიდნახევარი ჰექტარი, სოფელ კამარლოს მცხოვრებლები რვა ჰექტარსაც არ დასჯერდნენ. სოფელ ორგანჩაიში მადაგახსნილი აღმოჩნდა თორმეტი ოჯახი. მეზობლებმა პირი შეკრეს, ერთმანეთს შეეჯიბრნენ, ვინ მეტს მიიტაცებდა. ასე ხუთი ჰექტარი ნაყოფიერი ფართობი გამოთიშეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. მიწების დატაცება უცხო ხილი არ ყოფილა სოფლების შაჰმარლოს, დიდი დმანისის, ჯავახის, განთიადის მცხოვრებთათვის. ყველა სოფლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მილიციის რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორები ამ შექმნილ მდგომარეობას არად დაგიდევდნენ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მათ ხელში კანონმა მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დროს ფაქტიურად შეწყვიტა მოქმედება.

ზოგან, მაგალითად, განთიადისა და დიდი დმანისის სასოფლო საბჭოებში სახნავ-სათესი მიწები საზოგადოებრივ ნაგებობათა ან საწარმოთა მშენებლობისათვის გამოიყენეს და ესეც სათანადო ორგანოების დაუკითხავად, მათი დადგენილების გარეშე მოხდა. ვისაც როგორ სურდა, ისე ანიავებდა მიწას, პასუხს კი მათ არავინ სთხოვდა. ბედის ირონიაა, — გვითხრეს განთიადში, — ჩვენთან მაღაზიის გამყიდველს, პირდაპირ ვიტყვით, ტყავს აძრობენ კაპიკების დარღვევისათვის, მაგრამ ჰექტრობით მიწებს იტაცებენ და დასჯილი არავინ გვინახავს. ასე ლაპარაკობენ რიგითი მშრომელები. ისინი მოითხოვენ: კანონი უნდა კანონობდეს, სანამ საქმე მთლიანად არ დაღუპულა.

დაუსჯელობის ფესვმოკიდებულმა ვითარებამ გაათამამეს სოფელ ქარიანში მცხოვრებლები ა. ჯალილოვი, ბ. ნამაზოვი, მ. ოვჩიევი, ა. მამედოვი, ტ. ქარიმოვი, რომლებმაც შესაბამისად 0,67, 0,44, 0,42, 0,40, 0,25 ჰექტარი ნაყოფიერი მიწა მიითვისეს. ეს რაღა გასაკვირია, როცა ერთ ჰექტარამდე მიწის მითვისება აღმოჩნდა თვით ქ. დმანისში და ეს მოხდა რაიკომისა და რაისაბჭოს, თუ სხვა რაიონული ორგანიზაციების თვალწინ, ყველას წაყრუებით, აბა, როგორ ვერავინ შენიშნა, რომ მოქალაქე ნ. კალანოვმა თავის ეზოს ერთბაშად 700 კვადრატული მეტრი მიწა შემოუერთა.

კიზილქილისის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევები ჯერ კიდევ 1985 წელს გამოვლინდა. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. მუსაევი, საერთოდ, ურიგო მუშაკი არ იყო და შეინდეს, რაიკომის ბიურომ იგი მოსახსნელად არ გაიმეტა, თუმცა მოხსნას სავსებით იმსახურებდა, ისე კი მაგრად შეაბურეს და კიდეც დასაჯეს, პირობაც დადო: საქმეს გამოვასწორებ და მიტაცებულ მიწებს კანონიერ მფლობელს დავუბრუნებო, მაგრამ ხელმძღვანელი კომუნისტის სიტყვა საქმეს დაშორდა, სოფლის თავკაცმა იგი ქარს გაატანა, ფაქტობრივად არაფერი ილონა და არც არავისთვის ჩამოურთმევია ზედმეტი ფართობი. ერთი სიტყვით, საკითხის განხილვამ იმთავითვე ფორმალური ხასიათი მიიღო. აი, დაუსჯელობის ილუზია წარმოქმნის დანაშაულს.

— ვერ ვიტყვი, — ამბობს რაიონის პროკურორი ო. დგებუაძე, — რომ დარღვევათა ფაქტები შეუმჩნეველი რჩებოდა იმ თანამდებობის პირთათვის, ვისაც ამ საკითხის მოგვარება და მასზე პასუხისმგებლობა ევალებოდა. დავრწმუნდით, რომ არც ჯეროვანი კონტროლი არსებობდა და არც მკაცრი მოთხოვნა. ზოგჯერ კი პირიქით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი საბჭოთა მეურნეობების სასოფლო საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელთა, შინაგან საქმეთა უბნის ინსპექტორების მხრიდანო.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, რომელიც ნათელს ჰფენს დმანისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორის მ. მამედოვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას და ცინიზმს. ამჟამად, როცა მთელი სისასტიკით დაისვა რაიონში მიწათსარგებლობაში მრავალი წლის მანძილზე დაშვებული შეცდომების გამოსწორება, იგი ვერ გარდაიქმნა, კვლავაც ძველ პოზიციებზე დგას. რაიონულმა კომისიამ მას დაავალა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ამამლოს სასოფლო საბჭოში შეესწავლა მიწის კანონმდებლობის დაცვის საკითხი. მან რაიონული საბჭოს აღმასკომში წარმოადგინა აქტი, რომლის მიხედვითაც თითქოს აღნიშნულ სასოფლო საბჭოში მიწები არ მიუტაციათ. აქტს ხელს აწერდა ამამლოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ფაშაევიც. კომისიამ ეს იმთავითვე საეჭვოდ მიიჩნია. დამატებითმა შემოწმებამ სიყალბეს ფარდა ახადა. დადასტურდა, რომ სასოფლო საბჭოს მცხოვრებთ უკანონოდ მითვისებული ჰქონდათ ოთხი ჰექტარი ფართობი. ასე დაადგნენ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკი და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს მესვეური სიყალბის, თვალისახვევის, ფაქტების ფალსიფიკაციის გზას, რაც ყოვლად მიუტევებელია.

სწორედ მიმტევებლობამ, დანაშაულის მიჩქმალვამ, უპრინციპობამ მიიყვანეს მულანლოს სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები სავალალო მდგომარეობამდე. წლობით აქაც უხეშად ირღვეოდა მიწის კანონმდებლობის, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონები, საპასპორტო რეჟიმი. და ეს ხდებოდა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მ. ომაროვის მოშვებულობითა და დაუდევრობით, შესაძლოა, დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგადაც, ხოლო სასოფლო საბჭოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ მეთვალყურის როლში გამოდიოდა, მან დაკარგა პოლიტიკური მებრძოლი ორგანოს თვისებები. ამან მ. ომაროვს იმის გზა გაუხსნა, რომ თავისი სურვილისამებრ ემოქმედა. 1986-1988 წლებში მან ყველას დაუკითხავად, კანონის მოთხოვნათა სრული დარღვევებით ჩაწერა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ჩამოსული ცხრა კაცი და შეუქმნა პირობები სამოსახლო ნაკვეთების მისაღებად. ზოგი მათგანი სხვა რაიონიდანაც იყო ჩამოსული. გარდა ამისა, საბჭოს მცხოვრებლებს მიტაცებული აღმოაჩნდათ ცხრა ჰექტარი ფართობი, საბჭოს ტერიტორიაზე უკანონოდ, უპროექტოდ და უნებართვოდ აშენდა ექვსი სახლი. ეს ფაქტები კომენტარს არ საჭიროებენო, იტყვის კაცი, მაგრამ ჩვენ მაინც დავსძენთ: სად იყო რაიონის ხელმძღვანელობა მაშინ, როცა ომაროვმა ასე ფართოდ გაშალა თავისი სამოქმედო ასპარეზი და, რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, რასაც უნდოდა იმას აკეთებდა? ნუთუ მანამდე უნდა ვითმინოთ ხელმძღვანელის უმაქნისი მოქმედება, ვიდრე საქმე სულ არ გაფუჭდება. ახლა ხომ გვიან არის თითზე კბენანი!

სამწუხაროდ თუ საუბედუროდ, ასეთმა ავადგანსაკურნებელმა სენმა შეიპყრო ირგანჩაის სახალხო დეპუტატთა საბჭოს და ირგანჩაის საბჭოთა მეურნეობების მესვეურებიც. რით შეუძლიათ იმართლონ თავი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მუსტაფაევმა და მეურნეობის დირექტორმა ზ. ისმაილოვმა, როცა ცალკეული ოჯახები ნორმით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტ საკარმიდამო ნაკვეთს ფლობენ? მაგალითად, ა. გასანოვს სასოფლო საბჭოს ზონარგაყრილი წიგნით, 0,25 ჰექტარი ნაკვეთი ერიცხება, ფაქტიურად იგი 1,18 ჰექტარს ფლობს — ოთხნახევარჯერ მეტს. ი. ქიაზიმოვი 0,89 ჰექტარ ნაკვეთს არის დაპატრონებული, დ. კასიმოვი — 0,78 ჰექტარს და ა. შ. უფრო სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ასეთი ოჯახები საბჭოთა მეურნეობისათვის თითქმის არაფერს ქმნიან, რადგან თავიანთ ნაკვეთებში ალამებენ და ათენებენ და მეურნეობაში მუშაობის არავითარი სურვილი არა აქვთ, მიტაცებულ და საკუთარ ნაკვეთში მოყვანილი მოსავალი თავადაც ჰყოფნით და ბაზრებში ოთუხბირადაც ჰყიდიან. და აი, მოხდა კიდევ ის, რაც სავსებით არ შეეფერება საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების, მით უმეტეს კომუნისტის, მოქმედებასა და ქცევას. როცა რაიონული კომისიის წევრები ამ სოფელში მივიდნენ და მიწის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობას ამოწმებდნენ, სასოფლო საბჭოსა და მეურნეობის მესვეურები გვერდში კი არ ამოუდგნენ მათ, როგორც ევალებოდათ, არამედ დაემალნენ, გვერდზე გაუდგნენ თავიანთი უშუალო მოვალეობის შესრულებას, დაჰკარგეს კომუნისტის პრინციპულობა და ობიექტურობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. მეურნეობის დირექტორმა ზ. ისმაილოვმა ამ უპრეცედენტო შემთხვევის გამართლება სცადა იმ მოტივით, ვითომ არ სურდა თანასოფლელებთან ურთიერთობის გაფუჭება. ვითომ მიწის განიავების გამოვლენილი ფაქტები მიტაცება კი არ იყო: ზედმეტი ფართობი გვქონდა და ამუშავებენო, ამაოდ ამტკიცებს იგი. ეს არის ხელმძღვანელი კომუნისტის პოზიცია? ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ მეურნეობის ჩარხი უკუღმა ტრიალებს, საქმე ცუდად მიდის? ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილევაო. ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც ერთ-ერთი მცირემიწიანია კავშირში, მავანთა და მავანთა „წყალობით" თუ გადამთიელთა და სხვათა მოხეტებით მიწა შაგრენის ტყავივით უქრება ხელიდან. რა დასამალია და სომხეთიდან ლტოლვილმა აზერბაიჯანელებმა არსად არ ისურვეს წასვლა, ჩვენს რესპუბლიკას მოაშურეს და ათასობით კაცი ახლაც აქ აფარებს თავს, ეძებს ხელსაყრელ მომენტს, როდის დასახლდეს ქართულ მიწაზე. განა პატარა საქართველოს აქვს იმის საშუალება.

ახლა ისევ საკითხის მთავარ არსს დავუბრუნდეთ. ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამჟამად პარტიის დმანისის რაიკომი მკაცრ მომთხოვნელობას იჩენს მიწების მიმტაცებლების, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის კანონის, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევების მიმართ, განუსჯელად არ ტოვებს არცერთ ფაქტს. ამას წინათ ეს საკითხები მწვავედ და ობიექტურად განიხილა რაიკომის ბიურომ, დამნაშავენი სათანადოდ დაისაჯნენ. მაგალითად, მუშაობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ბიურომ მულანლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. ომაროვს გამოუცხადა სასტიკი საყვედური პარტიულ საალრიცხვო ბარათში შეტანით, მულანლოს სასოფლო საბჭოს სესიას კი რჩევა მისცა მისი თავმჯდომარის პოსტიდან გადარჩევის შესახებ. თავმინებებულობისა და მიწათსარგებლობის კანონის დარღვევების აღსაკვეთად ზომების მიუღებლობისათვის სათანადოდ დაისაჯნენ ირგანჩაის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბ. მუსტაფაევი და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ზ. ისმაილოვი. მიწის მიტაცების ფაქტების გაყალბებისა და მიჩქმალვისათვის თანამდებობიდან არიან გათავისუფლებული შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი მ. მამედოვი და ამამლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ფაშაევი და მათვე დაედოთ მკაცრი პარტიული სასჯელები. დაისაჯნენ სხვა ბრალეულნიც. ეს გაკვეთილი უნდა გახდეს მათთვის, ვინც ჩაიდენს მსგავს მოქმედებას, ვინც არ შეიგნებს, რომ მიწები ჩვენს წინაპრებს გასაყიდად და გასაჩუქრებლად არ დაუტოვებიათ ჩვენთვის და მის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამჟამად რაიონში ამოქმედდა სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიწის მიტაცების თაობაზე, რომელიც წლობით იყო ჩაკეტილი უჯრაში და აღარ იყენებდნენ. არადა, იგი ჩვენი სახელმწიფოს შექმნის დღიდანვე იქნა მიღებული, ცხადია, სხვადასხვა ეტაპზე შეჰქონდათ ცვლილებები, მაგრამ არავის გაუუქმებია. ეს კანონი, უწინარეს ყოვლისა, უბრალოდ ხელმძღვანელ მუშაკთა წაყრუებითა და მიჩუმათებით იყო უგულებელყოფილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის ძალით ბოლო პერიოდში 0,10-დან ზევით მიწის მიტაცებისათვის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა 19 საქმე. ერთი სიტყვით, პროგრესი არის, მაგრამ იგი უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც რაიონში ხდება. სამართალდამცავი ორგანოები ერთბაშად გაბედულად მაინც ვერ მოქმედებენ. ამას ამტკიცებს ისიც, რომ შარშანწინ და შარშან უკანონოდ აშენებული სახლებიდან გამოსახლების შესახებ სარჩელი საერთოდ არ განხილულა და მოძალადე მშენებლები თავს არხეინად გრძნობენ. ამაზეა ნათქვამი: „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო". ერთი სიტყვით, კვლავაც უნდა დავსძინოთ, რომ კანონი ყველგან და ყველაფერში უნდა კანონობდეს. თუმცა ჩვენი კანონები ისედაც ლოიალურია. მიწის კანონმდებლობის დამრღვევთაგან ბევრის პასუხისგებაში მიცემა არ მოხერხდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. კანონის ამ ჰუმანურმა მხარემ ისედაც სასჯელისაგან იხსნა კონკრეტული დამნაშავე პირები.

ამჟამად რაიონში კვლავ წარმატებით გრძელდება მიწათსარგებლობის კანონების დაცვის მდგომარეობის შემოწმება. როგორც რაიონის ხელმძღვანელებმა გვაცნობეს, შეუმოწმებელი არ დარჩება არც ერთი დასახლებული პუნქტი. აი, შემოწმების პირველი შედეგებიც: საბჭოთა მეურნეობებს დაუბრუნდა ერთ დროს მიტაცებული მიწების ათობით ჰექტარი ფართობი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოვლინდა დამნაშავე პირები, რომლებიც თავად უნდა იყვნენ საზოგადოებრივი მიწების ინტერესთა დაცვის სადარაჯოზე. ისინი კი პირიქით იქცევიან. მაგალითად, ქვემოოროზმანელ ბ. მურადოვს, რომელიც საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირია, არის კომუნისტური პარტიის წევრი, მიტაცებული აღმოაჩნდა 0,18 ჰექტარი ფართობი. ასევე სკპ წევრს, უმაღლესი განათლების მქონე, ვაკის საბჭოთა მეურნეობის საწყობის გამგეს ნ. ნოზალიევს მიტაცებული აღმოაჩნდა 900 კვადრატული მეტრი მიწა. მიწის მიმტაცებელთა შორის, საერთოდ მრავლად არიან სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები: მასწავლებლები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ სოფლის რიგით მშრომელებს. ეს კიდევ უფრო სამწუხარო ფაქტია. ასეთი ადამიანები განსაკუთრებული დასჯის ღირსნი არიან.

ამჟამად დმანისის რაიონში მიმდინარე პროცესები თვალნათლივ მოწმობენ, რომ აღებულია ობიექტური სწორი გეზი: ერთხელ და სამუდამოდ დამყარდეს წესრიგი მიწათსარგებლობის და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაცვის საქმეში, გამოსწორდეს ამ მხრივ წლების მანძილზე დაშვებული შეცდომები. ვიმედოვნებთ, რომ ამ კომპანიას სეზონური ხასიათი არ ექნება და იგი თანამიმდევრულად განხორციელდება, კანონი მთელი სისასტიკით უნდა დავიცვათ, რადგან ეს ეხება ჩვენს უპირველეს სიმდიდრესა და სიამაყეს, რომელსაც ქართველებმა თავიდანვე დიდამიწა ვუწოდეთ და საუკუნეების მანძილზე მტერთა დაღვრილი სისხლით გავაპოხიერეთ. ახლა კი მოვალე ვართ შთამომავლობას შემოვუნახოთ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ჟუმბერ თეთმერია.
დავით ბიწაძე.

# შეხვედრა მხატვართა კავშირში







ეს ნამუშევრები 9 აპრილის ტრაგედიის შთაბეჭდილებით შეიქმნა. ავტორი — 17 წლის თამარ შაშიაშვილი — უშუალოდ, გულწრფელად ახატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი.

თამარ შაშიაშვილის ნამუშევართა გამოფენა შარშან მოეწყო „მერანის" საგამოფენო დარბაზში. მაშინ იგი პირველად წარსდგა ფართო საზოგადოების წინაშე. დღეს გთავაზობთ მის გრაფიკულ ფურცლებს — „თავშესაფარი", „ჭვარცმულნი" და „ვედრება".

ამ დღეებში საქართველოს მხატვართა კავშირის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ სსრკ სახალხო დეპუტატები — ლატვიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ჯემა სკულმე, ერევნის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორი ჰენრიხ იგიტიანი, სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი ოლეგ სავასტიუკი, ტაჯიკეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე სუხრაბ კურბანოვი, უკრაინის მხატვართა კავშირის ხარკოვის განყოფილების თავმჯდომარე ვიქტორ სიდორენკო.



მხატვართა კავშირში სახალხო დეპუტატებთან შეხვედრაზე გამომსვლელებმა საკმაოდ ვრცლად ილაპარაკეს 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შესახებ. ბევრი მათგანი მოწმე იყო იმ საშინელ ღამეს დატრიალებული ამბისა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს იყო უაღრესად მშვიდობიანი დემონსტრაცია, არც ერთი მოთხოვნა არ სცილდებოდა კონსტიტუციის ფარგლებს.

მხატვართა კავშირის მდივანმა გოგი გუნიამ დაწვრილებით აღწერა ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ნახა მხატვრის სახლიდან; მხატვრის სახლის თანამშრომელთა დამოკიდებულებაზე მიტინგის მონაწილეებისა და მოშიმშილეებისადმი ილაპარაკა მიხეილ ყიფიანმა. ჯარისკაცების ალმაცერ შეფოთებულ საქციელზე ისაუბრა თემო გოცაძემ.

— მომხდარი ამბები გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, — აღნიშნა მან, — დემოკრატია არ შეეხო სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატს. ერის სიცოცხლე, მისი სრულფასოვნება წარმოუდგენელია თავისუფლებისაკენ სწრაფვის გარეშე. ჩვენ გავიზარდეთ იმ შეგნებით, რომ საბჭოთა სახელმწიფო ყოველთვის მხარში უდგას იმ ერებს, ვინც თვითგამორკვევას ცდილობს, აფრიკაში იქნება ეს თუ სამხრეთ ამერიკაში. დღეს კი აღმოჩნდა, რომ როცა თვითონ მოვინდომეთ თვითგამორკვევა, როცა თვითონ დავიწყეთ ფიქრი ჩვენს პრობლემებზე, საკუთარი ჯარი ალესილი ნიჩბებით დაგვერია. მე ჭერ არ ვიცი, რეალურად რისი უფლება აქვთ ჩვენს დეპუტატებს, მაგრამ ვიცი ერთი რამ: თუ დღეს წინააღმდეგობა არ გავუწიეთ ძალადობას, ხვალ შეიძლება ახეთი რამ მხოლოდ ნებისმიერ კუთხეში მოხდეს. ისიც ვიცი, რომ ჩვენ უნდა ვცხოვრობდეთ ფედერაციაში, ეს უნდა იყოს თანასწორი მეგობრობა და არა დიქტატურა. დღეს მოგიწოდებთ კონსოლიდაციისკენ. 9 აპრილის ამბებმა გააქეთა ის, რაც ვერ შეძლო ვერც ერთმა პროპაგანდამ — ჩვენ ერთად ვართ. ვამაყობთ ამით.

— ამდენი მსხვერპლი სწორედ იმან გამოიწვია, რომ ჯარისკაცებისათვის წინააღმდეგობა არ გაგვიწევია, — თქვა გიორგი ხოშტარიამ, — ხალხს კარგა ხანს არ სჯეროდა, რომ ხოცვა-ჟლეტას დაგვიწყებდნენ. როცა ბოლოს და ბოლოს, მივხვდით რა ხდებოდა, დაიწყო ის, რასაც ცენტრალური პრესა „გააფთრებულ წინააღმდეგობას" უწოდებს. მაგრამ ეს არ იყო წინააღმდეგობა. ეს იყო თავდაცვა. რაც მთავარია — შიში არ გვქონდა. შიში არც ახლა გვაქვს... სამი-ოთხი წლის წინ დაწყებული გარდაქმნის რწმენა შერყეულია და აუცილებელია ქმედითი ღონისძიებები ამ რწმენის აღსადგენად. დღეს ყველგან, ყველა რესპუბლიკაში ლაპარაკობენ პრობლემებზე. ეს ბუნებრივიცაა. რატომ გაიმართა ახეთი ხოცვა-ჟლეტა მაინცდამაინც საქართველოში, როცა რუსეთში „პამიატიც" კი ხელშეუხებელია? ჩვენ ხომ პირველად ვიგრძენით თავი მოქალაქეებად, პირველად დავიწყეთ ხმამაღლა ლაპარაკი იმაზე, რაც გვაწუხებს. რატომ არ გაიმართა დიალოგი მთავრობასა და არაფორმალურ გაერთიანებებს შორის? იმიტომ, რომ უკანასკნელნი მთავრობას აღარ ენდობოდნენ და კრემლთან კონტაქტს მოითხოვდნენ. დღეს დემონსტრანტებს ექსტრემისტებს უძახიან. განა შეიძლება, იქ მყოფი ათასობით ადამიანის ექსტრემისტად გამოცხადება? აუცილებელია შეწყდეს არმიისა და ხალხის დაპირისპირება. ქართველები არასოდეს არ ყოფილან და არც იქნებიან შოვინისტები.

გიორგი ოჩიაურმა განაცხადა, რომ საფიქრებელია, კომენდანტის საათის დროს ქალაქში გავრცელდა მომწამვლელი ნივთიერება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ახლახანს დაიხურა საბავშვო ბაღი დიღომში, რადგან იქაურობა მოწამლული აღმოჩნდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ დღეს ერმა გაიღვიძა. დაიწყო კონსოლიდაცია. ახევე მოხდა ბალტიისპირეთში, შუა აზიაში, სომხეთში. ახე თავის ნებაზე რომ იპარპაშონ სამხედროებმა, მაშინ რუსეთშიც გაცილებით უარესი ამბავი შეიძლება დატრიალდეს.

ნოდარ ჯანბერიძემ განაცხადა, რომ 9 აპრილს მოვლენების შეფასებაში ყველა ერთსულოვანია და საოცარია ის ინფორმაცია, რასაც უმთავრესად იძლევა ცენტრალური პრესა. „ლიტერატურნაია გაზეტა" უკველ ნომერში ზომბავეზე წერს, ჩვენზე კი დუმს. სიმართლე საჭიროა არა მხოლოდ იმისთვის, რომ ეს ამბავი არ განმეორდეს, არამედ კიდევ იმიტომ, რომ 9 აპრილი იყო ლახვარი გარდაქმნისათვის და ამის გამოსასწორებლად აუცილებელია ობიექტური და მკაცრი შეფასება.

— ჩვენ ყველა ვლაპარაკობთ 9 აპრილის მოვლენებზე, მაგრამ არ ვამბობთ, როგორ მივედით აქამდე, — თქვა თენგიზ ფერაძემ, — ეს ბართლომეს ღამე შედეგია მრავალწლიანი პროვოკაციისა, რომელშიც ჩაბმულია პრესაც და საზოგადოებაც. გარდაქმნის პირველივე დღეებიდან სტალინის დიქტატურის დროს ჩადენილი ყველა დანაშაული ქართველ ხალხს ბრალდებოდა. ალარაფერს ვამბობ სხვაგვარ დაცინვაზე, რაზეც არაერთხელ დაიწერა ჩვენს პრესაში. პროვოკაციული იყო აფხაზეთთან დაკავშირებული სანქციონირებული მიტინგიც, რომლის შემდეგ ჩვენი მთავრობა საერთოდ გაჩუმდა. არაფერი არ ვიცოდით იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა აფხაზეთში. რამდენიმე დღის შემდეგ მოხსნეს საოლქო კომიტეტის მდივანი და ამით დამთავრდა ყველაფერი... ტრაგედია გრძელდება.

არაფორმალური გაერთიანების „ეროვნული სამართლიანობის კავშირის" ლიდერმა ირაკლი შენგელაიამ თქვა, რომ 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზების დადგენა შეუძლებელია ბევრი ისტორიული მოვლენის გათვალისწინების გარეშე და ილაპარაკა ამ მოვლენებზე. 9 აპრილს ყველაზე უფრო მწვავე ლოზუნგიც კი არ სცილდება კონსტიტუციურ უფლებებს, — განაცხადა მან. — ქართველებსა და აფხაზებს შორის შუღლის ჩამოგდება ნაცადი ხერხია ძველისძველი პოლიტიკისა — „გათიშე და იბატონე". სამწუხაროდ, ხშირად ცდილობენ გააიგივონ ეროვნული და ნაციონალისტური მოძრაობა. — გარდა ამისა, ირაკლი შენგელაიამ გადაჭრით უარყო, თითქოს არაფორმალურ გაერთიანებათა წევრები მოითხოვდნენ რესპუბლიკიდან არაქართველთა გასახლებას. 9 აპრილი წინასწარ მომზადებული აქცია იყო. არსებობს ბრძანება შიდა ჯარების სპეცრაზმების გაძლიერების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ზოგმა ჯარისკაცმა უარი თქვა დარბევაზე. სამწუხაროდ, ზუსტად არ არის ცნობილი მათი ვინაობა, მაგრამ ვიცით, რომ იყვნენ ბალტიისპირეთიდან და სომხეთიდან. გამომსვლელმა თქვა, რომ როგორც იქნა დაიწყო ლაპარაკი დიალოგის შესახებ, მაგრამ დიალოგი არ გამოვა, სანამ საქართველოში არიან პოლიტიკური პატიმრები.

ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა სსრკ სახალხო დეპუტატმა ჰენრიხ იგიტიანმა. საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, სადაც ხალხის მთავრობაა, — თქვა მან, — და ამ სახელმწიფოში, მშვიდობიან დროს, რეპრესიების გამო დაიღუპა 40 მილიონი ადამიანი. ეს შემთხვევითი არაა და ამ ფაქტსა და 9 აპრილის ტრაგედიას ერთი საფუძველი აქვს. ჩვენ ხშირად ამა თუ იმ მოვლენაზე მსჯელობისას არ ვცდილობთ მიზეზებში გარკვევას, ვეძებთ დამნაშავეებს. დამნაშავეა მექანიზმი და არა შემსრულებელი. ჩვენთან მთავრობა არის სახელმწიფო სახელმწიფოში. აქ ხუთი დეპუტატი ვართ, მაგრამ დღემდე არ ვიცით ჩვენი სტატუსი, უფლებები. ამის მიუხედავად, სიტყვას გაძლევთ — ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც შეგვძლებთ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვიცავთ არა მარტო ქართველების, არამედ ყველას მოქალაქეობრივ უფლებებს. სუვერენიტეტზე ლაპარაკი არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლას. სუვერენიტეტზე ლაპარაკისას ვგულისხმობთ, რომ ყველა რესპუბლიკას უნდა ჰქონდეს უფლება, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი პრობლემები, თვითონ განაგოს თავისი ბიუჯეტი. ლოგიკური ცენტრალიზაცია უკვე აბსურდამდე მიდის. დღეს, ვფიქრობ, რომ არსებობს რეალური პერსპექტივა სუვერენიტეტის განსახორციელებლად, მაგრამ რეალურად ჭერ ვერაფერსა ვგრძნობ. აქ ითქვა ერთა შორის შუღლის განზრახ გაღვივებაზე. ეს ჩვენთვისაც ნაცნობია. არ შეიძლება მთელ ხალხს ექსტრემისტი უწოდო. თითოეულ ერს უნდა ჰქონდეს თვითგამორკვევის უფლება.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ირინე გუნცაძე, ლევან დავითაშვილი, გოგი ქუთათელაძე, ცირა კალანდაძე, ედმუნდ კალანდაძე, დინარა ნოდია, გივი თოიძე, გია ბუღაძე, ოლეგ სავასტიუკი, ვიქტორ სიდორენკო.

გამომსვლელებმა ილაპარაკეს მასობრივ ინფორმაციათა მუშაობაზე, 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებზე, აღინიშნა მილიციელთა ვაჟკაცობის შესახებ. საბოლოოდ, შეხვედრაზე მოითხოვეს, რომ სსრკ სახალხო დეპუტატებმა სესიაზე წარადგინონ დეპუტატთა მოთხოვნა; მოსკოვში, მხატვრის სახლში, გაიმართოს პრეს-კონფერენცია. ჩამოსულმა სტუმრებმა თანაგრძნობა და თანადგომა გამოუცხადეს მთელ ქართველ ხალხს და თქვეს, რომ ამ საკითხებზე საჭიროა გაგრძელდეს გულახდილი მწვავე, ობიექტური მსჯელობა.


ჭამოდის
პარასკეობით

ფასი 20 კაპ.

ლიტერატურული საქართველო
რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა № 1
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის — 99-84-04
მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89
პასუხისმგებელი მდივნის — 99-67-10
განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-08-65.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.



მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ამაშუკელი, თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ გურეშიძე, ივანე თარბა, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ინანიშვილი, ანა კალანდაძე, დავით მჭედლური, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარგის ცაიშვილი, მამუკა წიკლაური, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი).



ИНДЕКС 06436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. უე 00280